

~~17.522~~
5782 ე. ნოღაია



თბილისის კურორტები
და
საავიარაკო ადგილები

საქმელგაში
თბილისი
1948

მ. ნ. ღ ი ა
მედიცინის მეცნ. კანდიდატი

თბილისის კურორფები
და
სააბარაკო აღგილები

~~6760~~

4121



საქართველო
თბილისი
1948

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

RC 264.4929
3

საგარეო ურთიერთობების
სამსახური
ეროვნული
ბიბლიოთეკა

1952/36

რედაქტორისაგან

საქართველო მეტად მდიდარია ბუნებრივ-სამკურნალო ფაქტორებით. ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე გვხვდება მინერალურ წყაროთა ყოველგვარი ჯგუფი და მრავალი კლიმატური კურორტი, განლაგებული ზღვის დონედან სხვადასხვა სიმაღლეზე—დაწყებული მაღალ-მთიანი კურორტებით და გათავებული ზღვის ულამაზესი სანაპირო სადგურებით. ჩვენში ხელსაყრელადაა შეხამებული ბალნეოლოგიური და კლიმატური ფაქტორები, რომლებიც თავს იყრის გარკვეულ რაიონებში ერთიანი საკურორტო-სამკურნალო კომბინატების სახით.

სწორედ ამგვარ საკურორტო-სამკურნალო დაჯგუფებას უნდა მივაკუთვნოთ თბილისის ჯგუფის კურორტები და სააგარაკო ადგილები ცენტრში თვით თბილისის ბალნეოლოგიური კურორტით და მის გარშემო კოჯორით, მანგლისით, წყნეთით, კიკეთით და ქალაქის უახლოეს მიდამოებში განლაგებული სააგარაკო ადგილებით.

მეტად დიდია ის სამკურნალო-პროფილაქტიკური მნიშვნელობა, რაც მათ აქვთ თბილისისათვის, როგორც ჩვენს ქვეყნის უდიდესი სამრეწველო-ეკონომიური და კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრისათვის.

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, მ. ნოდისას ამ შრომაში აღწერილია შემოადნიშნული საკურორტო ობიექტები და განხილულია მათი განვითარების პერსპექტივები, აგრეთვე დასახულია მათი პროფილირება.

თითოეულ მათგანზე ავტორი გვაწვდის ბუნებრივ-ისტორიულ მონაცემებს, აღწერს მათი კეთილმოწყობის თანამედროვე მდგომარეობას, არსებულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს და სანიტარულ-ტექნიკურ მოწყობილობას.

ყოველი ნარკვევის ბოლოს მოყვანილია მკურნალობის ჩვენებები და წინააღმდეგჩვენებები.

სააგარაკო ადგილებიდან, რომელთაც ძირითადად პროფილაქტიკური მნიშვნელობა აქვთ ქალაქის მოსახლეობის დასასვენებ-

ლად, ავტორი აღწერს მთაწმინდას, ლისის ტბას, ბეთანიას, მცხეთას, საგურამოს, გომბორს და სხვ.

ამგვარი მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევის საჭიროებათბილისის ჯგუფის კურორტების და სააგარაკო ადგილების შესახებ დიდი ხანია არსებობდა, ამიტომ ფრიად დროულად უნდა ჩათვალოს ამ წიგნის გამოსვლა, იგი სასარგებლო და საჭირო იქნება არა მარტო ექიმებისათვის, არამედ მოსახლეობის ფართო ფენებისათვისაც.

პროფ. დ. ჯავახიშვილი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ყოველი დიდი და მოსახლეობით მრავალრიცხოვანი ქალაქისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის მახლობლად კურორტების და სააგარაკო ადგილების არსებობას, რომლებიც თავიანთ სიახლოვით ადვილი ხელმისაწვდომი არიან მოსახლეობის ფართო მასების დასასვენებლად და სამკურნალოდ.

ამ მხრივ თბილისი იმყოფება უაღრესად ხელსაყრელ პირობებში. თვით ქალაქში მაღალდებიტიანი ძვირფასი თბილი გოგირდიანი წყლები და ქალაქის მახლობლად მთელი რიგი კურორტები და სააგარაკო ადგილები—კოჯორი, მანგლისი, წყნეთი, კიკეთი, ბეთანია, მთაწმინდა, ოქროყანა, კრწანისი, მარტყოფი, საგურამო, გლდანი, მცხეთა, გომბორი და სხვანი, უქმნიან თბილისს თავის მრავალრიცხოვან მოსახლეობისათვის ფართე სამკურნალო და პროფილაქტიკური დახმარების დიდ შესაძლებლობას.

განსაკუთრებით დაუფასებელ სამსახურს უწევს თბილისის მოსახლეობას მის მიდამოებში მდებარე კლიმატური სადგურები: მთაწმინდა, სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (ფუნიკულერის პლატო), კოჯორი, წყნეთი, კიკეთი, ოქროყანა, კრწანისი, და სხვ., სადაც მოსახლებას საშუალება ეძლევა დაისვენოს მუშაობისაგან მოუწყვეტლივ მთელი დღე ან მისი ნაწილი, მგზავრობაზე მინიმალური დროის დაკარგვით.

თბილისის ზოგიერთი საგარეუბნო კურორტი თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული და სამკურნალო თვისებით არ ჩამორჩება მრავალ ჩვენს სახელგანთქმულ კურორტს. ქალაქის ასეთ კურორტებს შეიძლება მივაკუთნოთ პირველ რიგში თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი, კოჯორი, მანგლისი და წყნეთი. სათანადო კეთილმოწყობის და საკურორტო საქმის რაციონალურად მოგვარების პირობებში, ან სამთო-კლიმატურ კურორტებს თავისუფლად შეუძლიათ შესცვალონ და განტვირთონ ჩვენი სახელგანთქმული კურორტები—აბასთუმანი, შოვი, ბახმარო და სხვები, თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტს კი თავის განთქმულ თერმულ გოგირდიან წყლებით, უდაოდ, არანაკლები ეფექტივობით შეუძლია შესცვალოს წყალტუბო, მაცესტა, მენჯი, ახტალა და სხვა ბალნეოლოგიური კურორტები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, თბილისის და მისი გარეუბნის კურორტები, ემსახურებოდნენ მხოლოდ მოსახლეობის შეძლებულ ფენებს, მშრომელი მოსახლეობა კი მოკლებული იყო ამ კურორტებზე და სააგარაკო ადგილებზე გასვლის შესაძლებლობას, ვინაიდან მეტად ძვირი და ამავე დროს ზედმიწევნით შეზღუდული მოცულობის აგარაკები, წარმოადგენდნენ მოსახლეობის მხოლოდ ერთი მუჭა პრივილეგირებულ ნაწილის—მეფის ნაცვლის მოხელეებისა და ვაჭრების საზაფხულო ადგილსამყოფელს.

საბჭოთა მთავრობამ მეფის და მენშევიკურ მთავრობებისაგან მემკვიდრეობით მიიღო ჩამორჩენილი და დანგრეული საკურორტო მეურნეობა. საბჭოთა მთავრობამ მიიღო მხედველობაში საკურორტო საქმის დიადი მნიშვნელობა და დროულად გამოსცა დადგენილებათა მთელი რიგი, რომლებმაც უზრუნველჰყვეს საკურორტო რესურსების სახელმწიფოს ხელში გადასვლა, მათი მოვლა-პატრონობა და გეგმიანი საკურორტო მშენებლობა, მშრომელთა ფართო მასების კურორტებზე მკურნალობისა და დასვენებისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად.

კურორტების ბალნეოლოგიური და კლიმატური რესურსების სამკურნალო თვისებების შენარჩუნებისა და მათი მოვლის მიზნით, საბჭოთა მთავრობის კანონებით გათვალისწინებული იქნა კურორტების, მინერალური წყლების და საკურორტო მნიშვნელობის ტყეებისათვის სამთო-სანიტარული დაცვის ზონების გამოყოფა და მათი საზღვრების დაწესება.

კერძოდ, თბილისისა და მისი საგარეუბნო კურორტებისათვის—კოჯორის, მანგლისის, კიკეთის და წყნეთისათვის, საქართველოს სახკომსაბჭოს 1931 წლის 28 ოქტომბრის დადგენილებით დაწესებული იქნა სამთო-სანიტარული დაცვის ზონის საზღვრები. ეს ზონები გამოყოფილ იქნა ყოფილ ალბულახ-მანგლისის და თბილისის საგარეუბნო რაიონების ტერიტორიაზე 22.000 ჰექტარის ფართობით.

უფრო გვიან, საქართველოს სახკომსაბჭოს 1936 წლის 20 იანვრის დადგენილებით, გაფართოებულ იქნა თბილისის გარეუბნის კურორტების და სააგარაკო ადგილების სამთო-სანიტარულ დაცვის ზონა, ამ ზონაში ახალი სააგარაკო ადგილების—საგურამოს, გლდანის, მცხეთის, მარტყოფის, ძეგვის და პრიუტის ჩარიცხვით, ვინაიდან ამ ადგილებს მიენიჭათ საკურორტო-სააგარაკო და სამთო-დაცვითი მნიშვნელობა. იმავე წლის (1936) 8 თებერვალს გამოყოფილ იქნა კუმისის ტბის სამთო-სანიტარული დაცვის ზო-

ნა ამ ტბის წყლისა და მისი მაღალთვისებიანი სამკურნალო ტალახის დაცვის მიზნით გაჭუჭყიანებისა და ამოშრობისაგან.

ამრიგად, თბილისის და მისი გარეუბნის სამთო-სანიტარულ დაცვის ზონაში მოქცეულია კურორტები და სააგარაკო ადგილები: თბილისი, მთაწმინდა, კოჯორი, მანგლისი, კიკეთი, წყნეთი, კუმისის ტბა, მარტყოფი, საგურამო, მცხეთა, ბეთანია, გლდანი, ავჭალა, ძეგვი, ოქროყანა, კრწანისი, წავკისი, ტაბახმელა, პრიუტი და სხვ.

საბჭოთა მთავრობის მიერ ჩატარებული ღონისძიებანი ტყეების დაცვისა, აღდგენისა და გამწვანებითი სამუშაოების დარგში, უკვე იძლევიან გარკვეულ დადებით შედეგს თბილისისა და მისი საგარეუბნო მიდამოების კლიმატზე საკმაოდ კეთილმომქმედ გავლენის მხრივ.

თვით თბილისისა და მისი საგარეუბნო მიდამოების საკურორტო რესურსების ათვისების დარგში არსებული მიღწევები, კერძოდ თბილისის თერმული წყლების მანამდე აოხრებულ-გაბინძურებულ რაიონის რადიკალური რეკონსტრუქცია და მის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით ჩატარებული გიგანტური სამუშაოები—ამ რაიონის ცენტრში გრანდიოზული ბალნეოლოგიური კორპუსის აშენება, მთაწმინდის პლატოს გატიტვლებულ ადგილზე მშენიერად გამწვანებული და კეთილმოწყობილი სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების ვებერთელა პარკის შექმნა, აქვე პლატოზე ფუნქულერის ზედა სადგურზე გრანდიოზული პავილიონის აშენება, მთაწმინდის როგორც პლატოს, ისე მთის ყველა ფერდობის, მისი მიდამოების და კომკავშირელთა ხეივანის გამწვანება და კეთილმოწყობა, საკურორტო და სააგარაკო მშენებლობა, მთელ რიგ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა გახსნა კოჯორში, მანგლისში, წყნეთში, კიკეთში, ბეთანიაში და მრავალი სხვა სამუშაო, რომლებიც ჩატარებულია სტალინურ ხუთწლიელების პერიოდში, საკმარისად ნათელჰყოფენ იმ დიდ მზრუნველობას, რომლითაც ეკიდება პარტია და ხელისუფლება ჩვენი ხალხის მკურნალობის და კულტურული დასვენების საქმეს.

თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის და მისი საგარეუბნო კურორტებისა და აგარაკების მნიშვნელობა ქალაქის მრეწველობისა და მოსახლეობის ზრდასთან ერთად კიდევ უფრო გაიზრდება და მათი შემდგომი გაფართოების, რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის გრანდიოზული გეგმების განხორციელება სავსებით უზრუნველყოფს თბილისის მოსახლეობის სამკურნალო მკურნალობასა და დასვენებას.

თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი

თბილისი — საქართველოს უძველესი პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიური ცენტრი — წარმოადგენს მსოფლიოს ერთერთ უძველეს ქალაქს.

თბილისი პირველად იხსენიება IV საუკუნის მეორე ნახევრის წერილობით ძეგლში, როდესაც სპარსელებმა პირველად დაამყარეს თავიანთი პოლიტიკური გავლენა აღმოსავლეთ საქართველოში.

საქართველოს უძველეს დროის მატიანეს მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოს მეფის ვარაზ-ბაკურის დროს 368 წელს, სპარსეთის შაჰის პიტიახში თავის რეზიდენციად ირჩევს გამაგრებულ ქალაქ თბილისს, აღმინისტრაციულ, სამეურნეო და სამხედრო-სტრატეგიულ თვალსაზრისით ყველაზე უფრო ხელსაყრელ ცენტრს და აქედან თვალყურს ადევნებს აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების მოქმედებას; ამ პერიოდში მეფეებს თავის რეზიდენციად ჰქონდათ უძველესი დედა-ქალაქი მცხეთა, რომელიც მდებარეობს თბილისიდან სულ 20 კილომეტრის მანძილზე.

თვით სახელწოდება „თბილისი“ წარმოიშვა სიტყვიდან თბილი, რაც თავისთავად დაკავშირებულია თბილ გოგირდიან წყაროებთან, რომლებიც აქ დღესაც არსებობენ ქალაქის უძველეს ნაწილში.

საერთოდ, არ არსებობს საკმაოდ ზუსტი მონაცემები იმის შესახებ, თუ როდის და რა პირობებში დაარსდა თბილისი. ეს ხარვეზი შევსებულია თქმულებებით და ცალკეული გადმოცემებით.

„საქართველოს ერთ-ერთი მეფე — მოგვიტხრობს პირველი ამ თქმულებათაგანი, ერთხელ ტყეში ნადირობდა; მან დაჭრა ირემი. დაჭრილი ცხოველი, რომელიც სისხლიდან იცლებოდა, მიეშურა ერთ-ერთ გოგირდოვან წყაროს, რომელთა რიცხვი მრავალი იყო იმ ადგილას, დაიბანა ამ წყაროში თავისი ჭრილობა და მიიღო რა სრული განკურნება ჭრილობისაგან, გაქრა იმ ადგილიდან, მეფემ დაათვალიერა ის წყარო და დარწმუნდა რა მის სამკურნალო თვისებაში, ბრძანა, რათა დაესახლებიათ ეს ადგილი და მიეცათ მისთვის სახელწოდება თბილისი“.

მეორე თქმულების მიხედვით, თბილისი თითქოს დაარსებუ-

ლია საქართველოს განთქმული მეფის ვახტანგ გორგასლანის მიერ, რომელიც მეფობდა მეხუთე საუკუნეში. ეს თქმულება გადმოგვცემს: „ერთხელ მეფე ტყეში ნადირობდა, რომელიც იმ დროს ფარავდა თბილისსა და მის მიდამოებს. აფრენილ ხოხობს მან მიმინო დაადევნა, მაგრამ მას მალე ორივე დაეკარგა მხედველობიდან. როდესაც მეფე წავიდა მათ საძებნელად, ორივე იპოვნა მოხარული ერთ-ერთ ცხელ წყაროში. როგორც ამ წყაროებში, ისე ახლომდებარე ბუნებამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მეფეზე, ისე მოხიბლა ის, რომ მან განკარგულება გასცა, რათა ამ ადგილზე აეშენებიათ ქალაქი, და მიეცათ მისთვის „თბილისი“-ს სახელწოდება; შემდეგში მას აქ გადმოუტანია თავისი რეზიდენცია.

გასაკვირი არ არის, რომ ისტორიაში აღარ დარჩა ზუსტი თარიღი ქალაქის დაარსებისა, რადგან საერთოდ, იშვიათია შემთხვევა, რომ მოიპოვებოდეს ამითუიმ დიდ ქალაქის დაარსების ზუსტი თარიღი, ვინაიდან ქალაქები თანდათანობით იქმნებოდნენ და იზრდებოდნენ.

აქ საგულისხმოა ის, რომ ორივე თქმულება საკმაოდ საფუძვლიანად აღნიშნავს, რომ ეს ქალაქი დაარსდა სწორედ ამ ადგილზე და არა სხვაგან, აქ არსებულ მინერალურ წყლების სამკურნალო თვისებებისა და ამ ადგილის დადებითი კლიმატური ღირსებისა გამო.

მეოთხე საუკუნის მეორე ნახევრის (368 წ.), მეხუთე (455 წ.) და მეექვსე (595 წ.) საუკუნეების ისტორიულ საბუთებში, გარდა თბილისის არსებობის ხსენებისა, თბილისის ცოტად თუ ბევრად ვრცელ აღწერილობას პოულობენ არაბეთის მეათე საუკუნის გეოგრაფის ხაუხალი; ნაწარმოებში.

მთელი პერიოდის განმავლობაში მეექვსე საუკუნიდან მეათემდე თბილისი განუწყვეტლივ იმყოფებოდა მტრების გარემოცვაში და ხელიდან ხელში გადადიოდა. თბილისი ექვსჯერ იყო ნანგრევებად ქცეული და გადამწვარი სპარსელების მიერ 499, 619 და 744 წლებში, ხაზარების და ბერძნების მიერ 626 წელში, არაბების მიერ 731, 744, და 858 წლებში, მაგრამ მას ყოველთვის აღადგენდნენ ხოლმე იმავე ადგილზე და მოკლე ხნის განმავლობაში ის ისევ „საქართველოს დიდ საუცხოვო სატახტო ქალაქად იქცეოდა“ ხოლმე (სომეხ მემკვიდრეებს უხტანესის სიტყვები თქმული თბილისზე 595 წელს). საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანა“ მჭიდროდაა დაკავშირებული მისი დედაქალაქის თბილისის გა-

ფართოება-გამშენიერებასთან და კეთილდღეობასთან დავით-აღმა-შენებლიდან მოკიდებული დიდი თამარის ეპოქის დასასრულამდე. მეცამეტე საუკუნიდან მეჩვიდმეტე საუკუნემდე თბილისი, ხან-მოკლე მშვიდობიანი პერიოდების გამოკლებით, ისევ ხელიდან ხელში გადადიოდა და ხან სპარსელების, ხან მონგოლების, ხან თურქების (სელჯუკების) ხელში ვარდებოდა და განიცდიდა მათგან ნგრევას და განადგურებას. XVII საუკუნის დასაწყისში საქართველოს მეფე როსტომმა ხელახლად აღადგინა თბილისი, რომელიც განადგურებული იყო შაჰ-აბაზის მიერ; მან აქ ააშენა მშვენიერი სასახლე მინერალურ წყლების მახლობლად, აღადგინა თბილისის აბაზანები, რომლებიც იმავე შაჰ-აბაზის მიერ იყო დანგრეული და განადგურებული.

თბილისი, რომელმაც მე-V-დან XVIII საუკუნემდე 16-ჯერ განიცადა ნგრევა-განადგურება, 1795 წელს კიდევ ერთხელ გახდა მსხვერპლი უმაგალითო სიმკაცრისა და აოხრებისა სპარსეთის შაჰის ალა-მაჰმად-ხანის მხრივ; მან კარგად იცოდა თბილისის გოგირდოვანი მინერალური წყლების მაღალი სამკურნალო თვისებანი, რამოდენიმეჯერ მიიღო ამ წყლების აბაზანები, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ სქესობრივ ცხოვრების დაკარგულ უნარს ის ვერ დაიბრუნებდა (მაჰმად-ხანი კასტრირებული იყო), ბრძანა, დაენგრიათ აბანოები.

ცნობილი ფრანგი მოგზაური შარდენი მე-XVII საუკუნის მეორე ნახევარში, აღწერს რა ვრცლად თბილისის აბანოებს, სხვათა შორის აღნიშნავს, რომ ამ აბანოებში, სადაც გოგირდოვანი ცხელი წყალია, დადიან როგორც ავადმყოფები სამკურნალო მიზნით სხვადასხვა დაავადების დროს, აგრეთვე ჯანმრთელებიც, რომლებიც ბანაობენ სისუფთავისათვის, რაც იმას მოწმობს, რომ იმ დროშიაც ამ წყლებით სარგებლობდნენ სამკურნალო მიზნით.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მეფის თვითმყრობელობის მთელი პერიოდის განმავლობაში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, თერმალური წყაროები წარმოადგენდნენ ცალკე პირთა კერძო საკუთრებას. მესაკუთრეებმა ეს სახალხო მნიშვნელობის ძვირფასი სამკურნალო წყაროები გადააქციეს მტაცებლური ექსპლოატაციის ობიექტად.

მათ სრულიად არ აინტერესებდათ ამ წყაროების როგორც კეთილმოწყობა, ისე მათი სამკურნალო თვისებების გამოყენება მოსახლეობის გაჯანსაღების მიზნით.



1. თბილისი. მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის ხედი. (ფუნიკულერია, მამა-დავითის ეკლესია, სანაპირო).

განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იპყრობს თბილისის გოგირდიანი წყაროები მეცხრამეტე საუკუნიდან. მას ესტუმრნენ როგორც ჩვენი, ისე საზღვარგარეთელი მეცნიერები და მოგზაურები, რომლებმაც დასტოვეს თავიანთი შთაბეჭდილებებისა და სურვილების წერილობითი კვალი ამ წყაროების შესახებ (ტურნეფორი, დელაპორტი, პაროტი, დიუბუა და სხვ.).

რუსეთის უდიდესი პოეტი ა. პუშკინი, რომელმაც 1833 წელს არზრუმში გამგზავრებისას, გავლით ინახულა თბილისის გოგირდიანი წყლები და იბანავა აქაურ აბანოში, შემდეგი სიტყვებით გამოსთქვამს თავის პოეტურ აღტაცებას: „არსად, არც ოსმალეთში და არც სხვაგან, მე არ მინახავს არაფერი, თბილისის აბანოებზე უმშვენიერესი“.

1866 წელს კავკასიაში მეფის ნაცვლის მთავარი სამმართველოს განკარგულებით თბილისის მინერალური წყაროების შესწავლას შეუდგა კომისია, მსოფლიოში ცნობილი გეოლოგის აკადემიკოს აბიხის ხელმძღვანელობით. ამ კომისიამ გამოიმუშავა მეტად საგულისხმო დადგენილებები, დასკვნები და მითითებანი, რომლებსაც დღემდე არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა. თავის დასკვნებში აკადემიკოსი აბიხი სხვათა შორის გამოსთქვამდა გაკვირვებას, მინერალური წყლების შეუსწავლელობაზე და მათ გამოყენებაზე მხოლოდ საბანაოდ და სარეცხად. იგი სთვლიდა ამ მდგომარეობას უყურადღებობად დიდი სამკურნალო განძის მიმართ, რომელსაც თვით ბუნება ასე უხვად აწვდის სენით შეპყრობილ ადამიანს.

აბიხის წინადადება, რათა მინერალური წყაროები ერთი გამგებლობის ხელში გადასულიყო და სამკურნალო მიზნით ყოფილიყო გამოყენებული, თუმცა გაიზიარა იმ დროის თბილისის გუბერნიის ექიმმა კარპოვიჩმა, მაგრამ მთავრობამ მაინც არ დაუჭირა მხარი მის წინადადებას. ამავე დროს თბილისის ქალაქის თვითმართველობა განაგრძობდა დუმილს, ვინაიდან მისი წევრებისათვის, რომლებიც შედიოდნენ მინერალური წყლების კერძო მფლობელთა სიაში, ეს ახალი ღონისძიება არ იყო ხელსაყრელი, რადგან ისინი ჰკარგავდნენ შემოსავლის წყაროს.

აბიხის მასალების გამოქვეყნების შემდეგ, თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის დაარსების და მინერალური წყაროების სახელმწიფოს ხელში გადაცემის საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. იგი ხდება პრესის, საექიმო და ტექნიკური თათბირების,

სხდომებისა და კომისიების მსჯელობის საგნად იმ დროის საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლების მონაწილეობით და ნიჭიერი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის ხელმძღვანელობით. სდგება თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის ორგანიზაციის სხვადასხვა ვარიანტები და პროექტები, მაგრამ საქმის წინსვლა და ამ პროექტების განხორციელება ფერხდება ორი ძირითადი მიზეზის გამო: პირველი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ქალაქის თვითმართველობას არ გააჩნდა სათანადო ფინანსური საშუალება ბალნეოლოგიური ზონის და წყაროების კერძო მესაკუთრეთაგან გამოსასყიდად და მეორე, მთავარი მიზეზი კი ის იყო, რომ თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის მშენებლობა ხელსაყრელი არ იყო თბილისის აბანოების კერძო მესაკუთრეებისათვის, რომლებიც ამავე დროს ქალაქის თვითმართველობის წევრები იყვნენ და რომელთა ხელთ იმყოფებოდა იმ დროს თბილისის ბედ-იღბალი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით მოიხსნა თბილისში ბალნეოლოგიური კურორტის შექმნის შემადგერხებელი ყველა მიზეზი; ეს საკითხი საბჭოთა მთავრობის წინაშე პირველად დასმულ იქნა პროფ. მ. ზანდუკელის მიერ.


1930 წლის პროექტის მიხედვით, თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის ტერიტორიაში შედის ქალაქ თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე, ეგრედწოდებული, თათრის ნოედნის, ორთაქალისა და კრწანისის ბაღების, ნარიყალას ციხისა და ბოტანიკურ ბაღის ფართობები. აღნიშნული ბაღები შემდეგში უნდა გადაიქცნენ ავადმყოფთა დასასვენებელ ადგილად. ამ ტერიტორიას აქვს სიგრძე 2 კილომეტრამდე, ხოლო სიგანე 700—800 მეტრამდე. საკურორტო ტერიტორიის მთელი ფართობი დაახლოებით 400 ჰექტარს შეადგენს.

აქედან დაახლოებით ნახევარი შეიძლება გამოყენებულ იქნეს საკურორტო ობიექტების სააღმშენებლოდ.

თბილისის ეს უძველესი ნაწილი—საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, სანიტარული თვალსაზრისით წარმოდგენდა დავიწყებულ ტერიტორიას, გადამდებ სნეულებათა ბუდე, რადგან აქ არც საბინაო და არც საერთო სანიტარიას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა; ეს ადგილი მჭიდროდ იყო დასახლებული, ქუჩები მეტად ვიწრო და ძნელი გასასვლელი, შიგა და შიგ ვხვდებოდით ქუჩების მაგიერ საცალფეხო გზებს, ნახევრად დანგრეული საცხოვრებელი სახლებით. ამ ნაწილში ცხოვრობდა

ქალაქის უღარიბესი მოსახლეობა, რომელთა კეთილდღეობაზე ქალაქის მმართველობა სრულიად არ ზრუნავდა.

ქალაქის ეს ნაწილი მოითხოვდა სასწრაფო ჩარევას ანტისანიტარიისა და გადამდებ სენების ბუდის მოსპობის მიზნით. პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ, პირადად ამხ. ლ. ბერიას ინიციატივით და უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარებულ რადი-



სურ. 2. თბილისი—ხელოვნების მუზეუმი „მეტეხი“
(ყოფ. მეტეხის ციხე)

კალურ ღონისძიებათა შედეგად, ქალაქის ეს ნაწილი ჩვენი თვალისწინ გადაიქცა კულტურულ და კეთილმოწყობილ რაიონად ფართე გუდრონირებული ქუჩებით, მწვანე ნარგავებით, ბალებით და ყვავილნარებით. მის განახლებულ ტერიტორიას უკვე ამშვენებს გრანდიო-

ზული და კომფორტულად მოწყობილი სააბაზანო შენობა — მონათველი დიდი ბალნეოლოგიური კურორტის პირველი მერცხალი.

მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური დახასიათება

ადგილის გეოგრაფიული მდებარეობა და მისი ოროგრაფია ქმნიან თბილისის კლიმატური თავისებურების პირობებს. თბილისის გეოგრაფიული კოორდინატებია: $41^{\circ} 43' 8''$ ჩრდილოეთის სიგანედისა და $44^{\circ} 47' 51''$ აღმოსავლეთის სიგრძედისა.

თბილისისა და მისი მიდამოების რელიეფი ფრიად რთულია. ქალაქის ჩრდილოეთით, დაახლოებით 100 კილომეტრის მანძილზე, აღმართულია კავკასიონის მთავარი ქედი თავისი მუდამ თოვლიანი მწვერვალებით, რომელნიც უფრო მაღალი არიან, ვიდრე ევროპის ყველაზე უფრო მაღალი მწვერვალი (მონბლანი 4,814 მ., იალბუზი 5629 მ. ყაზბეგი 5043 მეტრი ზღვის დონედან). თბილისიდან დასავლეთით მდებარეობს ქართლ-იმერეთის ქედი (სურამის), რომელიც მთავარ კავკასიონის ქედს აერთიანებს მესხეთის ქედთან და წარმოადგენს შავი და კასპიის ზღვათა წყალგამყოფს. სამხრეთ დასავლეთის მხრივ თბილისის მიდამოები შემოზღუდულია თრიალეთის ქედის შტოებით, რომელიც იწყება ბორჯომიდან და მთავრდება თბილისთან ორი შტოთი; ერთი მათგანი მიიმართება ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხეთამდე, მეორე კი სოღანლუღის მთაგრეხილის სახელწოდებით მთავრდება თბილისის ქვემოდ.

თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით ჰორიზონტი ღიაა: აქ იწყება ყარაიაზის ველი, რომელიც გადადის აზერბეიჯანის ველში და გრძელდება კასპიის ზღვამდე.

ამრიგად, სამხრეთით და ჩრდილოეთით თბილისი დაცულია მაღალი მთებით, დასავლეთით მას აშორებს შავი ზღვიდან შედარებით დაბალი ქართლ-იმერეთის ქედი, აღმოსავლეთით კი კასპიის ზღვის მიმართულებით ჰორიზონტი სრულიად გაშლილია.

თვით ქალაქი მდებარეობს ქვაბურში, საშუალოდ 440 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონედან. მას უშუალოდ გარშემო აკრავს მცირე მაღლობები—აღმოსავლეთით მახათის მთა (655 მ.) სამხრეთით—სოლოლაკის ქედი, დასავლეთით—მთაწმინდა (760 მ.), ჩრდილოეთით საბურთალოსა და დიღმის ქედი, რომელნიც შემდეგ თავის მხრივ იხურებიან კავკასიონის ქედის შტოებით.

თბილისის კლიმატური ელემენტების დასახასიათებლად, კერძოდ—ბალნეოლოგიური ნაწილისა, არსებობს ათეული წლების

შეტეოროლოგიურ დაკვირვებათა მონაცემები *. ამ მონაცემების მიხედვით თბილისის საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის $+12,6^{\circ}$, საშუალო თვიური ტემპერატურა ყველაზე უფრო ცხელი თვის — ივლისისა უდრის $+24,1^{\circ}$. ყველაზე უფრო ცივი თვის — იანვრის საშუალო თვიური ტემპერატურა შეადგენს $+1,2^{\circ}$. დაკვირვებათა მთელ მანძილზე მაქსიმალური ტემპერატურა მხოლოდ ერთხელ დასულა 40° -მდე (1913 წლის ივლისში), მინიმალური კი (1935 წლის 3/1) დასულა — $18,4^{\circ}$ -მდე.

ნალექების რაოდენობა თბილისში წლის განმავლობაში საშუალოდ შეადგენს 517 მილიმეტრს. თოვლიან დღეთა რაოდენობა წლის განმავლობაში საშუალოდ უდრის 15,9. წლის საშუალო ფარდობითი ტენიანობა — $64,4\%$. ნათელ და ნახევრად ნათელ დღეთა რიცხვი წელიწადში უდრის 250, ღრუბლიან დღეთა რიცხვი 115, ქარების საშუალო სისწრაფე უდრის 3 მეტრს წამში (ყველაზე მეტი ქარებია თბილისში მარტსა და აპრილში). კურორტის რაიონში ქარის საშუალო სისწრაფე შეადგენს 1,2 მეტრს წამში (ბოტანიკური ბაღი). მზის სხივადობის ხანგრძლივობა შეადგენს წელიწადში საშუალოდ 2180 საათს. საშუალოდ დღეში კი 6 საათს. მზის სხივადობის მაქსიმალური რაოდენობა აღნიშნულია ივლისში და უდრის 9,1 საათს. მინიმალური კი დეკემბერში და შეადგენს დღეში საშუალოდ 3,1 საათს.

მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარე, თბილისის ჰავა უნდა ცნობილი იქნეს, როგორც შედარებით ზომიერი კონტინენტალური, ცხელი ზაფხულით და მსუბუქი, თბილი ზამთრით, რაც თავის-თავად ბალნეოლოგიურ ფაქტორებით მკურნალობის ეფექტიანობაზე ახდენს დამატებით ხელშემწყობ გავლენას.

მინერალური წყაროები


(შოკლე ჰიდროგეოლოგიური და ფიზიკურ-ქიმიური დახასიათება)

ცნობები თბილისის თერმალურ და ჰიპერთერმალურ (გოგირდოვანი) მინერალურ წყაროების შესახებ ეკუთვნის უძველეს დროს, როგორც ამაზე ზევით იყო ნათქვამი.

უფრო გვიან, 930 წელს, არაბეთის გეოგრაფი ალ-ისტარხი

* პროფ. მ. ზანდუკელი „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი და მისი განვითარების პერსპექტივები“. თბილისის ჯანგანის ფიზიკური მეთოდებით მკურნალობის ინსტიტუტის 1927—1937 წლების შრომათა კრებული.

K 264. 429 4121 6760
3



სურ. 3. თბილისი—ბოტანიკური ბაღი (წყალგარდნილი).

2. თბილისის კურსარტები.



საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

აღნიშნავს, რომ, „თბილისში არსებობს ცხელწყლიანი აბანოები უცეცხლოდ“.

ცნობილი ფრანგი მოგზაური შარდენი XVII საუკუნის პირველ ნახევარში დაწვრილებით ეხება თბილისის ცხელ გოგირდოვან მინერალურ წყლებს.

საქართველოს ცნობილი მეცნიერი, გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი XVII საუკუნის მეორე ნახევარში იხსენიებს თბილისის ცხელ წყაროებსა და მათთან მოწყობილ დიდ აბანოებს.

თბილისის თერმალურ წყაროების პირველი საფუძვლიანი გამოკვლევა მოახდინა აკადემიკოსმა აბიხმა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ამ გამოკვლევათა შედეგად აკადემიკოსმა აბიხმა მოგვცა ადგილის გეოლოგიური აღწერა და აღნიშნა ამ მინერალურ წყაროების სამკურნალო მიზნით გამოყენების შესაძლებლობა და მიზანშეწონილება.

შემდეგ ამისა, კავკასიის სამთო სამმართველოს მიერ 1911 წელში ჩატარებულ იქნა მინერალურ წყაროების რაიონის გეოლოგიური გამოკვლევა.

თბილისის თერმალური წყაროების რაიონში ყოველმხრივი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ფართო გაშლა შესაძლო შეიქნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და ჰიდრო-მინერალურ და ქვეყნის სხვა საკურორტო რესურსებზე კერძო საკუთრების მოსპობის შემდეგ.

1932 წლისათვის მინერალური წყლის ბუნებრივი გამოსავალი თბილისში იყო სულ 35-მდე (მათ შორის 5-მდე ცივი წყლის გამოსავალი) საერთო დებიტით 1.300.000 ლიტრი დღე-ღამეში. წყაროები დანომრილი არ იყო და მათი სახელწოდება აღნიშნულია ლათინური ასოებით, რომლებიც მიეკუთვნა მათ წარსულ საუკუნის მეორე ნახევარში პირველი მათი გამომკვლევის აკადემიკოს აბიხის მიერ. მინერალურ წყაროების ზოგიერთ ჯგუფს აქვს ერთი საერთო ჯგუფური სახელწოდება. ეს ჯგუფებია: A, a, B, C, D, E, Q, გ, K, K₁, P, M, N, O, W, T, R, S, S₁, L₁, L₂, H, U ჯგუფი J (რომელშიც შედის 5 წყარო), წყარო „გოგილო“ და ხუთამდე ცივი წყარო (მათ შორის № 8, № 14 ყოფ. ჩითახოვის წყარო და სხვა).

ყველა ეს წყარო, გარდა გოგილოსა და ჩითახოვის წყაროებისა, იმყოფება მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე სეიდ-აბადის მთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ფერდობზე, დანარჩენი ორი წყარო



სურ. 4. თბილისი—მდ. მტკვარი მინერალური წყაროების რაიონში (მოსჩანს ნარიყალას და მეტეხის ციხეები.)

(გოგილო და ჩითახოვისა) მდებარეობს მტკვრის შარცხენა ნაპირზე.

თერმული წყაროების გამოსავალი დაკავშირებულია ამ რაიონში ჩამდინარე „დაბახანის“ ხეობის წყებათა (ფენათა) სიზრქესთან, რომელიც საქ. მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფ. ი. კაჭარავას მიერ მიკუთვნილია ეოცენის ქვემო-ლუტეციის ქვე-სართულზე. დაბახანის ხეობა, რომლის გასწვრივ მდებარეობს თერმული წყლის მთავარი გამოსასვლელი, იმყოფება სეიდ-აბადის ანტიკლინალის ჩრდილოეთის ფრთაზე, მისი ცენტრალური (ღერძის) ნაწილის მახლობლად.

თერმული წყალი პოულობს გამოსავალს ნაპრალებში, რომელსაც ამ რაიონში აქვს სხვადასხვა მიმართულება.

ეს ნაპრალები უმეტეს შემთხვევაში შევსებულია კალციტებით, არის აგრეთვე კაჟი და ცეოლიტები.

პროფ. ი. კაჭარავას მონაცემების მიხედვით, თბილისის თერმები ვადოზური წარმოშობისაა. ის აღნიშნავს, რომ ამ რაიონში განვითარებულ ანდეზიტებს და პლაგიოკლაზიტებს აქვთ საშუალო-ეოცენური ხანა და ამიტომ თბილისის თერმების დაკავშირება მათთან შეუძლებელია. სეიდ-აბადის ანტიკლინალი, რომლის ღერძი აღმართულია დასავლეთის მიმართულებით, ააშკარავებს სულ უფრო და უფრო ძველ ქანებს.

ამის გამო იქმნება პირობები, რომელნიც ხელს უწყობენ ზედაპირულ წყლის სიღრმეში ჩადენას.

განსაზღვრულ სიღრმემდე მიღწევისას, გამთბარი და მინერალიზებული წყალი, ჰიდროსტატიკური წნევის გამო, ნაპრალებით აღის ზევით და მდინარე მტკვრის ხეობაში ამოდის ყველგან თერმული წყაროების სახით.

ხსნის რა ამნაირად თბილისის თერმული წყაროების წარმოშობას, პროფ. ი. კაჭარავა განსაზღვრავს მინერალური წყლის ცირკულაციის სიღრმეს დაახლოებით 1200—1300 მეტრით.

ამიერკავკასიის გეოლოგიურ სამმართველოსთან ერთად საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის მიერ 1933—1935 წლებში ჩატარებულ დეტალურ საკვლევო-საძიებო ბურღვითი სამუშაოების შედეგად, მინერალური წყაროების საერთო დებიტი გაძლიერებულ იქნა 500,000 ლიტრით დღე-ღამეში. ამავე დროს სამი ბურღილიდან, რომელთაგან თითოეულის სიღრმე აღწევდა 110 მეტრს, ორმა—№1 და №2, მოგვცა თვითდენი, რის შედეგადაც აქამდე არსებული მინერალური წყაროების საერთო დებიტი

1,300,000 ლიტრიდან გაიზარდა 1,750,000 ლიტრამდე. ბურღილ №3-მა მინერალური წყლის თვითდენი არ მოგვცა.

აღსანიშნავია, რომ ბურღილებმა № 1 და № 2 მოგვცა თვით-მომდინარე დებიტი 850.000 ლიტრი დღე-ღამეში, მაგრამ ამავე დროს ბუნებრივი წყაროების დებიტმა იკლო 300.000 ლიტრით დღე-ღამეში, ასე რომ, როგორც აღნიშნული იყო, დებიტმა საერთო ჯამში მოიმატა 500.000 ლიტრი დღე-ღამეში. ამასთანავე, ერთ-ერთმა ბუნებრივმა წყარომ (ყოფ. ჩითახოვის) სრულიად შეწყვიტა დებიტი.

ახალი ბურღილების ბაზაზე აშენებულია თბილისის მომავალი ბალნეოლოგიური კურორტის გრანდიოზული, შშვენივრად მო ყობილი სააბაზანო შენობა, რომელიც გაიხსნა 1938 წელს.



სურ. 5. თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტის სააბანო შენობის შესავალი.

უნდა ავლნიშნოთ, რომ ღრმა ბურღვის ჩატარებამდე, ზერე-ლე ბურღილების (რიცხვით 180-მდე) საშუალებით განსაზღვრულ იქნა თერმული წყლის ცირკულაციის კერები მინერალურ წყაროების რაიონში, რომელთა საფუძველზე ჩატარებულ იქნა, როგორც

პირველადი (1933—1935 წ.), ისე შემდგომი ბურღვითი სამუშაოები.

პირველად ჩატარებული სამუშაოებით სრულდაც არ იყო ამოწურული საკითხი თბილისის ბალნეოლოგიური რესურსების სათანადო წესრიგში მოყვანის შესახებ. მინერალური წყლის ყველა წყაროდან მხოლოდ ორი მუშაობდა ნორმალურ პირობებში — ბურღილები № 1 და № 2, რომლებიც მიღებული იქნენ, როგორც უკვე მოვიხსენიეთ 1933—1936 წლებში ჩატარებულ ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოთა შედეგად, დანარჩენი წყაროები წარმოადგენდნენ მინერალური წყლის ბუნებრივ გამოსავალებს, რომელთაც ჰქონდათ ძველი ზერელე საკაპტაჟე ნაგებობანი (მიწის ქვეშა ხვრელები და სხვა), რის შედეგად ისინი არ იყვნენ უზრუნველყოფილი სისტემატური გაჭუჭყიანებისაგან და ამავე დროს მინერალური წყლის დიდი რაოდენობა იკარგებოდა, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა მოსახლეობის მინერალური წყლით მომარაგების მზარდ მოთხოვნაზე.

გარდა ამისა, მინერალური წყაროები მიმოფანტული იყვნენ დიდი ტერიტორიის სივრცეზე და ჰქონდათ სხვადასხვა ტემპერატურა, რაც აძნელებდა მათ მიზანშეწონილ ექსპლოატაციას.

თბილისის თერმული წყაროების რაიონში ჰიდრომინერალურ რესურსების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კურორტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი შეუდგა კვლევითი სამუშაოების ჩატარებას 1945 წლის 1 მაისიდან.

ამ სამუშაოების მიზანი იყო ყველა წყაროს წყლის მოგროვება რამოდენიმე წერტში ღრმა საკაპტაჟო ნაგებობათა საშუალებით, მინერალური წყლის დებიტისა და ტემპერატურის გადიდება და მათი დაცვა ყოველგვარ გაჭუჭყიანებისაგან.

გეგმით გათვალისწინებული ბურღვითი სამუშაოები, რომლებიც დაწყებული იყო 1945 წელს, ძირითადად დამთავრებულია ხუთი ბურღილის გაყვანით სიღრმით 100-დან 250 მეტრამდე თითო.

ამ სამუშაოთა ჩატარების დროს პარალელურად მიმდინარეობდა სისტემატური ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და რადიოლოგიური გამოკვლევა, აგრეთვე საცდელი სამუშაოები და რეჟიმული დაკვირვებანი ყველა წყაროზე.

1945—1947 წლებში ჩატარებულ სამუშაოთა შედეგებზე ნათელი წარმოდგენისათვის ქვემოთ მოგვყავს სათანადო ცხრილი.

| წყაროების დასახელება | წყაროების დებიტი 1945 წელში ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოთა დაწყებამდე (ლიტრები დღეღამეში) | მინერ. წყაროების დებიტი ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოთა დაწყებამდე 1947 წ. (ლიტრები დღეღამეში) | წყლის ტემპერატურა | შენიშვნა |
|---|---|---|-------------------|--|
| ბურღი № 1 . . | 360.000 | 190.000 | 37° | ვინაიდან საბურღი სამუშაო დამთავრებულია რამოდენიმე თვის წინეთ და ამის გამო წყაროების რეჟიმი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დამყარებული, |
| „ № 2 . . | 440.000 | 200.000 | 43° | დებიტის ეს ციფრები შეიძლება რამოდენიმედ შეიცვალოს. |
| „ № 4 . . | — | 140.000 | 44° | |
| „ № 5 . . | — | 450.000 | 45° | |
| „ № 6 . . | — | 930.000 | 27° | |
| „ № 7 . . | — | 450.000 | 40° | |
| „ № 8 . . | — | 640.000 | 46,5° | |
| ყველა დანარჩენი ბუნებრივი წყარო | 950.000 საშუალო | 350.000 | 40° | |
| ს უ ლ . . | 1.750,000 | 3.350.000 | | |

როგორც შემომოყვანილ ცხრილიდან ჩანს, ყველა წყაროს (როგორც ბუნებრივი წყაროების, ისე ბურღილების) მინერალური წყლის საერთო დებიტი ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოთა ჩატარების შედეგად გადიდა 1.750.000—დან 3.350.000 ლიტრამდე დღეღამეში, ე. ი. დებიტმა იმატა 1.600.000 ლიტრი დღეღამეში. იმ დებიტთან შედარებით კი, რომელიც იყო ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოთა დაწყებამდე (1932 წ.) დებიტმა იმატა 2.050.000 ლიტრით დღეღამეში.

საერთო დებიტიდან ამჟამად მინერალური წყალი ხმარდება 11 ობიექტს, მათ შორის მომავალი ბალნეოლოგიური კურორტის სააბაზანო შენობას, ქალაქ თბილისის ჯანდაცვის განყოფილების გოგირდ-წყალ-ტალახით სამკურნალოსა და თბილისის კომუნალურ განყოფილების სააბანო ტრესტის ცხრა ჰიგიენურ აბანოს.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე პერიოდში, ბუნებრივი მინერალური წყაროების დებიტი შემცირდა 950.000 ლიტრი-

დან 350.000 ლიტრამდე დღე-ღამეში, მთლიანი დებიტის 1.750.000 ლიტრის 3.350.000 ლიტრამდე გადიდებით.

ზოგიერთი ბუნებრივი წყარო სრულიად ამოიწურა და დებიტს არ იძლევა—წყაროები a, B, C, g, N, H და საგარნიზონო აბანოს ერთი ცივი წყარო.


თბილისის მინერალური წყალი თავისი ფიზიკურ-ქიმიური მონაცემების მიხედვით მიეკუთვნება თერმულ და ჰიპერთერმულ (თბილ და ცხელ) ჰიდროსულფიდურ წყლებს—ევროპის სახელგანთქმული კურორტების ცნობილი წყლების ტიპს (კოტერე, ბარეჟი, ვალდერი, ექს-ლემენი, ამელი-ლე-ბენ, ლე-ვერნე, ლე-პრესტი და სხვ.)

წყლების მეტი ნაწილის მინერალიზაცია მერყეობს 0,3—0,4 გრამის ფარგლებში ერთ ლიტრში. ცალკეულ წყაროების ტემპერატურა კი მერყეობს 37°—46,5° ფარგლებში.

ანიონებიდან ეს სუსტად მინერალიზებული წყლები შეიცავენ ქლორს, ჰიდროკარბონატს და სულფატს თითქმის თანაბარი რაოდენობით. კატიონებიდან ჰარბობს ნატრიუმის იონები და აგრეთვე მონაწილეობს კალციუმი და მაგნიუმი.

უნდა აღინიშნოს, რომ 1945—1947 წლებში ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოთა ჩატარების შედეგად ერთი ბურღილიდან (№ 6) სიღრმით 250 მეტრიდან (რომელიც გაყვანილია ამ რაიონის ღრმა ჰორიზონტების დაზვერვის მიზნით) მიღებულ იქნა მინერალური წყალი დიდი დებიტით (930,000 ლიტრი დღე-ღამეში). ამ ბურღილის წყალი დაბალ ტემპერატურასთან ერთად, დანარჩენ ყველა წყაროს წყლისაგან განირჩევა გოგირდ-წყალბადის შედარებით მაღალი შემადგენლობით (40 მილიგრამამდე ერთ ლიტრში) და მეტი მინერალიზაციით (0,75 გრამი ერთ ლიტრში), უნდა ვიფიქროთ, რომ ამ წყალს, უთუოდ, ზოგ შემთხვევაში მეტი სამკურნალო ეფექტი ექნება, რითაც იგი უფრო მეტად გაამდიდრებს თბილისის თერმული წყლის ბალნეოლოგიურ მნიშვნელობას.

უნდა აღვნიშნოთ კიდევ თბილისის თერმული წყლის ზოგიერთი თავისებურებანი, რომელიც აღიღებს მის ღირებულებას. ეს არის ნაწილობრივ-რადიაქტიულობა, აგრეთვე მასში შემავალი ნიკელის ნიშნები და სტრუვეს მიერ 1876 წელში აღმოჩენილი განსაკუთრებული კოლოიდები საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობით; ეს კოლოიდები არიან, ეგრედწოდებული, გლერინი ან ბარეჟინი (უკანასკნელ დროს „თბილისინი“-ს სახელწოდებით ცნობილი); კოლოიდებში შედის სილიციუმი, გოგირდი და მიკრო-ორგანიზმები,



სურ. 6. თბილისი. ბალნეოლოგიური კურორტის რაიონი.



რომლებიც მიწის წიაღიდან ამოდიან ზევით და წყლის ბიოლოგიური აქტივატორების როლს ასრულებენ მისი წარმოშობის ადგილზე.

ეს კოლოიდური ნივთიერება, რომელსაც ბალნეოლოგიაში მაღალი სამკურნალო მნიშვნელობა ენიჭება, აღმოჩენილი იყო ლონგ-შაპის მიერ ას წელზე უფრო ადრე ბარეჟის ცხელ გოგირდოვან წყაროებში.

თბილისის თერმული წყლის სამკურნალო მნიშვნელობა


თბილისის თერმული (გოგირდოვანი) წყაროები გამოყენებულია ჰიგიენური და სამკურნალო მიზნით, როგორც იყო ზევით აღნიშნული, უძველესი დროიდან. ამ წყლების სამკურნალო მიზნებისათვის გამოყენების ასეული წლების გამოცდილება, რასაკვირველია, მოწმობს მათ მაღალ თერაპიულ ეფექტს მთელ რიგ დაავადებათა დროს.

სამეცნიერო კლინიკურ-ექსპერიმენტულმა დაკვირვებებმა, რომელნიც ჩატარებული არიან მთელ რიგ სპეციალისტების მიერ ჩვენი ქვეყნის დიდი მეცნიერი-მუშაკების მონაწილეობით და ხელმძღვანელობით (საქ. მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფ. ა. ალადაშვილი, პროფ. მ. ზანდუკელი, პროფ. ვ. ანდლულაძე, პროფ. დ. ჯავახიშვილი, პროფ. პ. ბუაჩიძე, პროფ. ი. ცინცაძე, დოც. ვ. გერსამია, გ. ს. პონდოევი, დოც. ფხალაძე, ანდრეევა, დოც. ნ. მეგრელიშვილი და ლ. კურბანოვა, ნ. ოქროპირიძე, ვ. გუდიაშვილი, ვ. მახარაძე, ა. ბურჯანაძე, მ. თოფურიძე, ხურშუდიანი, გ. ბახტაძე, ნ. ძაგანია, კიკვიძე, ბახუტაშვილი, მღებრიშვილი ე. ჩილინგარიშვილი, ლ. ბიბილური, ნ. ანდრონიკაშვილი, ნ. ცხომელიძე, დ. ჭიჭინაძე და სხვები), დაადასტურა თბილისის თერმული წყლის უდაო მაღალი თერაპიული ეფექტიანობა და ეს შედეგები საფუძვლად დაედო, როგორც მისი სამკურნალო გამოყენების დოზირებასა და მეთოდუკას, ისე მკურნალობის ჩვენებათა და წინააღმდეგ ჩვენებათა გამომუშავებას.

გამოირკვა, რომ თბილისის მინერალური წყლის აბაზანა შეიძლება დანიშნულ იქნეს დღეგამოშვებით ან ყოველდღე, საშუალოდ 15 წუთის ხანგრძლივობით და ტემპერატურით 35°—38° ფარგლებში; მკურნალობის საერთო კურსი, საშუალოდ, 15—20 აბაზანა. ყველაფერი ეს უნდა სხვადასხვაობდეს ავადმყოფობის სიმძიმისა და ხასიათის მიხედვით.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის მინერალური წყა-

•ပဆဲးရှင်ရိပ် ဂျပန်အစိုးရက ဆောက်လုပ်ပေးခဲ့သော ရေပေးစနစ် ဖြစ်ပြီး ဂျပန်အစိုးရက ဆောက်လုပ်ပေးခဲ့သော ရေပေးစနစ်—၁၉၅၅ ခုနှစ်




როების წყალს, რომელიც დღემდე იხმარება მხოლოდ და მხოლოდ ამბულატორიულ პირობებში, არ შეუძლია მოგვცეს ის თერაპიული ეფექტი, რასაც სტაციონარულ, სანატორულ მკურნალობის პირობებში მოგვცემდა, რომელთან დაკავშირებულია სათანადო სამკურნალო რეჟიმის დაცვა და რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს სავალდებულო პირობას სრული სამკურნალო ეფექტის მისაღებად.

თბილისის თერმული წყაროების ბაზაზე სათანადო სამკურნალო სტაციონარის შექმნა, უეჭველად მნიშვნელოვნად შეამცირებს ავადმყოფთა დიდი კონტინენტის გაგზავნის საჭიროებას სხვა ბალნეოლოგიურ კურორტებზე (წყალტუბო, მაცესტა, მენჯი, ახტალა და სხვ.).

თბილისის თერმული წყაროები თავიანთი სამკურნალო მნიშვნელობით განსაკუთრებული ყურადღების ღირსნი არიან მათი უფრო მეტი კეთილმოწყობის მხრივაც, რათა შეიქნას საშუალება მათი ფართედ გამოყენებისათვის ძირითადად სამკურნალო მიზნით.

თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტს კიდევ ერთი დიდი უპირატესობა აქვს სხვა სახელგანთქმულ საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტთა წინაშე, როგორცაა ბორჯომი, აბასთუმანი, წყალტუბო, მენჯი, მაცესტა, გაგრა და სხვ.



სურ. 7. თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის სააბაზანო შენობის ექსპერიმენტული კაბინები.

ეს უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ ის უშუალოდ ახლოსაა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებთან, მათი კვალიფიციური კადრებით.


თბილისის შობავალი ბალნეოლოგიური კურორტის სააბაზა-
ნო შენობა, მასთან აუცილებელ საჭირო სტაციონარით უნდა გახ-
დეს კურორტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საუ-
კეთესო და ძირითადი ბაზა, თბილისის საკურორტო რესურსების,
და მათ შორის კუმისის ტბის დიდი ღირსების სამკურნალო ტა-
ლახის ყოველმხრივი შესწავლისა და საქართველოს კურორტები-
სათვის სათანადო კადრების მომზადების მიზნით.

თბილისის თერაპიული ფულით ავადმყოფთა მკურნალობის ჩვენებანი

1. სახსრების ქრონიკული დაავადებანი (რევმატიული, ინ-
ფექციური, ტრავმატიული, ენდოკრინული, პოდაგრული და აგრე-
თვე სხვადასხვა ხასიათის არტრალგიები);
2. გულისა და სისხლის ძარღვთა სისტემის დაავადებანი
კომპენსაციის სტადიაში;
3. პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებანი (ნევრიტები,
ნევრალგიები, სხვადასხვა სახისა და წარმოშობის);
4. ნერვულ სისტემის ფუნქციონალური დაავადებანი (ნევრო-
ზები და ნევრასტენია მსუბუქი და საშუალო ხარისხის);
5. ქრონიკული გინეკოლოგიური დაავადებანი (საშვილოსნოს,
საკვერცხეების და მათი დანამატების ანთებადი პროცესები და
სხვა);
6. კუნთების, მყესების ანთება და კუნთების ტკივილები
სხვადასხვა წარმოშობის;
7. ჰიპოტონია და ჰიპერტონია მსუბუქ და საშუალო ფორ-
მებში.
8. ნივთიერებათა ცვლის დაავადებანი;
9. კანის ზოგიერთი დაავადებანი (პსორიაზი, ეკზემა და სხვა).

წინააღმდეგჩვენებანი

1. გულისა და სისხლ-ძარღვთა სისტემის დაავადებანი დეკომ-
პენსაციის სტადიაში;
2. ჩვენებებში აღნიშნული ყველა დაავადებანი მწვავე პე-
რიოდში;
3. საერთო სკლეროზი და ტვინის მილების სკლეროზი;
4. ჰიპერტონიის მძიმე ფორმები;
5. ავთვისებიანი სიმსივნეები.



სურ. 7-ა. თბილისი. პანთეონი მთაწმინდის
ფერდობზე.

თბილისის თერმული წყლის ქიმიური ანალიზი
ბურღილი № 2


ნიმუში აღებულია 1945 წლის 26/X

ტემპერატურა—43,2° D—318.800 ლ. 24 საათში

მშრალი ნაშთი, გამოშრობილი 105°—0,338 გრ.

| | გრამები ერთ ლიტრში | მგრ. მკვ. | მგრ. მკვ. ‰-ში | კლასიფიკა- ცია პალმერით |
|-------------------------------------|--------------------------|--------------|----------------------|---|
| Na ⁺ + K ⁺ | 0,9994 | 4,33 | 73,14 | S ₁ —66,73 |
| Ca ⁺⁺ | 0,012 | 0,60 | 10,14 | S ₂ — |
| Mg ⁺⁺ | 0,012 | 0,99 | 16,72 | A ₁ —6,41 A ₂ —76,86 |
| Cl ⁻ | 0,0923 | 5,92 | 100,0 | 100,00 |
| SO ₄ ⁼⁼ | 0,0650 | 2,60 | 43,92 | |
| HS ⁻ | 0,0190 | 1,35 | 22,81 | |
| HCO ₃ ['] | 0,0854 | 0,57 | 9,62 | |
| H ₂ S | 0,003 | 1,40 | 23,65 | |
| თავისუფალი საერთო მინერალ. pH | 0,3881 7,7 | 5,92 | 100,00 | |

კურლოვის ფორმულა:




თბილისის მინერალური (თერმული) წყლის ქიმიური ანალიზი
ბურღილი № 8

ნიმუში აღებულია 1947 წლის 29/IX

ტემპერატურა—46,6° დებიტი—500.000 ლ. 24 საათში
მშრალი ნაშთი, გამოშრობილი 110°—0,328 გრამი

| იონები | გრამები ერთ ლიტრში | მგრ. მკვ. | მგრ. მკვ. ‰ | კლასიფიკაცია პალმერით |
|---|-----------------------|--------------|-------------------|---|
| Na' + K . . . | 0,0874 | 3,80 | 86,18 | S ₁ —59,41% S ₂ —0,00% A ₁ —26,77% A ₂ —13,82% |
| Ca ⁺⁺ . . . | 0,0100 | 0,50 | 11,33 | |
| Mg ⁺⁺ . . . | 0,0013 | 0,11 | 2,49 | |
| | | | | |
| | | 4,41 | 100,00 | 100,00 |
| Cl' . . . | 0,0603 | 1,70 | 38,55 | |
| SO ₄ '' . . . | 0,0444 | 0,92 | 20,86 | |
| HS' . . . | 0,0112 | 0,34 | 7,71 | |
| HCO ₃ ' . . . | 0,0671 | 1,10 | 24,94 | |
| CO ₃ . . . | 0,0210 | 0,35 | 7,94 | |
| | | 4,41 | 100,00 | |
| SiO ₂ . . . | 0,0420 | | | |
| Fe ₂ O ₃ + Al ₂ O ₃ | 0,0210 | | | |
| საერთო მინერალ. | 0,3657 | | | |
| თავისუფ. H ₂ S | 0,0008 | | | |

კურლოვის ფორმულა:




თბილისის მინერალური (თერმული) წყლის ქიმიური ანალიზი
ბურღილი № 6

ნიმუში აღებულია 1947 წლის 9/IX
ტემპერატურა 27,0° დებიტი 936.700 ლ. 24 საათში
მკვრივი ნაშთი გამოშრობილი 110° 0,694 გრამი

| იონები | გრამები ერთ ლიტრში | მგრ. მკვ. | მგრ. მკვ. ‰-ში | კლასიფიკაცია პალმერით |
|--|--|--------------|----------------------|--|
| Na+K | 0,1541 | 6,70 | 63,63 | S ₁ —63,63% S ₂ —8,93% A ₁ —0,00% A ₂ —27,44% |
| Ga | 0,0580 | 2,90 | 27,54 | |
| Mg | 0,0109 | 0,93 | 8,83 | |
| | | 10,53 | 100,00 | |
| Cl | 0,1570 | 4,42 | 41,98 | |
| SO ₄ | 0,1555 | 3,22 | 30,58 | |
| HS | 0,0065 | 0,22 | 2,09 | |
| HCO ₃ | 0,1630 | 2,67 | 25,35 | |
| | | 10,53 | 100,00 | |
| საერთო მინერალ. თავისუფალი H ₂ S | SiO ₂ 0,0440 Fe ₂ O ₃ +Al ₂ O ₃ 0,0210 0,7700 0,0295 | | | |

კურლოვის ფორმულა:



კურორტი კოჯორი

ადგილმდებარეობა და მოკლე ისტორიული მონაცემები

თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მიდის გუდრონირებული საავტომობილო მიხვეულ-მოხვეული და საკმაოდ აღმართებიანი გზატკეცილი, რომელიც გაივლის რა თბილისის საგარეუბნო სააგარაკო ადგილებს—ოქროყანას, შინდისს, ტაბახმელასა და სხვ. სულ 30 წუთის მოგზაურობის შემდეგ, მიგვიყვანს სამთო-კლიმატურ კურორტ კოჯორში (1300—1400 მეტრი ზღვის დონიდან). აქედან ეს გზა მიიმართება კიკეთისა და მანგლისისაკენ. აღნიშნული გზატკეცილით მანძილი თბილისიდან კოჯორამდე შეადგენს 18 კილომეტრს; საცალფეხო ბილიკით კი ეს მანძილი 7 კილომეტრია. კოჯორის ასეთი სიახლოვე დიდმოსახლეობიან, სამრეწველო და ადმინისტრაციულ ცენტრთან, როგორცაა თბილისი-ხდის მას უაღრესად დიდი მნიშვნელობის კურორტად, განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში, როდესაც თბილისში სიცხე-პაპანაქებაა, კოჯორში კი ამ დროს სასიამოვნო სიგრილეა.

ძველად, როდესაც თბილისის მოსახლეობა არ იყო დიდი, ხოლო მისი მიდამოები მდიდარი იყო მწვანე ნარგავებით—ტყეებით და ბაღებით და ქალაქში ზაფხულობით უფრო გრილოდა, ვიდრე ამ ჟამად, მოსახლეობა მაინცდამაინც არ მიისწრაფოდა ქალაქ გარედ. ამ პერიოდში, მხოლოდ ქალაქის მცხოვრებთა განსაკუთრებით შეძლებული ნაწილი გადიოდა საგარეუბნო სააგარაკო ადგილებში. ასეთ სააგარაკო ადგილებად თბილისისათვის მაშინ ითვლებოდა ორთაქალა, კრწანისის ბაღები, გლდანი, შინდისი, ტაბახმელა, წავკისი, დილომის ბაღები, ოქროყანა, წყნეთი და კოჯორი. ამ საგარეუბნო კურორტებიდან განსაკუთრებული და პრივილეგიური ადგილი მაშინაც კოჯორს ეჭირა, რომელშიაც იმ დროს საზაფხულოდ მიემგზავრებოდნენ დიდი თანამდებობის პირები—მეფის ნაცვალთა კავკასიაში თავისი მხლებლებით და სხვა მაშინდელი მაღალი წოდებისა და თანამდებობის პირები.

შემდეგში, ქალაქის ზრდასთან ერთად კოჯორშიც დაიწყო

მშენებლობა და ზაფხულობით ამ კურორტით სარგებლობა უკვე იწყო თბილისის მოსახლეობის უფრო ფართო ფენებმა.

ადგილის თვით სახელწოდება „კოჯორი“ ერთი ვარიანტით წარმოიშვა სიტყვიდან „ქოჩორი“, რადგან მაშინდელი კოჯორის პლატო მჭიდროდ იყო დაფარული ტყეებით და მოგაგონებდათ ქოჩორს, რომელიც ამშვენებს ადამიანის თავს. მეორე ვარიანტით სიტყვა „კოჯორი“ წარმოიშვა სიტყვიდან „კოჟორა“ (დაკოჟრებული), რაც ახასიათებს ადგილის რელიეფს, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს კურორტის სხვადასხვა უბნების მიკროკლიმატურ თავისებურებას.

კოჯორის პლატოდან თვალწინ იშლება ბუნების თვალწარმტაცი სანახაობა—ლისისა და კუს ტბები, კურორტები ბეთანია და წყნეთი, საგურამოს მთები, ნახშირგორა და მოშორებით კავკასიის მთავარი ქედი თავისი მუდამ თოვლიან მწვერვალებით.

კოჯორის დასავლეთ განაპირა მხარეზე, მისგან ორი კილომეტრის მანძილზე ქედმალლურად გადმომდგარა ძველი ციხე „ქერ-ოღლი“, რომელიც ზემოდან გადაყურებს გარემოს.

ციხის სიმაღლიდან იშლება საუცხოო სანახაობა ჩრდილოეთისაკენ, თბილისსა და მის მიდამოებზე, აზერბაიჯანის მთებზე, სამხრეთით მანგლისის მიდამოებსა და აღმოსავლეთით კუმისის ტბაზე, რომელიც ცნობილია მაღალხარისხოვანი სამკურნალო ტალახის დიდი მარაგით.

ამ რაიონის მატერიალური კულტურის მრავალრიცხოვანი ძველი ძეგლებიდან უნდა აღინიშნოს ძველი ტაძარი „უძო“, რომელიც მდებარეობს თანამოსახელე მთის მწვერვალზე; ეს უკანასკნელი კარგად მოჩანს თბილისიდანაც. სიტყვა „უძო“ წარმოიშვა სიტყვიდან „უძეო“, რაც უშვილოს ნიშნავს. აქ უძველეს დროში სალოცავად მოდიოდნენ უშვილონი, განსაკუთრებით უშვილო ქალები.


„უძო“ კოჯორიდან 2 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს და დაკავშირებულია მასთან კარგი გზით. აქ მოწყობილია პიონერთა დიდი ბანაკი.

კოჯორის სამხრეთ-დასავლეთით, პატარა მდინარის—ასურეთის წყლის ხეობაში მდებარეობს ქაბენის მონასტერი, რომლის ერთი ტაძარი თამარ-მეფის (1184—1212) ეპოქის დროინდელია. ეს ტაძარი (ნანგრევები) წარმოადგენს ძველი ქართული არქიტექტურის საუცხოო ძეგლს.

მეორე ძველი ტაძარი, რომელიც მოთავსებულია მონასტრის

გალავნის გარეთ, შენარჩუნებულია ჩვენ დრომდე. ამ ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე დარჩენილია ქართული წარწერა, რომლის მიხედვით მისი მშენებლობა მიეკუთვნება თამარ-მეფის ეპოქას.

წყალს კურორტი ღებულობს ჭებიდან და წყაროებიდან, რომლებიც მთლიანად ვერ აკმაყოფილებენ ზაფხულის პერიოდში კურორტის მოსახლეობის მოთხოვნილებას; ამჟამად უკვე მიმდინარეობს მუშაობა კურორტის სრული უზრუნველყოფისათვის წყლით.



სურ. 8. კურორტი კოჯორი. საერთო ხედი.

ელექტროენერჯით კურორტი მომარაგებულია 1936 წლიდან ზაჭესიდან მაღალი ძაბვის ელექტრო-ხაზის გაყვანით.

საკურორტო სამმართველოს საკმაოდ მნიშვნელოვანი საბინაო ფონდი, რომელიც 900 ოთახამდე აღწევს, შაინც ვერ აკმაყოფილებს კურორტის მზარდ მოთხოვნილებას, და ამ მხრივ, კოლმეურნეთა საბინაო ფონდის გამოყენებაც ვერ სწყვეტს საბოლოოდ საკითხს.

კურორტსა და ქალაქს შორის სამიმოსვლო რეგულარულ კავშირს ანხორციელებს საავტომობილო ტრანსპორტი.

კოჯორში არსებული სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებიდან ყურადღების ღირსია საკურორტო სამმართველოს

ბავშვთა და მოზარდთა სანატორიუმები, ორი სანატორიუმი ძვლის ტუბერკულოზით დაავადებულთათვის, აქედან ერთი თბილსაბჭოს ჯანგანყოფილებისა, მეორე კი საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროსი. მუშაობს აგრეთვე ფუნქციონალურ ნერვულ დაავადებათა ინსტიტუტის ნევროლოგიური სანატორიუმი. ეს უკანასკნელი სამი სანატორიუმი მოქმედებაშია მთელი წლის განმავლობაში. სეზონურად მოქმედებს აგრეთვე სახვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის დასასვენებელი სახლი. კოჯორში მოწყობილია საქ. სსრ განათლების სამინისტროს უმწეო ბავშვთა მუდმივი ახალშენი—სკოლა. ჩამოთვლილ დაწესებულებათა გარდა, კოჯორში სხვადასხვა პროფკავშირული, კოოპერატიული და სახელმწიფო ორგანიზაციები ზაფხულობით ხსნიან შრავალ სხვადასხვა პროფილაქტიკურ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებებს, უმთავრესად ბავშვებისათვის—პიონერთა ბანაკების, ბავშვთა მოედნებისა და სხვათა სახით. თბილისიდან იქ გადმოაქვთ ზაფხულობით საბავშვო ბალები, საბაკშვო ბაგები და სხვა; ასე რომ კოჯორი ახდენს განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, ბავშვთა სამეფოს სრულ შთაბეჭდილებას.

საკურორტო სამმართველოს მონაცემების მიხედვით 1936—37 წელს ბავშვთა ორგანიზებულ დაწესებულებათა მიერ კოჯორში დაკავებული იყო მთელი საბინაო ფონდის 30%-ზე მეტი. დანარჩენი 60—70% საბინაო ფონდისა დაკავებული იყო აგრეთვე ბავშვებისათვის, მხოლოდ საკურორტო და კოლმეურნეთა საბინაო ფონდის ფართობის ინდივიდუალურად გამოყენების წესით.

კოჯორში არსებობს საკურორტო სამმართველოს პოლიკლინიკა, რომელიც მოქმედებაშია ზაფხულის სეზონში, არის აგრეთვე საგარეუბნო რაიჯანგანის ამბულატორია, აფთიაქი, ფიზკულტურის მოედანი, რომელიც მოწყობილია 1936 წელს გახსნილ ბავშვთა სანატორიუმთან (ყოფ. მე-33 აგარაკი); იმავე სანატორიუმის შემოლობილ და ფიჭვის ნარგავებით გამწვანებულ ტერიტორიაზე იმავე წლიდან მოწყობილია სოლარიუმი მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მოთხოვნათა შესაბამისად.

გარდა აღნიშნულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ ხასიათის დაწესებულებებისა, კოჯორში არის აგრეთვე სხვა დაწესებულებებიც, რომლებსაც კურორტისათვის აქვთ დამხმარე ხასიათი; ასეთებია: ფოსტა-ტელეგრაფი, სატელეფონო კავშირი თბილისთან, საავტომობილო მიმოსვლის სადგური, სახელმწიფო და კოპერატიულ-სავაჭრო დაწესებულებათა ქსელი, სამრეწველო საქონლის მაღა-



ზიები, სასაღილოები, კიოსკები და სხვა. კურორტის ბაზარზე
 ველთვის შეიძლება (უმთავრესად ზაფხულის პერიოდში) ხორცის
 კვერცხის, რძის ნაწარმის, ფრინველის, ხილის, მწვანილეულობისა
 და სხვ. პროდუქტების შექენა.

კურორტის ტერიტორიის უხვ მცენარეულობაში, სადაც
 წიწვიანი ჯიშები შედარებით სუსტად არიან წარმოდგენილი,
 ყურადღების ღირსია ხეხილის ბაღები. უნდა აღინიშნოს აგრეთვე,
 რომ კოჯორში არის ახალგაზრდა ფიჭვისა და სოჭის ჭალა უძოს
 გზის მიმართულებით, რაც მოწმობს იმას, რომ ამ რაიონში წიწვიანი
 ჯიშები კარგად ხარობენ; ეს გარემოება მნიშვნელოვნად გააადვი-
 ლებს მომავალში კურორტის რაციონალური გამწვანების დარგში
 ფართო სამუშაოების განხორციელებას, განსაკუთრებით თბილისის
 ზოგიერთ საგარეუბნო გატიტვლებულ ადგილებზე.

ინტერესს მოკლებული არ იქნება ავღნიშნოთ, რომ გასული
 საუკუნის მეორე ნახევარში, როცა იწყება შედარებით ინტენსიური
 სააგარაკო მშენებლობა, კურორტის ცენტრად ითვლებოდა ქვედა
 გზატკეცილი, სადაც მოწყობილი იყო სასტუმრო. იმ დროს ამ
 გზატკეცილით დადიოდნენ მანგლისში (კიკეთის გავლით—ძველი
 მანგლისის გზით). ქვედა გზატკეცილზე, ძველი სასტუმროს რაი-
 ონში, დღესაც არის დარჩენილი ქვაფენილის ნაშთი. ზემო გზა-
 ტკეცილი კი გაჩდა უფრო გვიან—ახალ სააგარაკო მშენებლობის
 შედეგად.

კოჯორის ძველი მკვიდრი მცხოვრებლები წარსულში უპირა-
 ტესობას აძლევდნენ ქვედა გზატკეცილის რაიონის კლიმატურ პირო-
 ბებს, რადგან იქ ქარები ნაკლებად იყო, ჰაერი უფრო „მსუბუქად“
 მიაჩნდათ იმ დროს, როდესაც ზემო გზატკეცილის რაიონში აღნიშ-
 ნავდნენ ძლიერ ქარებს.

ამ პერიოდში თბილისის მოსახლეობის რიცხვი აღწევდა
 100.000; ქალაქის ცენტრალურ ნაწილად ითვლებოდა „თათრის
 ბაზარი“, და ერევნის მოედანი თავისი ქარვასლით.

კოჯორი ამ პერიოდში ნაკლებად იყო ხელმისაწვდომი დასას-
 ვენებლად არამც თუ ღარიბი, საშუალო ფენის მოსახლეობისათვი-
 საც კი იმის გამო, რომ ზედმიწევნით ძვირი იყო ტრანსპორტი და
 სააგარაკო ბინები.

აგარაკებზე სამგზავროდ ხმარებაში იყო „ომნიბუსები“ („ლი-
 ნეიკები“), რომელნიც ყოველდღიურად გადიოდნენ თბილისიდან
 მანგლისში.

კოჯორს ამჟამად უჭირავს 700 ჰექტარამდე მიწის ფართობი, რომელიც ძლიერ სუსტად არის ათვისებული. საჭიროების შემთხვევაში კურორტის მშენებლობისათვის კოჯორს აქვს შესაძლებლობა გაადიდოს სააღმშენებლო ზონა 1000 ჰექტარზე მეტად.

არსებული მონაცემების მიხედვით, ზაფხულის შუაგულ სეზონში (ივლისი), როდესაც თბილისში ზედმიწევნით ცხელა, მოაგარაკეთა რიცხვი კოჯორში უკანასკნელ წლებში აღწევდა 10000 სულს.

საზაფხულო საკურორტო სეზონი კოჯორში ჩვეულებრივად იწყება ივნისის თვიდან და მთავრდება შუა სექტემბრისათვის.

მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური დახასიათება

კოჯორის გეოგრაფიული კოორდინატებია: 41° 45' ჩრდილოეთის სიგანედისა და 44° 43' აღმოსავლეთის სიგრძედისა.

კურორტის ტერიტორია აქ მდებარეობს მაღალ მთიანი პლატოს სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილში, რომელსაც აქვს საერთო დაქანება სამხრეთ-აღმოსავლეთით. მეტეოროლოგიური სადგური მოწყობილია აქ მწვანე ნარგავებში ზღვის დონედან 1302 მეტრის სიმაღლეზე. სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ადგილი ჯერ ოდნავ იწევს ზევით, შემდეგ კი საკმაო სისწრაფით ეშვება ველისაკენ. მეტეოროლოგიურ სადგურიდან სამხრეთ-დასავლეთით არსებობს საკმაოდ ციცაბო მთა, რომელიც ეშვება ხრამისაკენ; მის მოპირდაპირე მხარეზე 1,5 კილომეტრის მანძილზე სადგურიდან, წამოწყებულია მთა საკმაოდ მაღალი მწვერვალო „ქერ-ოღლით“, იმავე სახელწოდების ციხით.

ქვემოთ მოგვყავს კოჯორის საშუალო თვიური ტემპერატურისა და შედარებისათვის აგრეთვე ზოგიერთი სხვა კურორტის ტემპერატურის ცნობები.

კოჯორში მაქსიმალური ტემპერატურა შეადგენს + 30,5°, ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი კი უდრის — 14,8°.

| საშუალო წლიური ტემპერატურა | |
|----------------------------|------|
| თბილისი | 11,8 |
| კოჯორი | 7,5 |
| მანგლისი | 8,4 |
| აბასთუმანი | 6,5 |
| ლიბანი | 6,2 |
| ცემი | 7,3 |
| ბაკურიანი | 4,7 |

საშუალო თვიური ტემპერატურა C°

| ადგილების სახელწოდება | თ ვ ე ე ბ ი | | | | | | | | | | | |
|--------------------------|-------------|------|------|------|------|------|------|------|------|------|-----|------|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| თბილისი | 1,2 | 2,7 | 6,9 | 11,7 | 17,2 | 21,4 | 24,4 | 24,1 | 19,5 | 13,7 | 7,3 | 2,9 |
| კოჯორი | -2,0 | -2,5 | 1,7 | 5,5 | 11,1 | 14,6 | 17,9 | 17,9 | 13,8 | 8,8 | 3,2 | — |
| შანგლისი | -3,6 | -1,9 | 1,8 | 6,9 | 13,3 | 16,2 | 18,8 | 19,1 | 16,1 | 11,0 | 4,2 | -1,2 |
| აბასთუმანი | -6,0 | -3,6 | 0,4 | 5,6 | 11,3 | 14,8 | 17,7 | 17,4 | 13,1 | 8,0 | 2,1 | -2,4 |
| ლიბანი | -4,3 | -4,0 | — | 4,7 | 10,3 | 13,5 | 16,2 | 16,5 | 12,7 | 7,9 | 3,2 | -2,8 |
| ც ე მ ი | -4,2 | -2,1 | 1,6 | 6,2 | 11,5 | 14,9 | 18,2 | 17,7 | 13,8 | 8,8 | 3,7 | -1,6 |
| ბაკურიანი | -4,5 | -4,9 | -1,1 | 3,5 | 8,6 | 11,6 | 14,0 | 14,2 | 11,0 | 6,9 | 2,7 | -2,2 |

ნაღებების საშუალო რაოდენობა თვეების მიხედვით მ/მ-ში

| აღვილების დასახელება | თ ვ ი ე ბ ი | | | | | | | | | | | | სულ. წლ. |
|-------------------------|-------------|----|----|----|-----|-----|----|----|----|----|----|----|-------------|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | |
| თბილისი | 15 | 20 | 28 | 58 | 81 | 73 | 46 | 38 | 51 | 41 | 34 | 22 | 506 |
| კოჯორი | 20 | 35 | 47 | 91 | 124 | 96 | 65 | 59 | 66 | 76 | 54 | 34 | 767 |
| მანგლისი | 25 | 17 | 24 | 71 | 90 | 65 | 37 | 58 | 51 | 44 | 45 | 14 | 540 |
| აბასთუმანი | 33 | 33 | 30 | 45 | 89 | 92 | 69 | 49 | 43 | 46 | 43 | 46 | 618 |
| ლიბანი | 37 | 58 | 49 | 62 | 69 | 95 | 69 | 54 | 66 | 45 | 46 | 59 | 709 |
| ცეში | 38 | 31 | 35 | 49 | 75 | 85 | 51 | 46 | 49 | 33 | 43 | 43 | 578 |
| ბაკურიანი | 44 | 44 | 50 | 93 | 119 | 126 | 81 | 63 | 60 | 66 | 50 | 37 | 823 |

კოჯორის ჰაერის ტენიანობა წლიურად შეადგენს საშუალოდ 75%, ივნისში — 70%, ივლისში 72%, აგვისტოში 71%, ყველაზე მცირეა იანვარში — 71%, უდიდესი კი ოქტომბერში — 80%.

კოჯორის ქარების საშუალო სისწრაფე წლიურად შეადგენს 3,5 მეტრს ერთ წამში (ზოგიერთ უბანში კი ადგილმდებარეობის მიხედვით ქარის სისწრაფე ოდნავ მეტია 3—3,5 მ). მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ კოჯორის ჰაერის საშუალო ტემპერატურა წლიურად უფრო მაღალია, ვიდრე ისეთი სახელგანთქმული კლიმატური სადგურებისა, როგორც არის აბასთუმანი, ცემი, ლიბანი, ბაკურიანი; კოჯორის საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის 7,5°, აბასთუმანის 6,5°. ამავე დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ კოჯორის სიმაღლე აბასთუმანთან შედარებით ნაკლები არ არის, პირიქით რამოდენიმედ უფრო მაღალიცაა. (აბასთუმანში მეტეოროლოგიური სადგური მოთავსებულია ზღვის დონედან 1262 მეტრის სიმაღლეზე, კოჯორში კი 1302 მეტრის სიმაღლეზე).

თბილისის და კოჯორის ცხელი თვეების საშუალო ტემპერატურათა შედარება გვიჩვენებს, რომ იმ დროს, როდესაც თბილისის საშუალო თვიური ტემპერატურა უდრის ივნისში 21,4°, ივლისში 24,4°, აგვისტოში 24,1°, სექტემბერში 19,5° კოჯორში შესაბამისად ტემპერატურა უდრის ივნისში 14,5°, ივლისში 17,9°, აგვისტოში 17,9° და სექტემბერში 13,8°, ესე იგი, როდესაც თბილისში დიდი სიციხეა, კოჯორში ამ დროს მხოლოდ ზომიერად თბილა და ჰაერის საშუალო ტემპერატურა თბილისთან შედარებით 6—7 გრადუსით ნაკლებია. თუ ამას დაუმატებთ, რომ კოჯორში თითქმის მუდამ ქრის სასიამოვნო ნიაფი, სრულიად აშკარაა ამ კლიმატური სადგურის უაღრესად დიდი მნიშვნელობა, მისგან ასე მოკლე მანძილით დაშორებულ თბილისის მოსახლეობისათვის.

აღსანიშნავია, რომ კოჯორი ნალექების რაოდენობის მხრივაც არ იძლევა არადაამაკმაყოფილებელ მაჩვენებლებს ზემოაღნიშნულ კლიმატურ სადგურებთან შედარებით.

კურორტ კოჯორის საეკონომიკური მნიშვნელობა

კოჯორი წარმოადგენს მაღალმთიან ადგილს მაღალხარისხიანი კლიმატური სადგურის საუკეთესო მაჩვენებლებით. ამას ადას-

ტურებს მუდმივად მომქმედ მეტეოროლოგიური სადგურის დაკვირვებანი მრავალი წლის განმავლობაში. კოჯორის ჰავის მაღალსამკურნალო თვისებებში დარწმუნდენ როგორც ექიმები, ისე არა ექიმებიც, რომლებსაც დაკვირვება უწარმოებიათ ამ კურორტის მთის ჰავის ხელშემწყობ გავლენაზე ორგანიზმის სხვადასხვა დაავადებათა დროს.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად კოჯორის სიახლოვისა თბილისიდან, იქ მომუშავე ექიმთა გამოცდილებისა და დაკვირვების შედეგად არსებულ დიდძალ დამაჯერებელ მასალისა, საექვოა, რომ სამედიცინო ლიტერატურაში მოინახოს საკმაო ცნობები კოჯორისა და მისი საკურორტო-სამკურნალო ფაქტორების ორგანიზმზე გავლენის შესახებ.

არ იქნებოდა სწორი იმის მტკიცება, რომ არცერთი იმ ექიმთაგანი, რომელნიც მცირე თუ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში კოჯორში მუშაობდნენ, არ დაინტერესებულყვნენ ჯანმრთელ ან დაავადებულ ორგანიზმზე კოჯორის ჰავის გავლენის საკითხით, რადგან ამის შესახებ არსებობს მთელ რიგ ავტორიტეტულ სპეციალისტთა სამეცნიერო დაკვირვებანი, რომელთა ნაწილი მოხსენებულია სამეცნიერო კონფერენციებზე. სამწუხაროდ ეს მასალები არ არის გამოქვეყნებული ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით, რის გამო ნაკლებად ხელმისაწვდომია ან სრულიად ხელმიუწვდომელია, როგორც სპეციალისტების, ისე მით უფრო, მოსახლეობის ფართო მასებისათვის.

პირველი ნაბიჯი ადამიანის ორგანიზმზე კოჯორის მთის ჰავის გავლენის მეცნიერულად შესწავლის საქმეში, დაახლოვებით 15 წლის წინეთ გადადგმული იყო ამჟამად საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფ. ნ. ყიფშიძის და მისი თანამშრომელის ექ. დ. ბეჟანიშვილის მიერ. მატარებულ მუშაობის შედეგად გამოირკვა, რომ ყველა ბავშვის სისხლში, რომელნიც დაკვირვების ქვეშ იყვნენ, ჰემოგლობინის შემადგენლობამ მკვეთრად იმატა, საშუალოდ 10-დან 20%-მდე, ზოგ შემთხვევაში კი 25%-მდე. სისხლის წითელ ბურთულების რიცხვმაც მკვეთრად აიწია, უმრავლეს შემთხვევაში—1,5-დან 2 მილიონამდე, ბავშვთა სისხლის წნევა ნორმის ფარგლებში ჩადგა, წონაში მატება შეადგენდა 1,0-დან 3 კილოგრამამდე.

ამ დაკვირვებებმა დაადასტურეს, რომ სისხლნაკლულ ბავშვთა ყოფნა კურორტ კოჯორში წარმოადგენს მათი სისხლის რეგენერაციის საუკეთესო სტიმულს.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ნ. უმიკოვს, რომელიც კოჯორში მუშაობდა ზაფხულობით მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში, დაკვირვების ქვეშ ყავდა ათეული ათასი სხვადასხვა სენით დაავადებული ბავშვი. ექიმი უმიკოვი მივიდა დასკვნამდე, რომ კოჯორი სკოლის წინა ასაკის და სასკოლო ასაკის ბავშვთათვის წარმოადგენს საუკეთესო კლიმატურ სადგურს.

შისი განცხადებით, ის ბავშვები, რომელნიც შეპყრობილი არიან ნაწლავების დაავადების სხვადასხვა ფორმით, კვების დაქვეითებით, სისხლნაკლებობით, რაქიტით — კოჯორში მალე მომჯობინდებიან ხოლმე, ჭამის მადა მოუვათ, წონაში მატულობენ და სხვ.

ექიმ. უმიკოვს დაკვირვების ქვეშ კოლიტით დაავადებული დიდძალი ბავშვი ყავდა. ეს ბავშვები კურორტზე ჩამოსვლის მეორე დღესვე, ან კიდევ ხშირად რამდენიმე საათის შემდეგაც, თავს უკეთესად გრძნობდნენ, მალალი ტემპერატურა ეცემოდა, ავადმყოფობა სწრაფად კეთილმიმდინარეობას იჩენდა და სრული განკურნება ხდებოდა. ექ. უმიკოვს დაკვირვების ქვეშ ყავდა აგრეთვე მრავალი ფიზიკურად სუსტად განვითარებული, ფერმიხდილი და გაძვალტყავებული ბავშვი, რომლებსაც კოჯორში ჩამოსვლისას ჭამის მადა ეხსნებოდა, უუმჯობესდებოდა კვება; ისინი მატულობდნენ წონაში, უუმჯობესდებოდა მათი სახის, ტანისა და ლორწოვანი გარსის ფერი; ბავშვები მალე იჩენდნენ სიმხნევებს და გულმხიარულობას; ამავე დროს ყველა ბავშვი, როგორც ძუძუმწოვარი, ისე სკოლის წინა ასაკისა, კარგად იტანდა კოჯორის ჰავას.

ექ. ბ. ო. ხალატოვის დასკვნით, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში აწარმოებდა კოჯორის ბავშვთა მოსახლეობაზე დაკვირვებას, ამ კურორტის ჰავა განსაკუთრებით ხელშემწყობად მოქმედობს კუჭ-ნაწლავების დაავადების, გახანგრძლივებულ ბრონქიტების და აგრეთვე ყივანაველას დროს.

ძუძუმწოვარ ჯანმრთელ ბავშვებზე ჩატარებულმა დაკვირვებამ დაადასტურა კოჯორის ჰავის ფრიად ხელშემწყობი გავლენა ბავშვთა საერთო განვითარებაზე.

დაკვირვებამ, რომელიც ჩატარებული იყო (აკადემიკოსი ნ. ყიფშიძე და სხვ.) მოზრდილებზე, დაადასტურა აგრეთვე, რომ კოჯორი ამ ასაკის ადამიანთა მკურნალობისა და დასვენებისათვის წარმოადგენს საუცხოვო ადგილს. მნიშვნელოვან სამკურნალო ეფექტს იძლევა კოჯორი სისხლნაკლოვანობის და მალარიის დროს; კარგ

შედგეს იძლევა კოჯორი სხვადასხვა მწვავე დაავადებათა გადატანის შემდგომ პერიოდში (რეკონვალესცენტებზე).

ორი ზაფხულის სეზონის (1936—1937 წ.) განმავლობაში თბილისის საკურორტო სამმართველოს სანატორიუმში და დასასვენებელ სახლში ჩატარებულმა დაკვირვებებმა გვიჩვენეს მოზარდთა ჯანმრთელობის მდგომარეობის საერთო გაუმჯობესების სრულიად დამაკმაყოფილებელი ეფექტი, მოზარდთა სულ 2 კვირის განმავლობაში ყოფნის შედეგად კოჯორში (დოც. ა. ონანოვი, დოც. შ. ლორთქიფანიძე და სხვ.).

ჩვენს მიერ 1936 წელს კოჯორში გახსნილ და ახლად მოწყობილ სანატორიუმში ტარდებოდა სამეცნიერო დაკვირვება ამ კურორტის ჰავის გავლენის შესახებ 8—12 წლის ასაკის ბავშვებზე. პროფ. ილ. ლორთქიფანიძის და პროფ. მ. ი. კოკოჩაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული იყო ბავშვთა დეტალური კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევა სანატორიუმში მათი მკურნალობის დასაწყისში და ბოლოს.


ამ დაკვირვებათა შედეგად დადგენილია ლიმფური ჯირკვლების, მეორადი სისხლნაკლებობის, ქრონიკული ბრონქიტისა და მალარიის მკურნალობის მეტად თვალსაჩინო ეფექტიობა კოჯორში.

საქართველოს მეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრი გ. მუხაძე, რომელიც კარგად იცნობს კოჯორს და ათეული წლები გაუტარებია ამ კურორტზე, აღნიშნავს, რომ კოჯორი საუცხოვო ადგილია, სადაც არსებობს ფრიად ხელშემწყობი კლიმატური პირობები ბავშვთა მკურნალობისათვის, განსაკუთრებით კუჭ-ნაწლავების დაავადების დროს.

ყველა ზემოაღნიშნული მრავალი წლის მონაცემები აშკარად ყოფენ ამ კურორტის კლიმატური კომპლექსის მაღალ სამკურნალო თვისებებს. კოჯორი დადებით გავლენას ახდენს მოზარდითა, მოზარდთა, ბავშვთა ჯანსაღ და დაავადებულ ორგანიზმზე, მაგრამ განსაკუთრებით თვალსაჩინო მოქმედებას იჩენს კოჯორის ჰავა ბავშვთა ორგანიზმზე, დაწყებული ძუძუმწოვართა ასაკიდან.

უაღრესად საყურადღებო მნიშვნელობა ენიჭება კოჯორს ბავშვთა კუჭ-ნაწლავების დაავადებათა მკურნალობის საქმეში. როგორც ცნობილია, თბილისში წლის ცხელ პერიოდთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში, მნიშვნელოვნად იზრდება ბავშვთა შორის კუჭ-ნაწლავების დაავადება; ასეთ შემთხვევაში, როგორც ზემომოყვანილ დაკვირვებიდან ჩანს, ერთ-ერთ რადიკა-

ლურ და ძლიერ სამკურნალო საშუალებას წარმოადგენს დაავადებულ ბავშვთა სამთო-კლიმატურ კურორტზე გაყვანა და ეს გაყვანა რაც ადრე მოხდება, მით უკეთესია. ამ პრობლემას, ფრიად მძიმეს სხვა დიდი ქალაქისათვის, თბილისისათვის კოჯორისწყვეტს ყოველივე სიძნელის გარეშე. იგივე ითქმის რეკონვალესცენტების შესახებ— მწვავე დაავადებათა გადატანის შემდეგ, როდესაც საჭიროა ბავშვთა სამთო-კლიმატურ ადგილზე გაყვანა; ასეთ შემთხვევებში აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს ორგანიზმის საერთო ტონუსის



სურ. 9. კურორტი კოჯორი. კურორტთა სამმართველოს საბავშვო სანატორიუმი

აღდგენას და დაავადების მიმართ წინაღობის უნარის გაძლიერებას. მრავალ მოსახლეობიან დიდ სამრეწველო ცენტრთან—თბილისთან კურორტი კოჯორის ასეთი სიახლოვე, მეტად მნიშვნელოვანია. ეს იძლევა ადვილ შესაძლებლობას, სულ ნახევარი საათის განმავლობაში, გავიდეთ ქალაქიდან ისეთ სამთო-კლიმატურ კურორტზე, რომლის სიმაღლე განსხვავდება, თბილისთან შედარებით, ერთი კილომეტრით, ტემპერატურათა სხვაობა კი შეადგენს 6—8 გრადუსს, განსაკუთრებით ცხელ თვეებში.

კურორტ კოჯორის განვითარების პერსპექტივები

როგორც უკვე იყო აღნიშნული, კოჯორი წარმოადგენს მაღალ მთიან კლიმატურ კურორტს, რომელსაც აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა თბილისთან სიახლოვის გამო.

აღნიშნული პირობები უპირატესობას აძლევს კოჯორს თბილისის მოსახლეობის მომსახურების საქმეში სხვა სახელგანთქმულ სამთო-კლიმატური კურორტების წინაშე, რომლებთანაც ასე მდიდარია ჩვენი სამშობლო. ამ კურორტის კლიმატური კომპლექსის ხელშემწყობი გავლენა ორგანიზმზე ზემომოყვანილ მონაცემების მიხედვით იძლევა სრულ საფუძველს კოჯორის სამკურნალო კურორტად გამოყენებისა, პირველ რიგში ბავშვთა მოსახლეობისათვის; მაგრამ ჩვენ ხელთ გვაქვს მასალები, რომელთა მიხედვით კოჯორში მოზარდები და მოზრდილი ავადმყოფები და დამსვენებლები თავს ძალიან კარგად გრძობენ, იკურნებიან და მათი ორგანიზმის საერთო მდგომარეობა მნიშვნელოვნად უმჯობესდება. აქ ავადმყოფ ბავშვებს მალე ეტყობა მომჯობინება; სუსტი და ფიზიკურად ჩამორჩენილი ბავშვები კარგად ვითარდებიან. თბილისის ბავშვთა უამრავი მოსახლეობიდან მრავალ ათასეულ ბავშვს ესაჭიროება კლიმატური მკურნალობა და იმდენივეს და მეტსაც ესაჭიროება სავალდებულო საკურორტო პროფილაქტიკა. იმათთვის, ვისაც საკურორტო დახმარების ესა თუ ის სახე ესაჭიროება, ყველაზე უფრო ადვილად და ფართედ ხელმისაწვდომი კურორტი არის კოჯორი; ამასთანავე მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს ის გარემოება, რომ პირველ რიგში დახმარება უნდა გაეწიოს ბავშვთა ორგანიზმს, რომელიც ადვილად მოექცევა ხოლმე გარემოს სხვადასხვა მავნე გავლენის ქვეშ. ვიღებთ რა მხედველობაში კოჯორის მნიშვნელოვან ტერიტორიულ შესაძლებლობას (1000 ჰექტარზე მეტს), უნდა ითქვას, რომ კურორტის ფართობი მაინც ვერ უზრუნველყოფს თბილისის მთელ ბავშვთა მოსახლეობის საკურორტო სამკურნალო-პროფილაქტიკურ დახმარებას. აქედან გამომდინარე, არა მიზანშეწონილი იქნება კოჯორის გამოყენება თბილისის მთელი მოსახლეობის, მათ შორის მოზრდილების საკურორტო-სამკურნალო და პროფილაქტიკური დახმარების აღმოსაჩენად.

ამრიგად, მიზანშეწონილად უნდა ჩავთვალოთ კოჯორის განვითარება მომავალში ძირითადად, როგორც ბავშვთა კურორტისა სამკურნალო-პროფილაქტიკური პროფილით.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ კოჯორის, როგორც სამკუ-

რნალო-პროფილაქტიკური კურორტის გამოყენება არ შეიძლება ამოწურულ იქნეს მარტო ზაფხულის სეზონით. მკურნალობის ეფექტიანობა კოჯორის მუდმივად მოქმედ სამკურნალო დაწესებულებებში, საკმარის საფუძველს იძლევა ამ კურორტის მთელი წლის განმავლობაში გამოყენებისათვის. მაშასადამე კოჯორი ცნობილი უნდა იქნეს, როგორც საბავშვო სამკურნალო-პროფილაქტიკური სამთო კლიმატური კურორტი მისი მთელი წლის განმავლობაში მოქმედებით. როგორი უნდა იყოს თანაფარდობა სამკურნალო და პროფილაქტიკური საწოლებისა (ე. ი. ავადმყოფთა და დამსვენებელთა), აგრეთვე მთელი წლის განმავლობაში მოქმედი და სეზონური საწოლებისა? გამოვდივართ რა იმ დებულებიდან, რომ დიდი სამრეწველო ქალაქის ბავშვთა მოსახლეობის მნიშვნელოვანი კონტინგენტი მოითხოვს ფართო სამკურნალო და პროფილაქტიკურ დახმარებას, განსაკუთრებით ცხელი თვეების განმავლობაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ სამკურნალო და პროფილაქტიკურ საწოლთა პროცენტული თანაფარდობა უნდა გამოიხატებოდეს დაახლოვებით, როგორც 30 : 70 --- ესე იგი უნდა იყოს 30% სამკურნალო საწოლებისა და 70% პროფილაქტიკურისა; რაც შეეხება მთელი წლის განმავლობაში მოქმედი და სეზონური საწოლების პროცენტულ თანაფარდობას, აქაც შეიძლება მიღებულ იქნეს იგივე თანაფარდობა (30%—70%).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში, სადაც არსებობს განსაკუთრებული ხელშემწყობი საკურორტო შესაძლებლობანი ძვლის და სახსრების ტუმბერკულოზის მკურნალობისათვის, ჯერ-ჯერობით აღნიშნული კატეგორიის ავადმყოფებისათვის სანატორიული სტაციონარები მხოლოდ კოჯორში არსებობს.

უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ეს მიღწევა შემდეგში გაღრმავდება ჩვენი ქვეყნის სხვა სამთო-კლიმატური და ზღვის სანაპირო კურორტებზე ანალოგიურ სპეციალურ სამკურნალო-სანატორიულ დაწესებულებათა მოწყობასთან ერთად.

ამავე დროს არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს კოჯორის მთის ჰავის ხელშემწყობ სპეციფიკურ მოქმედებას ბავშვთა კუჭ-ნაწლავების მწვავე დაავადების დროს. კოჯორის ეს თავისებურებაც უნდა მიღებულ იქნეს მხედველობაში კურორტის შემდეგი განვითარებისას. აღსანიშნავია, რომ ჩვენთან საქართველოში და მთელს საბჭოთა კავშირშიც არ არსებობს სპეციალიზირებული კურორტი, სადაც ასე დამაჯერებლად არის ნაჩვენები კუჭ-ნაწლავების დაავადებათა მკურნალობა მწვავე პერიოდში.



შეცდომების გასწორება

| № | სტრიქ. | არის დაბეჭდილი | უნდა იყოს |
|-----|---------|-----------------|---------------------|
| 9 | 2 კვ. | 595 წელს | X საუკუნეში |
| 106 | 7. ზგმ. | მცხეთის რაიონში | თბილისის რაიონში |
| 111 | 4 კვ. | პანსიონატი- | პანსიონატი- |

ჩვენში არსებობს საუცხოო კურორტები—ბორჯომი, ჯავა, საირმე, ესენტუკი, ჟელჯნოვოდსკი, უწერა და რიგი სხვა კურორტები, რომელთა დანიშნულება ძირითადად კუჭ-ნაწლავების დაავადებათა მკურნალობაა, მაგრამ მათ არამც თუ არ აქვთ კუჭ-ნაწლავების მწვავე დაავადებათა მკურნალობის ჩვენებანი, პირიქით, ასეთ შემთხვევაში ისინი წინააღმდეგ ნაჩვენები არიან—აღნიშნულ კურორტებზე იგზავნებიან ავადმყოფები კუჭისა და ნაწლავების მხოლოდ ქრონიკული დაავადებებით.

სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად კოჯორის საკურორტო-სამკურნალო ფაქტორების უფრო მეტად რაციონალური ათვისებისათვის საჭიროა, რათა თბილსაბჭოს ჯანგანყოფილების საკურორტო სამმართველომ პირველ რიგში ჩაატაროს კურორტის გენერალური დაგეგმარების პროექტის შედგენა. თბილსაბჭოს საკურორტო სამმართველოს ხელმძღვანელობა ამ საქმეს უკვე შეუდგა იმ ვარაუდით, რომ ეს სამუშაო დაამთავროს 1948 წელში. ამ დიდი მნიშვნელობის წამოწყებამ უნდა გაითვალისწინოს კოჯორის რეკონსტრუქციისა და საკურორტო მშენებლობის შემდგომი რაციონალური გეგმიანი განვითარების ძირითადი საფუძვლები. გენერალურ დაგეგმარების პროექტში უნდა გათვალისწინებულ იქნეს პირველ რიგში კურორტის კეთილმოწყობის ძირითადი ელემენტების მშენებლობა — წყალსადენის, კანალიზაციის, ელექტრომომარაგების გაუმჯობესება, საგზაო მშენებლობა, შემდეგ მშენებლობა სანატორიუმებისა, პანსიონატებისა, დასასვენებელ სახლებისა, სასტუმროებისა, ცალკე კოტეჯების, ბავშვთა მოედნების, პიონერ-ბანაკებისა და მთელ რიგ სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკურ და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა.

ამასთანავე გენერალურ დაგეგმარებაში უნდა გათვალისწინებულ იქნეს საკურორტო ტერიტორიის რაიონირება კურორტის პროფილის მიხედვით, ესე იგი უნდა გამოყოფილ იქნეს სამკურნალო ზონა მისთვის სათანადო მიკროკლიმატური პირობების გათვალისწინებით, ქვეზონები დაავადებათა ცალკე სახეობის მიხედვით, ვინაიდან ზოგიერთი მათგანი მოითხოვს კურორტის სხვა მოსახლეობიდან განცალკევებას, მაგალითად ქვეზონა სანატორიუმებისა კუჭ-ნაწლავით დაავადებულთათვის, ქვეზონა სანატორიუმებისა ძვლის და სახსრების ტუბერკულოზით დაავადებულთათვის და ა. შ. ასევე უნდა დაჯგუფებულ იქნეს როგორც სამკურნალო, ისე პროფილაქტიკური დაწესებულებანი ბავშვთა სხვადასხვა

ასაკის მიხედვით. ამა თუ იმ სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებათა და ნაგებობათა ფუნქციონირების ვადიდან გამომდინარე, კოჯორში წლის ამა თუ იმ პერიოდში კლიმატური პირობების მხედველობაში მიღებით, უნდა გათვალისწინებულ იქნეს მთელი წლის განმავლობაში მოქმედ დაწესებულებებისათვის კაპიტალური ნაგებობანი და მხოლოდ ზაფხულის სეზონში მოქმედ დაწესებულებათა საჭიროებისათვის კი მსუბუქი ტიპის შენობები.

კოჯორის გენერალურ დაგეგმარებამ უნდა გაითვალისწინოს აგრეთვე ნაწილობრივ სასტუმროთა და პანსიონატების მშენებლობაც იმ ბავშვთა მშობელთათვის, რომელნიც ცალკეულ შემთხვევებში, მოისურვებენ რამოდენიმე დრო დაყონ თავიანთ ბავშვებთან და ამავე დროს თვითონაც დაისვენონ. სამკურნალო დაწესებულებათა შორის გენერალურ დაგეგმარებაში უნდა გათვალისწინებულ იქნეს საავადმყოფოს ტიპის სტაციონარი საწოლების საკმაო რაოდენობით ბავშვთა კუჭ-ნაწლავების დაავადებათა იმ მძიმე შემთხვევებისათვის, რომელნიც მოითხოვენ ავადმყოფთა სასწრაფო გაყვანას ქალაქიდან კურორტზე, მათი სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით.

კოჯორისა და ქალაქის და აგრეთვე სხვა საგარეუბნო სააგარაკო-საკურორტო ადგილების თბილისის მოსახლეობასთან დაახლოვებისა და მათ შორის მიმოსვლის გაადვილების მიზნით, მიზანშეწონილია გათვალისწინებული ყოფილიყო კოჯორის გენერალურ დაგეგმარების პროექტში თბილის-კოჯორის ელექტრორკინიგზის გაყვანა.

ვიღებთ რა მხედველობაში კოჯორის განსაკუთრებულ კლიმატურ-პროფილაქტიკურ მნიშვნელობას და მის მაღალ სამკურნალო ღირსებას, ვიმედოვნებთ, რომ ეს კურორტი გეგმიან საკურორტო მშენებლობის გაშლის შედეგად, ახლო მომავალში, თბილისისათვის გახდება ისეთ სანიმუშო საგარეუბნო კურორტად, რომლის მსგავსი არცერთ დიდ ქალაქს არ ექნება.

კურორტ კოჯორში ავადმყოფთა მკურნალობის ჩვენებანი:

1. ლიმფატური ჯირკვლების ტუბერკულოზი;
2. ძვლისა და სახსრების ტუბერკულოზი;
3. ბრონქიტი;
4. პლევრიტი;
5. ბავშვთა კუჭ-ნაწლავების დაავადებანი (უმთავრესად მწვავე ფორმები);

6. მალარია;
7. მეორადი სისხლნაკლებობა, კვების დაქვეითება;
8. ბრონქული ასთმა (არა მძიმე ფორმებში);
9. რაქიტი;
10. რეკონვალესცენტები (მწვავე დაავადებათა და მათ შორის ინფექციურ დაავადებათა გადატანის შემდეგი პერიოდი);
11. ქლოროზი;
12. ნევროზები (სუსტი ფორმები).

წინააღმდეგჩვენებანი:

1. ფილტვების ტუბერკულოზის ღია ფორმები;
2. გულისა და სისხლ-ძარღვთა სისტემის დაავადებანი დეკომპენსაციისა და სუბკომპენსაციის პერიოდში;
3. საერთოდ ყველა დაავადება, რომელიც წინააღმდეგ ნაჩვენებია კურორტებზე მკურნალობისათვის.

კურორტი მანგლისი

ადგილმდებარეობა და მოკლე ისტორიული ცნობები

მანგლისი მდებარეობს თბილისიდან ჩრდილო-დასავლეთით 1204 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონედან. მისი გეოგრაფიული კოორდინატებია $41^{\circ} 42'$ ჩრდილოეთის სიგანედისა და $42^{\circ} 22'$ აღმოსავლეთის სიგრძედის. კურორტს თბილისთან აერთებს, თუმცა აღმართ-დაღმართიანი და მიხვეულ-მოხვეული, მაგრამ კარგი საავტომობილო გზატკეცილი. სახელწოდება მანგლისი წარმოიშვა სიტყვიდან „ნამგლისი“, რაც მომდინარეობს სიტყვიდან — „ნამგალი“, რადგან ეს რაიონი იძლეოდა ხორბლის დიდ მოსავალს, ხორბალს კი მკიდენ ნამგალით. სხვათა განმარტებით კი, „მანგლისი“ წარმოიშვა სიტყვიდან „მგელი“, „ნამგლისი“.

მანგლისმა ძველი დროიდანვე დაიმსახურა ყურადღება თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური თავისებურებით. 1823 წელს, ამ მხარის მოწყობის პერიოდში, ის შერჩეულ იქნა რუსეთის ჯარის ერთ-ერთი ლეგიონის საუკეთესო სადგომად. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში აქ მოწყობილ იქნა სანიტარული სადგომი, სადაც იგზავნებოდნენ კავკასიის ყველა ჯარის ნაწილებიდან ფილტვების სისუსტით და პლევრიტით დაავადებულნი.

ამრიგად, ჯერ კიდევ იმ დროს მანგლისი გამოყენებული იყო როგორც პროფილაქტიკური კურორტი და არამარტო დიდებისათვის. არამედ სამხედრო უწყების სკოლათა მოსწავლე ბავშვებისა და მოზარდებისათვისაც.

1923 წელს მანგლისი ოფიციალურად გამოცხადებულ იქნა, როგორც ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტი და ამავე წელს აქ მოწყობილი იქნა ბავშვთა დასასვენებელი სახლი, შემდეგ კი 1925 წლიდან აქ გაიხსნა ბავშვთა სანატორიუმი, რომელიც დღემდე არსებობს.

კურორტის სამთო-სანიტარულ ზონის ფარგლებში 200 ჰექ-

ტარზე მეტი ფართობი უჭირავს ფიჭვის ტყეს, ამ ტყეში შედის
ორი საკმაოდ დიდი, საუცხოო ფიჭვის ქალა, რომლებიც მდებარეობს
კურორტის ცენტრში, ხოლო მათ ირგვლივ მოთავსებულია
სააგარაკო უბნები.

მანგლისში მუდმივი მოსახლეობის რიცხვი აღწევს 3000
სულს; ეს მოსახლეობა გაფანტულია ჯგუფ-ჯგუფად კურორტის
ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილში; ამ უბნების სახელწოდებაც
სხვადასხვაა: „ძველი მანგლისი“, „ახალი მანგლისი“ (ეგრეთწოდებულ
„შტაბი“) „პროტიგალოვკა“, „ბუდიონოვკა“, „ნოვი სვეტ“
(ან „ქვედა ქალა“, რომელიც ატარებს აგრეთვე „ვოროშილოვკის“
სახელწოდებას) და „ზემო ქალა“.



სურ. 10 კურორტი მანგლისი—ფიჭვის ხეივანი.

ზოგიერთ ზაფხულის სეზონში კურორტში ჩამოსულ ავად-
მყოფთა და დამსვენებელთა რაოდენობა 10.000 აღწევს. ავადმყო-
ფები და დამსვენებლები ეწყობიან საცხოვრებლად ძირითადად

კოლმეურნეთა სახლებში და თბილსაბჭოს საკურორტო სამმართველო-
ლოს საბინაო ფონდში; საკურორტო სამმართველოს განკარგულე-
ბაშია 200-მდე ოთახი უმთავრესად ქვედა ჭალაში („ნოვი სვეტში“).
ამ ოთახებს საკურორტო სამმართველო აქირავებს სეზონით.

აღსანიშნავია ის მდგომარეობა, რომ მანგლისი და მისი ახლო
მიდამოები განსაკუთრებით მდიდარია საძოვრებით, რის შედეგად,
როგორც თვით კურორტი, ისე მახლობელი სოფლები ჭარბად
უზრუნველყოფილია რძის ნაწარმით. ახლომდებარე სოფლების მო-
სახლეობას უხვად გამოაქვს კურორტის ბაზარზე, როგორც რძის
ნაწარმი, ისე მრავალი სხვა პროდუქტი—ხორცი, ფრინველი, თა-
ფლი, ხილი, ბოსტნეული და სხვა.


კურორტი უზრუნველყოფილია ელექტრო-ენერგიითა და წყალ-
სადენით.

კურორტს აქვს მშვენიერი ბუნებრივი პარკი ფიჭვის ჭალის
არეში; პარკში ეწყობა კონცერტები, წარმოდგენები, საღამოები.
არის აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფი, თბილისთან სატელეფონო კავ-
შირი, წიგნის მაღაზიები და კიოსკები, სამრეწველო საქონლის მა-
ღაზიები, საკურორტო და კოოპერატიული სასადილოები და სხვა.

სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებიდან აღსა-
ნიშნავია საკურორტო სამმართველოს სამი სანატორიუმი: ბავშვთა,
მოზარდთა და მოზრდილთათვის. არის აგრეთვე კურორტის პოლი-
კლინიკა, სოლარიუმი, ფიზკულტურის მოედანი, რაიჯანგანის საა-
ვადმყოფო სამშობიარო განყოფილებით და პოლიკლინიკით და-
სხვ. თბილის—კურორტ შორის კავშირი უზრუნველყოფილია
საავტობუსო მიმოსვლით.

ქ. თბილისიდან (410 მეტრზე ზღვის დონედან) მანგლისში
მიმავალი გზა ჯერ მიემართება აღმართზე, გაუვლის სააგარაკო აღ-
გილებს ოქროყანას, ტაბახმელას, კურორტ კოჯორს (1340 მეტრზე
ზღვის დონედან), შემდეგ კი დაეშვება ქვემოთ „სამადლომდე“,
საიდანაც ერთი გზა მიდის მარჯვნივ ბეთანიამდე, მეორე კი
მარცხნივ კურორტ კიკეთამდე. მთავარი მაგისტრალური გზა სა-
მადლოდან ისევ აღმართ-აღმართ მიდის სოფ. პრიუტამდე, საიდა-
ნაც ისევ დაღმართ დაეშვება. სოფ. პრიუტი შუა გზაზეა
კოჯორ-მანგლისის ხაზზე. მანძილი კოჯორიდან პრიუტამდე 23
კილომეტრს აღწევს, იმდენივეა პრიუტიდან მანგლისამდე. შემდეგ,
სანამ მანგლისამდე 7 კილომეტრი დარჩებოდეს, უნდა გაიაროს
სოფელი დიდი თონეთი, სადაც მუხურის ხიდიდან 60—70 მეტრის

მოშორებით, ქვემოთ, მდინარე ოძისის მარცხენა ნაპირზე, ქვის მცირე ნაპრალიდან გამოდის გოგირდ-წყალბადიანი მინერალური წყალი.



სურ. 11. მანგლისი—კურორტთა სამმართველოს სანატორიუმი № 2.

ინტერესს მოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ, რომ მდინარე ალგეთის ხეობასთან, სადაც მდებარეობს მანგლისი, დაკავშირებული იყო გასული საუკუნის გმირის, არსენა მარაბდელის რევოლუციური მოქმედება, რომელსაც აქ ჰქონდა თავშესაფარი და აქედან შიშის ზარს ჰგვრიდა მშრომელი ხალხის მტრებს.

ახალი მანგლისი დაარსებულა მე - 18 საუკუნეში სოფელ ოძისის ნანგრევებზე. ზემო ოძისის ნანგრევები დღემდის შენახულია მანგლისის ჩრდილოეთით. არსებული მასალებიდან ჩანს, რომ თვით სოფელი ოძისი დაკავშირებული ყოფილა მიწისქვეშა გზით მანგლისის უძველეს ეკლესიასთან.

მანგლისიდან სამხრეთ-დასავლეთით 2 კილომეტრის მანძილზე, მდინარე ალგეთის მარჯვენა ნაპირზე, ყურადღებას იქცევს კლდე-

ში უძველესი გამოქვაბული, იქვე მახლობლად ეკლესიისა და ნაგებობათა ნანგრევებია.

მანგლისიდან 10 კილომეტრის მანძილზე ეგრედწოდებული „საკრისის მთაზე“ აღმართულია ქვის ჯვარი — „მარიამ-ჯვარი“, საიდანაც ერთ კილომეტრზე ნაკლებ მანძილზე გოხნარის ეკლესიის ნანგრევების იქით, არსებობს ციკლოპური ქალაქი, რომელიც წარმოადგენს დიდი ისტორიული მნიშვნელობის ძეგლს.

სპორტის დამსახურებული ოსტატის, ცნობილი ალპინისტის დოც. ი. ასლანიშვილის აზრით, მანგლისი ღირსია დიდი ყურადღებისა ტურისტული ხასიათის ფრიად საინტერესო მარშრუტების სიუხვის მხრივ, ვინაიდან აქედან შეიძლება ექსკურსიების მოწყობა ახლობელი მთების მწვერვალებზე 2000—3000 მეტრის ფარგლებში ზღვის დონედან.

ზემონათქვამიდან გამომდინარეობს, რომ მანგლისის გენერალურ დაგეგმარების პირველ რიგის ობიექტთა შორის აქ უნდა გათვალისწინებული იქნეს ტურისტის სახლის მშენებლობა, რომელიც გახდება ამ დარგში თბილისის საგარეუბნო კურორტების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ბაზად.

მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული მონაცემები და კლიმატური დახასიათება

კურორტი მანგლისი მდებარეობს თრიალეთის ქედის ერთ-ერთ შტოს ფერდობის ფართე პლატოზე, რომელიც დასერილია სამი მთის მდინარის ხეობით. ჩრდილოეთით მას იცავს ცივ ქარებისაგან თრიალეთის ქედის ერთ-ერთი შტო (დიდი-გორა), საიდანაც შეიძლება გადასვლა ქართლის ველზე; დასავლეთით იმყოფება წალკის მაღალი პლატო, რომელიც მთავრდება მთა საკრისით მდინარე ალგეთის მახლობლად. სამხრეთით იმყოფება ბედენის მაღლობი, აღმოსავლეთით კი იმავე თრიალეთის ქედის შტო.


ამრიგად, მანგლისის პლატო ყოველ მხრიდან გარშემორტყმულია მთებით, რითაც აიხსნება ამ რაიონში არსებული ქარების მცირე სიძლიერე.

კურორტის ტერიტორიას სჭრის მდინარე ალგეთი, რომელიც იწყება თრიალეთის ქედის სამხრეთით მდებარე ფერდობიდან, მთა კლდეკარის მახლობლად. ეს მდინარე წარმოადგენს დამსვენებელთა სასიამოვნო სასეირნო და საბანაო ადგილს.

მანგლისის სპეციფიკურ კლიმატურ თავისებურებას წარმოად-

გენს მისი ტემპერატურის შედარებით მაღალი მაჩვენებლები. ჰიდრომეტეოროლოგ გ. ჭირაქაძის მონაცემების მიხედვით, მანგლისის ტემპერატურა უფრო მაღალია ზაფხულის თვეებში აბასთუმანთან შედარებით დაახლოებით $0,8^{\circ}$, ზამთრის თვეებში კი — 2° -დან 4° -მდე. საშუალოდ განსხვავება აჭარბებს $1,4^{\circ}$.

მანგლისი, თუმცა ერთი და იმავე სიმაღლეზეა აბასთუმანთან, მაგრამ სხვა ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებში იმყოფება, რის გამოც იგი იძლევა სულ სხვა კლიმატურ კომპლექსს.



სურ. 12. კურორტი მანგლისი—ქვედა ქალა.

მთავარი განსხვავება იმაშია, რომ მანგლისი მდებარეობს პლატოზე, აბასთუმანი კი ვიწრო ხეობაში. პლატო, რომელზედაც მოქცეულია მანგლისი, გარშემორტყმულია მთებით, რომელთა ფერდობები დაფარულია წიწვიანი ჯიშის ტყეებით. პლატო მაქსიმალურად ღიაა სამხრეთის მიმართულებით, რაც ხელს უწყობს ადგილის ხანგრძლივ გათბობას.

ადგილის ოროგრაფიული პირობები ხელს უწყობენ ადგილობრივი ქარების განვითარებას, რომელთა რეგულარული მოქმედება

უზრუნველყოფს პლატოს ნორმალურ ვენტილაციას. გაბატონებული ქარებია: აღმოსავლეთის, დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის.

მანგლისის რაიონი ხასიათდება ზომიერი ტენიანობით. ზაფხულის თვეებში ფარდობითი ტენიანობა დღის 13 საათისათვის შეადგენს დაახლოებით 65%; დღელამის კი—დაახლოებით 68%, იმ დროს, როდესაც სათანადო მაჩვენებლები აბასთუმნისათვის შეადგენს 50% და—72%.

ტემპერატურის და ტენიანობის მერყეობა მანგლისში ნაკლებია აბასთუმანთან შედარებით, რაც შეადგენს ფრიად დადებით შედეგს იმისა, რომ მანგლისი იმყოფება პლატოზე. მანგლისის ჰორიზონტის გაშლილობა უზრუნველყოფს მზის მოქმედების ხანგრძლიობას.

მანგლისისათვის მზის სხივადობის ხანგრძლიობა, საშუალოდ წლის განმავლობაში, შეიძლება მიღებულ იქნეს 2000—2100 საათის ფარგლებში-

შედარებით არახელსაყრელ კლიმატურ ფაქტორს მანგლისისათვის წარმოადგენს ნისლიანობა იმ დროს, როდესაც აბასთუმანში ასეთს სრულიად არა აქვს ადგილი.

იშვიათი გამონაკლისის გარდა, ნისლი მანგლისში მცირე ხნით იცის ხოლმე. მისი ხანგრძლიობა არ აღემატება საშუალოდ 1—2 საათს დღე-ღამეში.

კურორტის სამკურნალო მნიშვნელობა

სანამ მანგლისის სამკურნალო მნიშვნელობის შეფასებაზე გადავიდოდეთ, ჩვენ აქ შევეხებით მხოლოდ ზოგიერთს იმ არამრავალრიცხოვან სამეცნიერო დაკვირვებათაგანს, რომლებიც ჩატარებულია მანგლისში, ძირითადად უკანასკნელი ორ-ათეული წლის განმავლობაში.

ბავშვთა ტუბერკულოზის სხვადასხვა ფორმების მიმდინარეობაზე მანგლისის ჰავის გავლენის შესახებ ოც წელზე მეტი ხნის დაკვირვებებმა ექიმი ვორობიოვი დაარწმუნა ამ კურორტის მაღალ სამკურნალო თვისებებში ტუბერკულოზის სხვადასხვა ფორმის დროს, განსაკუთრებით კი ბავშვთა ტუბერკულოზური ინფილტრატებისა და ინტოქსიკაციების დროს. მის მიერვე ჩატარებულმა ადგილობრივი მოსახლეობის გამოკვლევამ დაარწმუნა ის მანგლისის ჰავის განსაკუთრებულ სიჯანსაღეში. ხუთი წლის განმავლო-

ბაში კლინიკურად ჯანსაღი ბავშვების შედარებითმა შესწავლამ, ჯერ
თბილისის პირობებში და შემდეგ კი მანგლისში, ის მიიყვანა დასკვ-
ნამდე, რომ მანგლისის ჰავის გავლენით მაგრდება ბავშვთა ნერვული
სისტემა, მნიშვნელოვნად უმჯობესდება სისხლის შემადგენლობა,
ძლიერდება ორგანიზმის გამძლეობა ინფექციების წინააღმდეგ,
ძლიერდება ზრდის პროცესი და მყარად უმჯობესდება ადამიანის
სულიერი განწყობილება ამ კურორტის ჰავის პირობებში მცირე
ხნის ყოფნის შედეგადაც კი.

პროფ. ი. ლორთქიფანიძემ და ექიმებმა მ. ბოკერიაშვილმა, კ. კა-
სუმოვმა და ქუთელიამ ჩაატარეს დაკვირვება ბავშვთა ტუბერკუ-
ლოზის სხვადასხვა ფორმის მიმდინარეობაზე მანგლისის კლიმა-
ტის გავლენის შესახებ და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ავადმყოფთა
50%-ტს ფილტვებში ხიხინი სრულიად გაუქრა მათი საერთო
მდგომარეობის თვალსაჩინო გაუმჯობესებით, რასაც ხსენებული
ავტორები ხსნიან დაავადებულ ფილტვებში ანთებითი და რეაქციუ-
ლი მოვლენების შენელებით და ჩაქრობით. ერთ და იმავე დროს
ხდებოდა წონის აშკარა ზრდა და სისხლის შემადგენლობის გაუმ-
ჯობესება, რასაც თან სდევდა ავადმყოფის გამოჯანსაღების სხვა
ნიშნებიც.

მძიმე ავადმყოფების საერთო მდგომარეობის გაუმჯობესების
ძირითადი მაჩვენებლები იყო წონისა და სისხლში ჰემოგლობინის
ზრდა. ტუბერკულოზის ინფილტრაციული ფორმები, იმავე ავტორე-
ბის აზრით, მოითხოვენ განკურნებისათვის უფრო ხანგრძლივ მკურ-
ნალობას კურორტზე, ვიდრე ფიბროზულ-ციროზული ფორმები.

პროფ. ი. ცინცაძემ და დოც. მ. ბოკერიაშვილმა შეისწავლეს მან-
გლისის კლიმატის გავლენა ტუბერკულოზიან ავადმყოფების გული-
სა და სისხლ-ძარღვთა სისტემაზე და მივიდნენ იმ დასკვნამდე,
რომ გულისა და სისხლ-ძარღვთა სისტემა კურორტ მანგლისის
კლიმატურ კომპლექსის გავლენით მნიშვნელოვნად უმჯობეს-
დება. ეს გაუმჯობესება გამოიხატება ტაქიკარდიის შემცირებაში,
სისხლის წნევის გადიდებაში და ნორმალიზაციაში, რადგან, რო-
გორც ცნობილია, ტუბერკულოზიან ავადმყოფებს, როგორც წესი,
სისხლის წნევა დაქვეითებული აქვთ. ყველა ამ გაუმჯობესებას
ხსენებული ავტორები ხსნიან ინტოქსიკაციის შემცირებით ტუბერ-
კულოზურ პროცესის შეჩერების შედეგად.

დოც. ს. მაჩაბელი (1936 წ.) ბავშვთა ტუბერკულოზის დროს
ძირითად ცვლაზე მანგლისის კლიმატის გავლენის შესწავლით მი-

ვიდა დასკვნამდე, რომ კურორტ მანგლისის ჰავის გავლენის შედეგად უმეტეს შემთხვევაში აღგილი აქვს ძირითადი ცვლის გაძლიერებას, რასაც თავის მხრივ თან სდევს ავადმყოფ ბავშვთა საერთო მდგომარეობის გაუმჯობესება. აღსანიშნავია, რომ, ძირითადი ცვლის ეს გაძლიერება ბავშვებში შემჩნეულია კურორტზე ყოფნის მხოლოდ მე-10—15 დღიდან.

ვ. გასვიანის, ს. მაჩაბელის და ა. მირიძანოვის (1936 წ.) მიერ მანგლისის ბავშვთა სანატორიუმში ჩატარებულია დაკვირვებები წონის მატებაზე ოლდრიჩ მაკ-კლიურის რეაქციასთან დაკავშირებით.

ამ დაკვირვებების შედეგად ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ მანგლისის მაღალმთიან პირობებში წონის მატებას მეტ შემთხვევაში წინ უძღვის წონის დაკარგვის მოკლე პერიოდი. წონის მატება განსაკუთრებით ენერგიულად მიმდინარეობს პირველი თვის განმავლობაში; მეორე თვის განმავლობაში, უმრავლეს შემთხვევაში, წონის მატება გრძელდება, მაგრამ უფრო შენელებულად; მესამე თვეში კი წონის მაჩვენებლები სტაბილდება. ამ ავტორების აზრით, წონის მომატება მკურნალობის პირველ პერიოდში ხდება ორგანიზმის ქსოვილების ჰიდრატაციის გაძლიერების ხარჯზე, რასაც მოწმობს კანის ჰიდროფილობის მატება. წონის სტაბილიზაციასთან ერთად ხდება ქსოვილების ჰიდრატაციის დაქვეითება, რასაც ადასტურებს მაკ-კლიურის რეაქციის დაბალი მაჩვენებლების შეცვლა უფრო მაღალი მაჩვენებლებით.

პროფ. ნანეიშვილის ინიციატივით, 1936 წლის ზაფხულის სეზონში, ჰიდრომეტეოროლოგ გ. ჭირაქაძის მიერ ჩატარებულ იქნა დაკვირვებანი ღია აივნისა და მასთან გვერდით მდებარე პალატის მიკროკლიმატურ ფაქტორებზე მანგლისის ბავშვთა სანატორიუმის პირობებში. დაკვირვების შედეგად გამოირკვა, რომ ტემპერატურის მერყეობა დახურულ პალატაში უფრო დიდია, ვიდრე ღია აივანზე. ტემპერატურის განსხვავება შეადგენს 4,3°-დან 6,5°-მდე. პალატაში ორგანიზმის თბოგაცემა მნიშვნელოვნად შეზღუდულია აივანთან შედარებით. ორთქლის რაოდენობა პალატის ჰაერში მეტია, ვიდრე აივანზე. ფარდობითი ტენიანობა ორივე შემთხვევაში ერთ დონეზე რჩება.

მედ. მეცნ. კანდიდატის ზ. ბაქრაძის დაკვირვებით, ტუბერკულოზურ ავადმყოფების მკურნალობის ეფექტიანობის მხრივ მანგლისი თითქმის არ ჩამორჩება კურორტ აბასთუმანს. თანახმად მისი დასკვნისა, როგორც ცალმხრივი პნევმოთორაქსი, ისე პირველა-

დი პნევმოთორაქსის დადება ადგილზე, მანგლისში არ არის წინააღმდეგნაჩვენები იმ პირობით, თუ ადგილი არ აქვს გულის ნაკლოვანობას. ექიმის კ. კასუმოვის დასკვნით, მანგლისის კლიმატი ფრიად დამაკმაყოფილებელ შედეგს იძლევა ლიმფურ ჯირკვლების ანთებადი პროცესებისა და ქრონიკული ბრონქიტის მკურნალობის დროს.

თბილსაბჭოს ჯანგანყოფილების საკურორტო სამმართველოს მთავარმა ექიმმა ი. მ. გოლდმანმა შეაჯამა 1947 წლის საზაფხულო სეზონში მანგლისის ბავშვთა სანატორიუმებში ჩატარებული სამკურნალო მუშაობა, რის შედეგადაც გამოიტანა დასკვნა, რომ ამ სანატორიუმებში გატარებულ 550 ბავშვიდან, რომლებიც დაავადებული იყვნენ ლიმფური ჯირკვლების ანთებით და სისხლნაკლოვანებით, თითქმის ყველა (545) გაეწერა სანატორიუმებიდან ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით და მხოლოდ 5 გაეწერა უცვლელ მდგომარეობაში. ამავე ავადმყოფებიდან 98,6% მოიმატა წონაში და ამათში 38,5% მოიმატა 1—2 კგრ. 16,7% — 2—3 კგრ. და 18,2% კი მოიმატა 3 კილოგრამი და მეტი. დაიკლო წონაში ერთ კილოგრამამდე მხოლოდ ერთმა ბავშვმა. დაახლოებით ასეთივე შედეგებია მიღებული კოჯორის და წყნეთის ბავშვთა სანატორიუმებშიაც (ექ. ს. ბერძენიშვილი).


მეცნიერულ დაკვირვებათა ზემოთ მოყვანილ შედეგებთან ერთად, მანგლისის ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური მაჩვენებლები გვაძლევენ უფლებას, რომ ამ კურორტს მივანიჭოთ ერთ-ერთი პირველი ადგილთაგანი სხვა პირველხარისხოვან სამთო-კლიმატურ სადგურთა შორის. მაგრამ ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ სიტბოს ბალანსით, ჰაერის სიმშრალით, ქარების ზომიერებით და მზის სხივადობის ხანგრძლიობით, მანგლისი უფრო მალლა დგას, ვიდრე უმრავლესობა იმ სამთო-კლიმატური კურორტებისა, რომლებსაც სახელი აქვთ განთქმული მსოფლიოში და რომელნიც ზღვის დონედან მასთან შედარებით ერთ და იმავე სიმაღლეზე მდებარეობენ.

ავადმყოფთა მკურნალობის ზემოაღნიშნული შედეგები აშკარად გვიმტკიცებენ, რომ მანგლისი თავისი კლიმატური კომპლექსით უეჭველად ხელს უწყობს მთელ რიგ ტუბერკულოზურ ხასიათის დაავადებათა ეფექტურ მკურნალობას, განსაკუთრებით კი ბავშვთა ასაკში.

მანგლისის კლიმატის პირობებში მკურნალობის შედეგად მი-

ღებული სისხლის შემადგენლობის გაუმჯობესება აიხსნება ადამიანის ორგანიზმზე მთის ჰავის გავლენით.

როგორც ცნობილია, ძელის ტვინზე მთის ჰავის გამაღიზიანებელი მოქმედების გამო სისხლი მდიდრდება სისხლის წითელი ბურთულებით და ამასთან პარალელურად მიმდინარეობს ჰემო-



სურ. 13. მანგლისი—კურორტთა სამმართველოს აგარაკები.

გლობინის რაოდენობის მომატებაც. ამავე დროს ცნობილია, რომ მთის ჰავის გავლენით ხდება ნერვული სისტემის ვარჯიში, ფსიქიკური ტონუსის გამოსწორება, ძლიერდება ორგანიზმის წინააღმდეგობის გაწევის უნარიანობა ინფექციების მიმართ და სხვა.

მანგლისის ჰავის პირობებში მკურნალობის დროს, საკურორტო-სანატორულ რეჟიმის დაცვასთან, დიეტურ კვებასთან და სამკურნალო ფიზკულტურასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ჰაერისა და მზის სათანადო გამოყენება. ჰაერის აბაზანები (აეროთერაპია) და განსაკუთრებით მზის აბაზანები

გარკვეულად დოზირებული მზის პროცედურების სახით (ჰელიოთერაპია) სათანადოდ მოწყობილ სოლარიუმებში, გამოცდილ სამედიცინო პერსონალის კონტროლ-ქვეშ უნდა შევიდეს კურორტზე კომპლექსურ მკურნალობაში, როგორც მისი შემადგენელი წამყვანი ელემენტები, რომელნიც აუცილებლად მნიშვნელოვნად შეუწყობენ ხელს მკურნალობის ეფექტიანობას.

კურორტის განვითარების პრინციპები

მანგლისი წარმოადგენს ადგილობრივ მნიშვნელობის საგარეუბნო კურორტს, მიუხედავად იმისა, რომ არსებითად და თავისი მნიშვნელობით ის დიდი ხანია გამოვიდა ამ ჩარჩოებიდან.

თბილსაბჭოს საკურორტო სამმართველოს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ეს კურორტი, მხოლოდ მოკლე ზაფხულის სეზონში, ატარებს 10.000-მდე ავადმყოფს და დამსვენებლებს. გარდა თბილისელებისა, რომელნიც ქალაქის სიციხის გავლენით ზაფხულობით ათასობით მიისწრაფიან მანგლისში, აქ შეხვდებით სამკურნალოდ და დასასვენებლად ჩამოსულებს საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან და მეზობელ რესპუბლიკებიდანაც კი.

მანგლისის ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობები, მთლიანად აკმაყოფილებენ პირველხარისხოვან მთის კლიმატურ კურორტის მოთხოვნებს და სრულ უფლებას ანიჭებენ მას საპატიო ადგილი დაიკავოს რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტთა სიაში.

მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში ამ კურორტის სიახლოვეს ისეთ დიდ ადმინისტრაციულ-კულტურულ და სამრეწველო ცენტრთან, როგორიც არის თბილისი, აშკარა ხდება, რომ მან ძირითადად მომსახურეობა უნდა გაუწიოს ამ ქალაქის მოსახლეობას.

როგორი უნდა იყოს პროფილი ამ კურორტისა, სამკურნალო თუ პროფილაქტიკური? ესე იგი, ვისთვის უნდა იყოს განკუთვნილი ეს კურორტი—ავადმყოფებისათვის თუ მხოლოდ დამსვენებლებისათვის?

თუ მივიღებთ მხედველობაში კურორტ მანგლისის ჰავის მაღალ სამკურნალო თვისებებს მთელ რიგ დაავადებათა დროს, რის შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი,—არ იქნებოდა სწორი დიდი ქალაქის ახლომდებარე და ადვილად ხელმისაწვდომი ეს კურორტი დახურულიყო მისი ავადმყოფი მოსახლეობისათვის, რომელსაც

აქ მკურნალობა ესაჭიროება, ამავე დროს არ შეიძლება მისი დახურვა თბილისის დამსვენებლებისათვის. ამრიგად, მანგლისის პროფილი უნდა იყოს სამკურნალო-პროფილაქტიკური. როგორი უნდა იყოს კურორტის კონტინგენტი, ასაკის მხრივ, რომელსაც მან უნდა გაუწიოს მომსახურება? ესე იგი ეს კონტინგენტი უნდა შესდგებოდეს მოზრდილებისაგან თუ ბავშვებისაგან?

ჩვენი აზრით, კურორტის კონტინგენტი უნდა შესდგებოდეს როგორც მოზრდილებისაგან, ისე ბავშვებისაგან, ძირითადად კი ამ უკანასკნელთაგან, რადგან მანგლისის ჰავა, ჩატარებულ დაკვირვებათა მიხედვით, განსაკუთრებით კარგ გავლენას ახდენს ბავშვთა ორგანიზმზე, ამავე დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ქალაქის ბავშვთა მოსახლეობა პირველ რიგში უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, როგორც მკურნალობით, ისე დასვენებით ადვილად ხელმისაწვდომ ახლომდებარე კურორტებზე; ეს ხელსაყრელია და მიზანშეწონილია როგორც ბავშვებისათვის, ისე მათი მშობლებისათვისაც, რომელნიც მოისურვებენ სამკურნალოდ ან დასასვენებლად გაგზავნილ ბავშვთა ნახვას კვირაში ერთხელ მაინც.

პირველი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ კურორტის ასეთი შერეული პროფილი, სადაც ერთდროულად იქნებიან ავადმყოფები და დამსვენებლები, ბავშვები და მოზრდილები, შექმნის ქაოსს—არეგ-დარეგას დასვენებისა და მკურნალობის პირობების კულტურულად მოწყობის მაგიერ; მაგრამ ვიღებთ რა მხედველობაში, რომ საკურორტო მშენებლობისა და კურორტზე სამკურნალო-პროფილაქტიკურ დახმარების ყოველგვარი განვითარება უნდა ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ კურორტის გენერალური დაგეგმარების პროექტის საფუძველზე,—აშკარად რეალური ხდება ზემოაღნიშნულ შერეული კონტინგენტის სწორი და ზუსტი მომსახურების ადვილად მოწესრიგების შესაძლებლობა.

აქედან გამომდინარე, მანგლისისათვის პირველ რიგის ამოცანას შეადგენს კურორტის გენერალურ დაგეგმარების პროექტის შედგენა. კურორტის გენერალურ დაგეგმარების პროექტში გათვალისწინებული იქნება ცალ-ცალკე ტერიტორია ბავშვებისა, მოზარდებისა და მოზრდილებისათვის, ისევე ავადმყოფებისა და დამსვენებლებისათვის; გათვალისწინებული იქნება მშენებლობა სანატორიუმების, პანსიონატების, სასტუმროსი და კოტეჯების; ცალკე გამოყოფილი იქნება უბანი კურორტის მომსახურე პერსონალისათვის, აგრეთვე გათვალისწინებულ იქნება წყალსადენის, ელექტრომომა-

რაგების, პოლიკლინიკის, კანალიზაციის, ტურისტული ბაზის, ფიზიკულტურის მოედნებისა, ფიზიო-თერაპიულ სამკურნალოს, სოლარიუმის და აერარიუმის, კინო-თეატრის, პარკებისა და კურორტის გამწვანების და სხვათა მოწყობა და მშენებლობა.

მანგლისი თავისი მაღალ სამკურნალო თვისებებით და მდიდარი ბუნებრივი პირობებით, მისი გეგმიანი საკურორტო მშენებლობის შედეგად, ახლო მომავალში უდავოდ შევა მთელი წლის განმავლობაში მოქმედ სახელმწიფო მნიშვნელობის პირველხარისხიან სამთო-კლიმატურ კურორტთა რიცხვში.

კურორტ მანგლისში ავადმყოფთა მკურნალობის ჩვენებანი:

1. ფილტვების ტუბერკულოზის დახურული ფორმები კომპენსაციის და სუბკომპენსაციის პერიოდში;
2. ლიმფური ჯირკვლების ტუბერკულოზი (დახურული ფორმები);
3. მშრალი პლევრიტი (ადგეზიური);
4. ძვლისა და სახსრების ტუბერკულოზი (არა მძიმე ფორმები სათანადო სტაციონარის არსებობის პირობებში);
5. ქრონიკული ბრონქიტი;
6. მალარია;
7. მეორადი ანემია;
8. ბრონქული ასთმა (არა მძიმე ფორმები);
9. რაქიტი;
10. რეკონვალესცენტები (მწვავე ინფექციურ დაავადებათა გადატანის შემდეგი პერიოდი).

წინააღმდეგჩვენებანი

1. ფილტვების ტუბერკულოზი დეკომპენსაციის სტადიაში;
2. გულისა და სისხლის ძარღვთა სისტემის დაავადებანი (დეკომპენსაცია და სუბკომპენსაციის სტადიაში);
3. ყველა დაავადება, რომელთა მკურნალობა კურორტზე საერთოდ წინააღმდეგნაჩვენებია.

კურორტი წყნეთი

თბილისის ყველა საგარეუბნო კურორტს შორის კურორტი წყნეთი უახლოესია თბილისთან, რომლის მიმართ ის მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთით 8 კილომეტრის მანძილზე და დაკავშირებულია მასთან საავტომობილო გზატკეცილით. ამ გზას ახასიათებს საკმაოდ ციცაბო აღმართები და მკვეთრი მოსახვევები. ეს გზა გადაჭრის რა კურორტის ტერიტორიას, გაივლის სამადლოს და უერთდება თბილის-მანგლისის გზატკეცილს. თბილისიდან წყნეთამდე არის აგრეთვე საცალფეხო გზა, რომელიც საგრძნობლად ამცირებს მანძილს კურორტამდე. კურორტი წყნეთის ასეთი სიახლოვე ისეთ მრავალრიცხოვან ქალაქთან, როგორცაა თბილისი, მნიშვნელოვნად ამალღებს ხსენებულ კურორტის სამკურნალო-პროფილაქტიკურ მნიშვნელობას მთელი წლის მანძილზე, განსაკუთრებით კი ცხელი ზაფხულის პერიოდში.

კურორტი მდებარეობს საკმაოდ ღია პლატოზე, საიდანაც თვალ წინ იშლება დიდებული სანახაობა. განსაკუთრებით საუცხოვო სანახაობას წარმოადგენს საქართველოს დედაქალაქი თბილისი, მის სიღრმეში მოქცეული მახათის მთა, იორის ხეობის იქით აღმართული მთები, საგურამოს ველი და კავკასიონის მთავარი ქედის თოვლით დაფარული მწვერვალები.

წყნეთის ხეობაში გადის პატარა მდინარე ვერა, რომელიც უერთდება მდ. მტკვარს ქალაქ თბილისის ტერიტორიის შიგნით.

თვით სოფელი წყნეთი, რომელიც მდებარეობს კურორტის ტერიტორიის დაწყებამდე, წარმოადგენს მჭიდროდ დასახლებულ ადგილს. აქ ისე, როგორც საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოში, საცხოვრებელი სახლები მცირე საეზოვე მიწის ნაკვეთებით, რომელსაც იყენებენ ბოსტნეულისა და ხეხილისათვის, მჭიდროდ არიან განლაგებული.

ძველი დროიდან წყნეთი ცნობილია თბილისის მოსახლეობაში, როგორც სააგარაკო ადგილი. სააგარაკო მშენებლობა აქ დაიწყო

ჯერ კიდევ შეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. ამავე დროი-
დან სააგარაკო მშენებლობისათვის აქ გამოყენებულია ტერიტორია,
რომელიც დასახლებულ ადგილიდან საკმაოდ მოშორებულია. ამის
შემდეგ გამოიყო ტერიტორია სააგარაკო მშენებლობისათვის, რო-
მელიც შემდეგში გადაიქცა საკურორტო მშენებლობის ზონად და,
რომელიც, თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული მონაცემების მიხედვით
სავსებით ამართლებს თავის დანიშნულებას.

წყნეთს აკლია სათანადო კეთილმოწყობა; სამკურნალოდ და
დასასვენებლად ჩამოსულნი, განსაკუთრებით ზაფხულის სეზონში,
ეწყობიან საცხოვრებლად უმთავრესად კოლმეურნეთა სახლებში, და
მხოლოდ მათი მცირეოდენი ნაწილი ქირაობს ოთახებს საკურორტო
სამმართველოსაგან, რომლის საბინაო ფონდი შეადგენს სულ 17—18
სახლს 70—80 ოთახით. ცალკეულ საზაფხულო სეზონის განმავლო-
ბაში კურორტი წყნეთი ატარებს 1.500 ავადმყოფსა და დამსვენ-
ებელს.


უკანასკნელ წლებში რამოდენიმედ გამოცოცხლდა სააგარაკო
მშენებლობა, როგორც კოოპერატიულ, ისე საზოგადო ორგანიზაციე-
ბისა და კერძო მოქალაქეთა მხრივ, რის შემდეგ შესამჩნევად გადიდ-
და სააგარაკო ნაგებობათა რიცხვი, განსაკუთრებით ზემო რაიონ-
ში კურორტის ცენტრალურ ნაწილიდან 1—1,5 კილომ. მოშო-
რებით.

წყალს კურორტი ღებულობს მის მახლობელ ადგილებში არ-
სებულ მცირე დებიტიან წყაროებიდან. თბილისის კურორტთა
სამმართველოს მიერ 1936 წ. ჩატარებულ ღონისძიებათა შედეგად
კურორტის წყლით მომარაგების საკითხი მნიშვნელოვნად გაუმ-
ჯობესდა, თუმცა ვერ აკმაყოფილებს მთლიანად მის მოთხოვნილე-
ბას. იგივე უნდა ითქვას ელექტრომომარაგებაზე, რომელიც მოეწ-
ყო იმავე წელს. კანალიზაციით კი კურორტი ჯერ-ჯერობით არ
არის უზრუნველყოფილი.

კურორტის გამწვანებამ (წიწვიანი ჯიშებით), რაც ნა-
წილობრივ ჩატარებულ იქნა 1935 და 1936 წლებში, კურორტს
მისცა დამაკმაყოფილებელი შედეგი, მაგრამ რასაკვირველია, ეს
არაა საკმარისი, როგორც დღევანდელი, ისე მომავალი კურორ-
ტისათვის.

თბილისის ყველა საგარეუბნო კურორტის (წყნეთი, კოჯო-
რი, კიკეთი და მანგლისი) სამთო-სანიტარული დაცვის ზონები,
დაწესებული და დამტკიცებულია საქ. სახალხო კომისართა საბჭოს
მიერ 1931 წლის 28 ოქტომბრის დადგენილებით.

წყნეთში ამჟამად მეტეოროლოგიური სადგური არ მუშაობს, რამაც არ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ იქონიოს ამ კურორტის კლიმატური ფაქტორების საბოლოო შესწავლა-შეფასებაზე. წყნეთში ჩვენს მიერ 1936 წელს პირველად მოწყობილი მეტეოროლოგიური სადგური ჯერ კიდევ სამამულო ომამდე გაუქმდა და ჯერ არ არის აღდგენილი.



სურ. 14. წყნეთი—კურორტთა სამმართველოს საბავშვო სანატორიუმი.

სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებიდან წყნეთში 1938 წლიდან დღემდე არსებობს საკურორტო სამმართველოს საბავშვო სანატორიუმი 80 საწოლით, რკინიგზელთა დასასვენებელი სახლი, თბილისის საგარეუბნო რაიჯანგანის ამბულატორია, აფთია-

ქი და ფიზკულტურის მოედანი; არის აგრეთვე სატელეფონო კაბ-შირი ქ. თბილისთან. ავადმყოფებსა და დამსვენებლებს აქ საშუალება ეძლევათ შეიძინონ სამრეწველო საქონელი და საკვები სურსათი სათანადო კოოპერატიულ და საკოლმეურნეო წერტებში. ადგილობრივ ბაზარზე კოლმეურნეებს გამოაქვთ ხორცი, ფრინველი, თაფლი, ბოსტნეული, კარაქი, რძე, მაწონი, ყველი, ხილი და სხვა. ყველაფერი ეს საკმაო რაოდენობით იშოვება.

კურორტ წყნეთის მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული მონაცემები და კლიმატური დახასიათება

წყნეთი მდებარეობს პლატოზე, რომლის სამხრეთი ნაწილი ეკვრის მცირედ ამაღლებულ მთის ჯაჭვს; როგორც კურორტის ტერიტორია, ისე გარშემორტყმული მთები მთლიანად დაფარულია დაბალი ტყით.

მეტეოროლოგიური დაკვირვებები აქ დაიწყო 1956 წელს სადგურზე, რომელიც მოწყობილი იყო თბილისის საკურორტო სამმართველოს მიერ. მიღებული მასალების მონაცემების საფუძველზე ჰიდრომეტეოროლოგ გ. ჭირაქაძეს შესაძლებლად მიაჩნია აღნიშნოს ამ კურორტის ჰავის შემდეგი სპეციფიკური თავისებურებანი:

წყნეთში ზაფხულობით $2,5^{\circ}$ უფრო გრილა, ვიდრე თბილისში და $1,2-1,5^{\circ}$ —ვიდრე მთაწმინდაზე. ზამთრის თვეებში განსხვავება მცირდება, მაგრამ ტემპერატურის მაჩვენებლები წყნეთში, მაინც უფრო მცირე რჩება, ვიდრე ხსენებულ ადგილებში.

ცხელ ზაფხულის პირობებში, რომელიც ახასიათებს თბილისს და მის მიდამოებს, წყნეთი განსხვავდება მნიშვნელოვანი სიგრილით, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზმის მიერ სითბოს გაცემის კომფორტულ პირობებს. ასეთი სიგრილის მიზეზად არ შეიძლება ჩაითვალოს მარტო სიმაღლის დონეთა განსხვავება.

ჰაერის ტემპერატურაზე გარკვეულ შემანელებელ გავლენას ახდენს ადგილის ვენტილაციის იდეალური პირობები, ადგილობრივი ქარების რეგულარული გამაგრებელი მოქმედება და გარემოს მოქმედი ფენა (მწვანე საბურველი); წყნეთში არსებული ატმოსფერული მოძრაობა თავის მიმართულებით და სიჩქარით ხელს უშლის ჰაერის დაგუბებითი მოვლენებს და უზრუნველყოფს მისი ვენტილაციის ნორმალურ პირობებს.

ჰორიზონტის გაშლილობის გამო აქ ქარების გაბატონებულ მიმართულებასთან ერთად მნიშვნელოვანი განვითარება აქვს აგრე-



თვე მათ სხვა მიმართულებასაც. დიდი კლიმატური მნიშვნელობის ექსპლექტა აქ ადგილობრივ ქარებს. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ქარის სისწრაფის შედარებით მცირე მაჩვენებლები, რაც თავისებურს ხდის წყნეთს ირგვლივ მდებარე ადგილებთან შედარებით და აახლოვებს მის კლიმატურ კომპლექსს კომფორტულ პირობებთან. ჰავის ტენიანობა რჩება ზომიერი მაჩვენებლების ფარგლებში. კურორტის ზომიერი სიმაღლის (700—750 მ.), ჰორიზონტის გაშლილობისა და მწვანე საბურველის სიუხვის გამო, კურორტი ხასიათდება მცირეოდენი მტვერიანობით, ატმოსფეროს მაღალი გამჭვირვალობით და მზის სხივების ხანგრძლივი მოქმედებით.

კურორტის ზემოაღნიშნული მეტეოროლოგიური ფაქტორების თავისებურებანი ხდიან წყნეთს კლიმატური თვალსაზრისით თბილისისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელ საკურორტო ადგილად.

ცხელ და მხურვალე დღეებში, რომელნიც ახასიათებენ თბილისს და მის მიდამოებს, როდესაც ირღვევა თბოგაცემის ნორმალური პირობები, ორგანიზმი განიცდის გადატბობის შიშიე პირობებს; წყნეთში ტემპერატურის დაქვეითებულ მაჩვენებლების, ადგილობრივი ქარების გამაგრილებელი მოქმედებისა და ჰაერის ნორმალური სინოტივის გამო, ორგანიზმისათვის იქმნება თბოგაცემის ნორმალური პირობები, ან იგი ექცევა ამ მხრივ კომფორტულ ზონაში, ესე იგი ყველაზე ხელსაყრელ პირობებში მასზე გარემოს ატმოსფეროს მოქმედების მხრივ.

კურორტის წყნეთის სამკურნალო თვისებები და მისი განვითარების პერსპექტივები

ამ კურორტის ძირითადი სამკურნალო ფაქტორის—ჰავის დაავადებულ და ჯამრთელ ორგანიზმზე გავლენის შესახებ ჯერ არ არსებობს სპეციალურ სამეცნიერო დაკვირვებათა მონაცემები. მრავალი წლის ემპირიული მონაცემები ამ ადგილის ჰავის გავლენის შესახებ ორგანიზმზე აშკარად ღალადებენ მის მაღალ სამკურნალო ეფექტივობაზე მთელ რიგ დაავადებათა დროს და განსაკუთრებით ბავშვთა ასაკის დაავადებათა დროს. იმ ეჭიშთა აზრით, რომელთაც უმუშავნიათ წყნეთში ზაფხულობით რამოდენიმე წლის განმავლობაში (ექ. ს. ბერძენიშვილი, ექ. გ. მეძმარიაშვილი და სხვ.) და აგრეთვე ჩვენ საკუთარ დაკვირვებათა მიხედვით, უდაოდ დასტურდება ამ კურორტის მთის ჰავის მაღალი სამკურნალო ეფექტიანობა ლიმფადენიტების, ბავშვთა ტუბერკულოზური ინფილტრაცი-

ტების, ქრონიკული ბრონქიტის, მეორადი სისხლნაკლოვანების, საერთო სისუსტის და სხვა დაავადებათა დროს; განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წყნეთს რეკონვალესცენტებისათვის (მწვავე დაავადებათა გადატანის შემდეგი პერიოდი). ამ ხანაში დასუსტებული ორგანიზმი მისი ძალების აღდგენისათვის მოითხოვს ავადმყოფის გაყვანას ქალაქ გარეთ სუფთა მთის ჰაერზე; ამ მხრივ წყნეთი თბილისის მოსახლეობას დაუფასებელ სამსახურს უწევს.

თავის კლიმატური თვისებების მიხედვით, წყნეთი შეიძლება ითქვას, არ ჩამოუვარდება ბევრ ჩვენ სახელგანთქმულ კლიმატურ კურორტს; ამ ადგილის სიახლოვე რესპუბლიკის უდიდეს დასახლებულ ცენტრთან, ის ფაქტი, რომ ის ადვილად ხელმისაწვდომია თბილისის მშრომელთა ფართე ფენებისათვის, უდავოდ ამალლებს ამ სამთო-კლიმატური სადგურის ღირსებას და ანიჭებს მას უპირატესობას მთელ რიგ სხვა კურორტებთან შედარებით, რომლებითაც ასე უხვად დააჯილდოვა ბუნებამ ჩვენი სამშობლო.

წყნეთი, მაღალ კლიმატურ თვისებებთან ერთად, უზრუნველყოფილია საკმაო სააღმშენებლო ფართობით ნამდვილი საკურორტო მშენებლობის გასაშლელად. იმისათვის, რომ მთლიანად გამოყენებული იქნეს ამ ადგილის სამკურნალო შესაძლებლობანი, მას უნდა მიეცეს სათანადო კეთილ-მოწყობა. საჭიროა წყნეთის ფართე გამწვანება, პირველ რიგში წიწვიანი ჯიშებით. სასტიკად დაცულ უნდა იქნეს მწვანე ნარგავები, რომლებიც უკვე არის მის ტერიტორიაზე და ფარავს მთის ფერდობებს მის გარშემო. ეს ღონისძიებები არამც თუ დაიცავენ ამ კურორტის კლიმატურ თვისებებს, არამედ ხელს შეუწყობენ მათ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

როგორც ზემოდ იყო აღნიშნული, დღევანდელ პირობებში წყნეთში კეთილმოწყობის და საკურორტო მშენებლობის ელემენტები მოითხოვენ გაუმჯობესებას; წყნეთში საკურორტო მშენებლობის გეგმიანი გაშლისათვის საჭიროა პირველ რიგში ჩატარდეს მისი გენერალური დაგეგმარების პროექტის შედგენა და დამტკიცება; ამ საქმეს თბილისის საკურორტო სამმართველო უკვე შეუდგა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ის ამჟამად აწარმოებს კურორტ წყნეთისა და კოჯორის ტოპოგრაფიულ გადაღებას, რის შემდეგ დაიწყება კურორტის გენერალური დაგეგმარება. კურორტის გენერალურ დაგეგმარების პროექტით უნდა გათვალისწინებული იქნეს წყალსადენის და კანალიზაციის აგება, საგზაო მშენებლობა, კურორტის გამწვანება, ელექტრო-მომარაგება, მშენებლობა სანატორიუმებისა, დასასვენებელი სახლებისა, სასტუმროსი, კოტეჯების, პარკებისა და ა. შ.

როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, წყნეთი მთელ რიგ დაავადებებთან ერთად, განსაკუთრებით ბავშვთა ასაკის დაავადებათა დროს, უნდა დიდი ეფექტიანობით იქნეს გამოყენებული, როგორც სამკურნალო კურორტი. ამასთანავე წყნეთი ახლაც კი, როდესაც მას აქვს სუსტად გამოხატული სამკურნალო პროფილი, საკმაოდ ფართოდ არის გამოყენებული, როგორც პროფილაქტიკური კლიმატური სადგური. ეს მდგომარეობა უნდა გათვალისწინებულ იქნეს კურორტის გენერალური დაგეგმარების დროს; ესე იგი კურორტი წყნეთი შემდეგში გამოყენებული უნდა იქნეს, როგორც სამკურნალო-პროფილაქტიკური კურორტი. კურორტის სამკურნალო პროფილი უნდა შენარჩუნებული იქნეს ბავშვთა სასანატორო საწოდების ხარჯზე. ამ უკანასკნელების რიცხვი შეიძლება განისაზღვროს 300—400 საწოდის ფარგლებში, მათ შორის 50% უნდა მოქმედებდეს მთელი წლის განმავლობაში; კურორტის დანარჩენი კონტინგენტი უნდა იყოს წარმოდგენილი დამსვენებლების შერეული ასაკის შემადგენლობით—ბავშვები, მოზარდები, მოზრდილები.

გენერალურ დაგეგმარების პროექტში უნდა გათვალისწინებული იქნეს კურორტის რაიონირება სანატორიუმებისა და პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მიმართ, კურორტის კონტინგენტის ასაკთა სხვაობის გათვალისწინებით.

ამრიგად, ვითვალისწინებთ რა კურორტის კლიმატურ-სამკურნალო და კლიმატურ-პროფილაქტიკურ თვისებებს და მის სიახლოვეს დიდ, მრავალრიცხოვან ქალაქთან, წყნეთი, რაციონალური და გეგმიანი განვითარების პირობებში უახლოეს მომავალში გახდება თბილისის პირველხარისხიან საგარეუბნო კურორტად.

კურორტ წყნეთში ავადმყოფთა მკურნალობის ჩვენებანი

1. ლიმფური ჯირკვლების ტუბერკულოზი (ბრონქოპულმონალური და პერიფერიული ჯირკვლების);
2. ქრონიკული ბრონქიტი;
3. ქრონიკული პლევრიტი (განსაკუთრებით ადგილობრივი);
4. მეორადი სისხლნაკლოვანება;
5. მალარია;
6. რეკონვალესცენტები (განკურნების პერიოდში, გადატანილი მწვავე დაავადების შემდეგ);
7. რაქიტი.

8. ბრონქიალური ასთმა;
9. კვების დაქვეითება;
10. ნევროზების იოლი ფორმები;

წინააღმდეგვებანი

1. ფილტვების ტუბერკულოზი ღია ფორმებში;
2. მწვავე ინფექციური დაავადება;
3. ყველა დაავადება, რომელიც საერთოდ წინააღმდეგ
ნაჩვენებია კურორტებზე მკურნალობისათვის.

კურორტი კიკეთი

თბილისის საგარეუბნო ღირსშესანიშნავ კურორტთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი კიკეთს უჭირავს. ეს კურორტი მდებარეობს თბილისიდან 27 კილომეტრის მანძილზე, მდინარე სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით თბილის-მანგლისის გზატკეცილზე; ეს გზატკეცილი გაივლის რა კურორტ კოჯორის ცენტრს, დაბა სამადლოსთან იძლევა სამ განშტოებას (ბეთანიასა და წყნეთისაკენ), მათ შორის ერთი კიკეთისაკენ.

კიკეთის გეოგრაფიული კოორდინატები დაახლოებით ისეთივეა, როგორც კოჯორისათვის— $41^{\circ} 39'$ ჩრდილოეთის სიგანედისა და $44^{\circ} 29'$ აღმოსავლეთის სიგრძედის. კურორტი იმყოფება 1100—1150 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონედან.

კიკეთმა ახლომდებარე რაიონებისა და პირველ რიგში თბილისის მოსახლეობაში სახელი მოიხვეჭა და ყურადღება მიიპყრო თავის კლიმატურ და სამკურნალო თვისებებით, უმშვენნიერესი ბუნებით და ამასთან ერთად უდიდეს სამრეწველო ცენტრთან სიახლოვით. კიკეთი წარმოადგენს თბილისის მოსახლეობისათვის ერთ-ერთი მაღალღირსებიან და ადვილად ხელმისაწვდომ დასასვენებელ ადგილს.

საერთოდ ცნობილია, რომ ყოველი საგარეუბნო კურორტის წარმოშობასა და განვითარებას აქვს მჭიდრო კავშირი იმ ქალაქის განვითარებასთან, რომლის მახლობლად იგი მდებარეობს. იგივე ითქმის თბილისის საგარეუბნო კურორტების შესახებ და მათ შორის კიკეთზედაც. არსებულ მონაცემების მიხედვით, კიკეთში სააგარაკო მშენებლობა დაიწყო გასული საუკუნის უკანასკნელ წლებში და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში, თბილისის განვითარებისა და მისი მოსახლეობის ზრდის პარალელურად.

კიკეთში სააგარაკო მშენებლობის ტემპი, როგორც საკურორტო სამმართველოს, ისე სხვადასხვა უწყებათა და ორგანიზაციათა ხაზით, განსაკუთრებით გაძლიერდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. არსებული ცნობების მიხედვით,

1940 წლისათვის კიკეთის იმ 75 სააგარაკო ნაგებობის შორის რომლებშიაც არ შედის ადგილობრივ კოლმეურნეთა და სხვა შენობები, მარტო თბილისის საკურორტო სამმართველოს მიერ გაშენებულია 26 სააგარაკო სახლი.

ზემოაღნიშნული საბინაო ფონდი კოლმეურნეთა და სხვა ადგილობრივ მოსახლეთა ბინების ჩათვლითაც, რა თქმა უნდა, ვერ აკმაყოფილებს მთლიანად იმ დიდ მოთხოვნილებას, რომელსაც უყენებს კურორტს ზაფხულის პერიოდში დიდი ქალაქის მოსახლეობა.

კიკეთის ადგილობრივი წყაროები საუცხოვო წყლით ჰკვებავენ კურორტს. ელექტრო-განათებით კურორტი მარაგდება საკუთარი თბოსადგურის საშუალებით.

სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებიდან კიკეთში ზაფხულობით მუშაობს საკურორტო სამმართველოს პოლიკლინიკა კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიით, აფთიაქი, ბავშვთა სანატორიუმი, არსებობს აგრეთვე ფიზკულტურის მოედანი და სხვა.

სავაჭრო წერტილებიდან აქ არის სამრეწველო საქონლისა და სასურსათო მაღაზიები და სხვადასხვა სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების კიოსკები.

აქვე მოწყობილია ბაზარი, სადაც დამსვენებლებს საშუალება ეძლევათ შეიძინონ ფრინველი, კვერცხი, რძის ნაწარმი, ხორცი, მწვანილი, ხილი და სხვ.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სააგარაკო ნაგებობანი, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, ერთმანეთიდან საგრძნობლად დაშორებულია და გაფანტულია კურორტის ტერიტორიის მთელ ფართობზე, რომელიც 400 ჰექტარს აღწევს.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ამ კურორტს საშუალება აქვს გაათავოვოს საკურორტო-სააღმშენებლო ტერიტორია დაახლოებით იმ ფართობით, რაც დღეს-დღეობით მას უჭირავს (400 ჰექტარი).

კიკეთის მუდმივი მოსახლეობა არაა მრავალრიცხოვანი, ხოლო ზაფხულის პერიოდში იგი მნიშვნელოვნად იზრდება, უმთავრესად თბილისის მოსახლეობის ხარჯზე.

ჩვეულებრივად, როგორც სხვა კურორტებზე, ივნისის თვიდან ამ კურორტს ეტყობა გამოცოცხლება და ივნისის ბოლო რიცხვებისათვის დამსვენებელთა რიცხვი აღწევს 450, ივლისში 800, აგვისტოში 1100, შემდეგ უკვე მცირდება და სექტემბერში იგი

აღწევს 400 დამსვენებელამდე. კიკეთი ზაფხულის პერიოდში იზიდავს დამსვენებელთა დიდ რიცხვს თავისი მშვენიერი კლიმატური პირობების, საუცხოვო ბუნებისა და თბილისთან სიახლოვის გამო.

კიკეთის მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური დახასიათება

კურორტი კიკეთი იმყოფება თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე.

კურორტს უკავია ფერდობის დაწეული ნაწილი, რომელიც დაფარულია ფოთლოვანი ჯიშის ხშირი ტყით. კურორტის ტერიტორია შეიძლება დაფიქსირდეს ორ ზონად; პირველს უჭირავს ჩრდილოეთის ფერდობი, რომელიც ღიაა ჩრდილოეთიდან ატმოსფერულ დინების მოქმედებისათვის. ეს ზონა დახურულია სამხრეთის მხრიდან და ამიტომ მისი გათბობა შედარებით მცირეა. მეორე ზონას უჭირავს სამხრეთის ფერდობი და ღიაა როგორც სამხრეთის, ისე აღმოსავლეთის მხრიდან. მისი დასხივება მაქსიმალურია და გათბობა საკმარისია. ჰაერის მხრივ ეს ორი ზონა საკმაოდ განირჩევა ერთმანეთისაგან. სამხრეთ ნაწილში ადგილი აქვს უკეთეს კლიმატურ პირობებს, ვიდრე ჩრდილოეთ ნაწილში, რომელიც იმყოფება ჩრდილში დღის პირველი ნახევრის ნაწილის განმავლობაში.

მეტეოროლოგიური მონაცემები არსებობს მხოლოდ კურორტის ჩრდილოეთ ნახევრის ნაწილისათვის.


აქ მეტეოროლოგიური სადგური მუშაობს 1937 წლიდან.

ჰიდრომეტეოროლოგ გ. ჭირაქაძის მონაცემების მიხედვით, თერმული რეჟიმის მხრივ კიკეთს უკავია საშუალო ადგილი კოჯორსა და წყნეთს შორის. კოჯორში რამოდენიმედ უფრო მეტი სიგრილეა, ვიდრე კიკეთში და წყნეთში კი საშუალოდ 2 გრადუსით უფრო თბილა, ვიდრე კიკეთში.

კიკეთისა და მანგლისის ტემპერატურული მაჩვენებლები ერთმანეთთან ახლოს არიან, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში; თუ მხედველობაში მივიღებთ სიმაღლეს, მანგლისში უნდა იყოს კიკეთთან შედარებით უფრო დაბალი ტემპერატურა. მანგლისის ღია მდებარეობა სამხრეთიდან პირობას იძლევა მანგლისის უფრო ინტენსიურად გათბობისათვის, რის გამოც იქ ტემპერატურა უფრო მაღალია.

კიკეთის გაშლილობა ჩრდილოეთისაკენ ქმნის ხელშემწყობ პირობებს მთელს რაიონში ჩრდილო-დასავლეთისა და დასავლეთის აქ გაბატონებული ძლიერი ქარების მოქმედებისათვის.

ტენიანობა კურორტის ჩრდილოეთ ნაწილში რამოდენიმედ მაღალია. ქვემოთ მოგვყავს ფარდობითი ტენიანობის მაჩვენებლები კიკეთის, კოჯორისა და მთაწმინდისათვის.



სურ. 15. კიკეთი—ხედი კურორტში შესასვლელიდან.

ფარდობითი ტენიანობა 13 საათისათვის.

| ადგილების დასახელება | IV | V | VI | VII | VIII | IX | X |
|--------------------------|----|----|----|-----|------|----|----|
| კიკეთი (ჩრდილოეთის ზონა) | 61 | 67 | 64 | 48 | 46 | 60 | 66 |
| კოჯორი | 58 | 62 | 53 | 37 | 41 | 52 | 58 |
| მთაწმინდა | 56 | 58 | 50 | 36 | 30 | 48 | 55 |

კურორტის გაძლიერებული ტენიანობა გამოწვეულია მისი ჩრდილოეთი ნაწილის დაჩრდილოებით და ტყის მასივის სიახლოვეთ. ნალექების წლიური ჯამი შეადგენს 600 მმ. საერთოდ ამ კურორტში ნალექები ნაკლებია, ვიდრე კოჯორში და წყნეთში და მეტია, ვიდრე თბილისში. ზამთარი კიკეთში გამოხატულია მკაფიოდ:

ზამთრის 3 თვის განმავლობაში საშუალო ტემპერატურა 0°-ზე დაბალია. თოვლის საბურველი სტაციონარულია დეკემბრის მეორე ნახევრიდან 10—15 მარტამდე.

ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებისა და კლიმატური მაჩვენებლების საერთო კომპლექსში კიკეთი მთლიანად აკმაყოფილებს კარგი სამთო კლიმატური სადგურის მოთხოვნებს. კურორტი იმყოფება საშუალო სიმაღლის ზონის ფარგლებში, სადაც თამამად შეიძლება გაიგზავნოს სამკურნალოდ და პროფილაქტიკურ მიზნებისათვის მრავალრიცხოვანი კონტინგენტი.

სამკურნალო თვისებები და კურორტის განვითარების პერსპექტივები

ჯანსაღ და ავადმყოფ ორგანიზმზე კიკეთის ჰავის გავლენის შესახებ ჯერ-ჯერობით სამედიცინო ლიტერატურაში არავითარ მასალა არ მოიპოვება. მაგრამ ყველა ჩვენგანმა იცის, რომ ბავშვები და დიდები, ავადმყოფები და დამსვენებლები ხალისიანად და სისტემატურად მიდიან კიკეთში და ბრუნდებიან იქიდან კმაყოფილები. ექიმებიც, რომელნიც ყოფილან და უმუშავენიან კიკეთში, ადასტურებენ ამ კურორტის გავლენის შედეგად მიღებულ მაღალ სამკურნალო და პროფილაქტიკურ ეფექტიანობას. ეს გასაგებიც არის, ვინაიდან საუცხოვო მთის ჰავა, რომელიც მდიდარია ულტრა-იისფერი რადიაციით, ჰაერის სისუფთავე და სიგრილე, სხვადასხვა მცენარეთა სიუხვე, მათ შორის წიწვიანი ჯიშებისა და რელიეფის სხვადასხვაობა, საერთოდ თვალწარმტაცი ბუნება, ცივი წყაროების ჩუხჩუხი, — ყველაფერი ეს საკმაოდ მოშორებული დიდი ქალაქის ნერვულ დაჭიმულობის და სიცხის პირობებს, უეჭველია, ქმნის ხელშემწყობ მდგომარეობას ნორმალური დასვენებისათვის.

თამამად შეიძლება ვუჩიოთ იქ წასვლა ეფექტიანი მკურნალობისათვის მთელ რიგ დაავადებათა დროს, როგორც მაგალითად ლიმფადენიტების, ბრონქიტების, პლევრიტებისა, მეორადი სისხლნაკლოვანობისა, მალარიისა და ზოგიერთ სხვა დაავადებათა დროსაც კი. აღნიშნული დაავადებების მკურნალობა არა ნაკლები წარმატებით შეიძლება სხვა საგარეუბნო კურორტებზედაც (კოჯორი, მანგლისი, წყნეთი), სადაც მათთვის უკვე მიკუთვნილია ადგილი იმ დაავადებათა რიცხვში, რომელთა მკურნალობა ნაჩვენებია ამ კუ-

კორტებზე. კიკეთისათვის შეიძლება მიგვეცა მხოლოდ და მხოლოდ პროფილაქტიკური პროფილი, მით უმეტეს, რომ შემდეგში კოჯორი უნდა განვითარდეს მხოლოდ, როგორც საბავშვო სამკურნალო-პროფილაქტიკური კურორტი, მანგლისი და წყნეთიც უთუოდ, როგორც სამკურნალო-პროფილაქტიკური კურორტები ბავშვთა საწოლებისათვის საკმაოდ დიდი ხვედრითი წონის დათმობით. ამ შემთხვევაში, კურორტ კიკეთის გენერალურ დაგეგმარების პროექტში უნდა გათვალისწინებულ იქნეს ამ კურორტის პროფილაქტიკური პროფილი, ძირითადად მოზრდილებისათვის. გარდა ძლიერი პოლიკლინიკისა, ყველა სამკურნალო, დიაგნოსტიკური განყოფილებებით და პატარა სტაციონარით, აქ გათვალისწინებული იქნება დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, სასტუმროს, ფიზკულტურის მოედნებისა, აეროსოლარიების და ფართო მაშტაბით ცალკე სახლების (კოტეჯები—საოჯახო სარგებლობისათვის), აგრეთვე კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა და სხვათა მშენებლობა. სოციალისტურ კურორტის განვითარების გენერალურ დაგეგმარების პროექტი რათქმა უნდა, გაითვალისწინებს პირველ რიგში კეთილმოწყობის ძირითად ელემენტებს, ესე იგი სათანადო სიძლიერის წყალსადენით, კანალიზაციით, ელექტრო-მომარაგებით და შინა საკურორტო გზებით კურორტის უზრუნველყოფას.

როგორც ზემოდ იყო აღნიშნული, კურორტებს კოჯორსა და კიკეთს, აქვთ დიდი შესაძლებლობა საკურორტო სააღმშენებლო ტერიტორიის გაფართოების მხრივ; ამ მხრივ მათ დიდი უპირატესობა აქვთ ზოგიერთ ჩვენ სახელგანთქმულ კურორტებთან შედარებით.

ამრიგად, კიკეთი უნდა განვითარდეს, როგორც პროფილაქტიკური პროფილის კურორტი,—როგორც დასასვენებელი ადგილი თბილისის მოსახლეობისათვის. დასასვენებელი ადგილების მხრივ და მათ შორის კიკეთის მხრივაც, თბილისის მოსახლეობის მიზიდვა გაგრძელდება მომავალშიც ისე, როგორც ამჟამად, თბილისის კლიმატური პირობების გამო განსაკუთრებით ცხელ ზაფხულის თვეებში. ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ ის მდგომარეობაც, რომ თბილისის მთელი მოსახლეობა, რომელსაც დასვენება დასჭირდება, არ შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს მხოლოდ წლის ცხელი პერიოდის განმავლობაში. ესეც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, მაინც ყოველთვის იქნება საკმარისი რიცხვი ისეთი პი-

რებისა, რომლებსაც დასვენება დასჭირდებათ წლის ყველა
ზონში.

აქედან გამომდინარე, კიკეთი უნდა განვითარდეს, როგორც
მოზრდილებისათვის მთელი წლის განმავლობაში მოქმედი კურორ-
ტი უნდა ითქვას, რომ ამას ხელს უწყობს ამ კურორტის ყველა
ბუნებრივი პირობა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პანსიონატებში და დასასვენე-
ბელ სახლებში გასაგზავნათათვის არ შეიძლება წინააღმდეგჩვენე-
ბად ჩაითვალოს მსუბუქ-სუსტ ფორმებში გამოხატული მთელი რი-
გი დაავადებები, როგორც მაგალითად: ქრონიკული ბრონქიტი,
ლიმფადენიტები, ნევრასტენია და რეკონვალესცენტები. (მწვავე
დაავადების გადატანის შემდეგი პერიოდი).



კ უ მ ი ს ი

სამკურნალო ტალახი უძველეს დროიდან ცნობილია, როგორც თერაპიული ფაქტორი მთელ რიგ დაავადებათა დროს. ამ დებულებამ შემდეგში, თანამედროვე კურორტოლოგიაში, კერძოდ ბალნეო-თერაპიაში, არამც თუ არ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, პირიქით უფრო მეტად განამტკიცა იგი. ტალახით მკურნალობამ, ღირსეულად დაიკავა საპატიო ადგილი სხვა თერაპიულ ღონისძიებათა შორის.

საქართველოში, რომელსაც თავისი საკურორტო სამკურნალო ჰიდრომინერალური და სამკურნალო-კლიმატური რესურსების მხრივ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, სამკურნალო ტალახის წყაროება და მარაგი ჯერ კიდევ შეიძლება ითქვას, შედარებით სუსტად არის გამოვლინებული.

დღეისათვის ჩვენ გვაქვს ორი უკვე ცნობილი წყარო სამკურნალო ტალახისა — ახტალას ფსევდოვულკანური — და კუმისის ტბის ნალექი ან ლამის ტალახი, თუ არ შევეხებით სხვა ისეთ სამკურნალო ტალახებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ აქვთ განსაზღვრული მნიშვნელობა. თუ მხედველობაში მივიღებთ ახტალის ტალახის მარაგსა და კუმისის ტბის სიღრმეში დაღეჟილ ტალახის მოცულობას, უნდა ითქვას გარკვევით, რომ კუმისის ტბა საქართველოში მოკლე ხანში გახდება მაღალ ხარისხოვანი სამკურნალო ტალახის მთავარ ბაზად, პირველ რიგში კი კურორტგარეშე ტალახით მკურნალობისათვის. კუმისის ტბა იმავე სახელწოდების სოფლით, მდებარეობს. თბილისიდან 22 კილომეტრის მანძლზე მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, შავი ზღვის დონედან 480 მეტრის სიმაღლეზე.

მისი გეოგრაფიული კოორდინატებია: $41^{\circ} 35'$ ჩრდილოეთის სიგანედისა და $44^{\circ} 52'$ აღმოსავლეთის სიგრძედის. თვით კუმისის ტბა — ტალახის წყარო, — მდებარეობს იმავე სახელწოდების რკინიგზის სადგურიდან (სადგური კუმისი) სულ ახლო. ეს რკინიგზა საშუალებას იძ-

ლევა ადვილი კავშირისათვის, როგორც საქართველოს, ისე სომხეთის, აზერბაიჯანისა და სხვა რესპუბლიკების სხვადასხვა ქალაქებთან და დასახლებულ პუნქტებთან.

გარდა ამისა, თბილისთან კუმისს აერთებს ჩინებული გზატკეცილი, რომელიც მნიშვნელოვან ნაწილზე გუდრონირებულია და თბილისიდან გადის ბალნეოლოგიურ კურორტით. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე რკინიგზის სადგურ სოღანლულამდე, შემდეგ უხვევს მარჯვნივ და მიემართება კუმისის ტბისაკენ.

სოფ. კუმისიდან კუმისის ტბამდე სულ 3 კილომეტრია. ამ სამკურნალო ადგილის ახლობელი დასახლებული სოფლებია: მუხრან-თელეთი, მირზო--თელეთი, სოღანლული, კოდა, წალალუ, ხატის თელეთი და სხვ.

ტბის სიგრძე $2\frac{1}{4}$ კილომეტრამდეა, განიკი 2 კილომეტრამდე. საერთო მისი ფართობი შეადგენს დაახლოებით $4-4\frac{1}{2}$ კვადრ. კილომეტრს. თბილისის ახლო-მახლო მიდამოებში მდებარე ცხრა ტბის შორის ეს არის ყველაზე უდიდესი ტბა, რომლის სიღრმე მერყეობს ორი მეტრის ფარგლებში. ტალახის ზედა ფენა სისქით, დაახლოებით, 5 სანტიმეტრი, ნაცრის ფერისადა წარმოადგენს ტალახის დაჟანგულ ნაწილს. უფრო ღრმად მდებარეობს შავი, სქელი, პლასტიური მაღალხარისხოვანი სამკურნალო ტალახი, რომლის ფენა აღწევს ერთ მეტრზე მეტ სისქეს, რაც საერთო ჯამში ქმნის ამ ძვირფას სამკურნალო საშუალების დიდძალ მარაგს.

1936 წელს თბილისის სან-ჰიგიენის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ იქნა კუმისის ტალახის ფიზიკურ-ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზები, რომლებმაც საკმაოდ გააშუქა ამ ტალახის არსებითი თვისება და დაადასტურა მისი მაღალი სამკურნალო ღირსება.

კუმისის ტალახის გამოყენება სამკურნალო მიზნით პირველად შედარებით ვიწრო ფარგლებში ტარდებოდა პარალელურად ახტალის ტალახთან ერთად თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების გოგირდწყალბადით და ტალახით სამკურნალოში (პროფ. დ. ჯავახიშვილი და სხვ.) 1927—32 წლებში, ამის შემდეგ კი კუმისის ტალახის გამოყენება შეწყდა.

აღნიშნული ტალახის ფრიად მნიშვნელოვანი სამკურნალო თვისებების გამო ჩვენს მიერ (თბილისის საკურორტო სამმართველოს) 1936 წელში აღდგენილ იქნა ამ ტალახის გამოყენება,

ამავე გოგირდ - წყალბად-ტალახით სამკურნალოსა (თბილისის ჯანძრთელობის განყოფილების) და პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს ლიკანის სანატორულ კომბინატში (ბორჯომ-ლიკახი).

რესპუბლიკის ყველა სპეციალურ სამკურნალო დაწესებულებაში ამ ძვირფასი სამკურნალო ფაქტორის ფართე გამოყენებისათვის, ტბაზე მოეწყო სპეციალური ესტაკადა ტბის სიღრმეში და კონსტრუირებულ იქნა ტალახის ამომღები სპეციალური ხელსაწყო, რომლის მიზანი იყო სიღრმეიდან ტალახის ამოღების მექანიზაცია.

იმ თანხების ხარჯზე, რომელიც შემოდიოდა სამკურნალო ტალახის ექსპლოატაციიდან, ტბის ნაპირზე აშენებულ იქნა ქვითკირის ორსართულიანი პატარა შენობა, რომლის ძეგრე სართულში მოთავსდა სამკურნალო ტალახის ექსპლოატაციაზე მომუშავე პერსონალი, პირველში კი ხავეები და სხვა ინვენტარი.

1935 წელს კუმისის ტბას ესტუმრა სამეცნიერო ექსპედიცია შემდეგი სპეციალისტების შემადგეხლობით: უკრაინის სამეცნიერო აკადემიის წევრი - კორესპონდენტი პროფ. ე. ბურქსერი, ცნობილი ბალნეოლოგი-ტალახთმცოდნე პროფ. ს. ნალბანდოვი, პროფ. დ. ჯავახიშვილი, პროფ. მ. ზანდუკელი, ექ. ლ. ნაზარეტიანი, კ. ბეგიზოვი, დოც. მ. ნოდია და სხვები. გარდა სამკურნალო ტალახისა და ტბის შემოწმებისა ადგილზე, ექსპედიციის მიერ აღებულ იქნა სინჯები ანალიზებისათვის. ანალიზები გაკეთებულ იქნა უკრაინის (ოდესაში) კურორტოლოგიის ინსტიტუტის ფიზიკურ-ქიმიურ ლაბორატორიაში პროფ. ბურქსერის ხელმძღვანელობით.

თანახმად ხსენებულ ექსპედიციის დასკვნისა და ფიზიკურ-ქიმიურ ანალიზების მონაცემებისა, მიზანშეწონილად იქნა ცნობილი ამ სამკურნალო ტალახის ფართე გამოყენება სამკურნალო მიზნით, როგორც თბილისში, ისე თბილისგარეშე ტალახით სამკურნალოებში. ამავე დროს ექსპედიციამ აღნიშნა ის საშიში მდგომარეობა, რომელშიაც იმ დროს იმყოფებოდა კუმისის ტბა იმის გამო, რომ მასში შეშავალი წყაროები კოლქეურნეების მიერ გამოყენებული იქნა ნათესებისა და ბოსტნების მოსარწყავად და ტბა ამოშრობის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ჩვენს მიერ (თბილისის საკურორტო საძმართველო) მიღებულ ზომების შედეგად წყლის ნაწილი ისევ დაუბრუნდა ტბას, რის შემდეგ ფრიად მნიშვნელოვანი სამკურნალო ღირსების ტბის წყლის რეჟიმი ცოტად თუ ბევრად ისევ აღდგენილი იქნა.

კუმისის ტბის ტალახის მემბანიკური ანალიზი

ანალიზი გაკეთებულია ოდესის კურორტოლოგიის ინსტიტუტის ფიზიკურ-ქიმიური ლაბორატორიის მიერ (გამგე პროფ. ბურქსერი).

| № № რიგზე | ტალახის ნაწილაკების ოდენობა (მილიმეტრებში) | რაოდენობა %/‰—ში |
|-----------|--|------------------|
| 1 | 0,25 | 0,418 |
| 2 | 0,25—0,05 | 2,622 |
| 3 | 0,05—0,01 | 12,200 |
| 4 | 0,01—0,005 | 19,160 |
| 5 | 0,005—0,001 | 2,850 |
| 6 | 0,0001 | 11,550 |
| 7 | წყალი და წყალში გახსნილი მარილები | 51,200 |
| ჯ ა მ ი | | 100 |

ამჟამად კუმისის ტბაზე არსებობს სადარაჯო და საწყობისათვის ქვითკირის შენობა.

აღნიშნული ტალახის ექსპლოატაცია 1940 წლიდან ისევ შეწყვეტილია.

თბილისის საკურორტო სამმართველოს განზრახული აქვს აღადგინოს კუმისის ტბის ტალახის ექსპლოატაცია, რადგან მოთხოვნილება ამ საუკეთესო ღირსების მქონე სამკურნალო ტალახზე დიდია როგორც საქართველოს ფარგლებში, ისე ჩვენი მოძმე-მეზობელი რესპუბლიკების მხრივაც (სომხეთი, აზერბაიჯანი).

ჰ ა ვ ა

კუმისის ტბის ადგილმდებარეობის მოკლე კლიმატური დახასიათებისათვის მოგვყავს ჰიდრომეტეოროლოგ გ. ჭირაქაძის მიერ დამუშავებული მონაცემები.

საშუალო თვიური ტემპერატურა გრადუსებში

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
|---|-----|-----|------|------|------|------|------|------|------|-----|-----|
| — | 1,7 | 6,6 | 11,8 | 17,4 | 21,9 | 24,6 | 24,5 | 19,4 | 19,5 | 7,6 | 2,8 |

ატმოსფერულ ნალექების საშუალო რაოდენობა თვეების მიხედვით მილიმეტრებში

| | თ | | ვ | | ე | | ბ | | ი | | | |
|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----------|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | წელიწადში |
| 15 | 20 | 30 | 60 | 60 | 30 | 45 | 25 | 25 | 35 | 35 | 15 | 385 |

საშუალო შეფარდებითი ტენიანობა თვეების მიხედვით %%-ში

| | თ | | ვ | | ე | | ბ | | ი | | | |
|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----------|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | წელიწადში |
| 77 | 77 | 67 | 63 | 63 | 58 | 56 | 55 | 61 | 69 | 75 | 80 | 67 |

მოყვანილ მონაცემებიდან აშკარად ჩანს, რომ კუმისი საერთოდ მშრალ და თბილ რაიონს წარმოადგენს, სადაც ზაფხულობით მნიშვნელოვნად ცხელა და აღინიშნება ატმოსფერული ნალექების უმცირესი რაოდენობა.

კუმისის საგაერო-საქონლო ტალახის გამოყენება თერაკიულ მიზნებისათვის და უმჯობესი მისი ათვისების პერსპექტივა

კუმისის ტბის ტალახი ახლო მდებარე სოფლების მოსახლეთა მიერ გამოყენებული იყო სამკურნალო მიზნით ძველი დროიდან. 1927 წლიდან 1932 წლამდე, როგორც ზემოთ იყო ნახსენები, ეს ტალახი გამოყენებული იყო თბილისის გოგირდ-წყალბად ტალახით სამკურნალოში, სადაც ჩატარებულ იქნა სამეცნიერო დაკვირვებანი (პროფ. დ. ჯავახიშვილი, დ. ჭიჭინაძე და სხვ.) ტალახის პროცედურების გავლენაზე მთელ რიგ დაავადებათა დროს. დაკვირვებების შედეგად ექიმებმა მიიღეს ფრიალ დადებითი შედეგები სახსრების, პერიფერიული ნერვული სისტემის, გინეკოლოგიური და ბევრი სხვა დაავადების მკურნალობის დროს.

კუმისის ტბის ტალახი, როგორც ზევით გვქონდა აღნიშნული, გამოყენებული იყო 1936 წლიდან ავადმყოფთა მკურნალობის მიზნით პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს ბორჯომ-ლიჯანის სანა-

ტორიუმში, რის შედეგად სპეციალისტები მივიდნენ შემდეგ დასკვნამდე:

„კუმისის ლამის ტალახი თავის ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობით წარმოადგენს ცნობილ ტამბუკანის ტალახის ახლო ანალოგს. კუმისის ტალახით პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს ბორჯომლიკანის სანატორიუმის ავადმყოფთა მკურნალობის პრაქტიკამ დაგვანახა ამ ტალახის სამკურნალო მიზნით გამოყენების სრული მიზანშეწონილობა.

კუმისის ტალახის თვისება—კოლოიდობა და პლასტიკურობა უზრუნველყოფენ ქსოვილების ღრმა გათბობას შემდგომი სამკურნალო ეფექტით.

46—50° ტემპერატურის აპლიკაციას ავადმყოფები უმეტეს შემთხვევაში კარგად იტანენ. მკვეთრად გამოხატული ტკივილთა სინდრომი კუმისის ტალახის გავლენით ხშირად ქრება.

ყოველ შემთხვევაში, კუმისის ტალახის წინასწარი პრაქტიკული გაცნობა სანატორიუმის მასალებზე მოწმობს, რომ ის წარმოადგენს საუცხოვო და ფრიად ღირსეულ ბალნეო-თერაპიულ ფაქტორს“.

პროფ. დ. ჯავახიშვილის აზრით, თავის ფიზიკურ-ქიმიური მონაცემების მიხედვით, კუმისის ტალახი წარმოადგენს ძირითადად ცნობილ ტამბუკანის* ტბის ტალახის ანალოგს, ხოლო ზოგიერთი მაჩვენებლის მიხედვით იგი რამდენიმედ მაღლა დგას, ვიდრე ახტალისა და ტამბუკანის ტალახი.

მოკლედ, აღნიშნულ მონაცემებიდანაც კი ნათელია, რომ კუმისის ტბის ტალახის გამოყენება თამამად შეიძლება ყველა იმ დაავადებათა დროს, როდესაც საერთოდ ნაჩვენებია ტალახით მკურნალობა; ამასთანავე მისი გამოყენება შეიძლება არანაკლები წარმატებით, ვიდრე ახტალისა და ტამბუკანის ტალახისა. კიდევ მეტი, კუმისის ტალახს აქვს ზოგიერთი საკმაოდ ძვირფასი უპირატესობანი ცნობილ ახტალის ტალახთან შედარებით; ამ უპირატესობას ქმნის ტალახის სქელი კონსისტენცია და ელასტიკურობა, რაც ფრიად მნიშვნელოვანია თანამედროვე პირობებში, როდესაც თანდათან ფართოვდება მკურნალობის მეთოდი ტალახის აპლიკაციებისა და სხვა საშუალებით, განსაკუთრებით ტალახით კურორტგარეშე მკურნალობის პირობებში.

*1) ტბა ტამბუკანი მდებარეობს კურორტ ესენტუკიდან 7 კილომეტრის მანძილზე.

კიდევ ერთი გარემოება, რომელიც კუმისის ტალახს უპირატესობას აძლევს ახტალის ტალახთან შედარებით, იმაში მდგომარეობს, რომ დიდი ხანია, რაც დამტკიცებულია ლამის ტალახის რეგენერაციის (აღდგენის) შესაძლებლობა (ტამბუკანი, ოდესის ლიმანები და სხვ.), ამ ტალახთა ჯგუფს ეკუთვნის კუმისის ტალახიც. ამის შედეგად ერთხელ აღგილზე მიტანილი და გამოყენებული სამკურნალო ტალახი შეიძლება განმეორებით იქნეს გამოყენებული ყოველ 4—10 თვის შემდეგ, ვინაიდან, თუ ტალახი შენახული იქნება სარეგენერაციო სპეციალურ აუზებში, აღნიშნულ დროს განმავლობაში ხდება მისი პირველადი ბუნებრივი სამკურნალო თვისებებისა და სანიტარულ-ჰიგიენურ თვალსაზრისით ტალახის სისუფთავის აღდგენა.

არის კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც გვიკარნახებს: 1) განსაკუთრებით ფრთხილად მოვეპყრათ კუმისის ტბას და მის წყლის ქვეშ შევინარჩუნოთ იქ არსებული ფრიად დიდი ღირსების სამკურნალო ტალახის მარაგი და 2) მოწყობილ იქნეს ეკონომიური და რაციონალური გამოყენება ტალახისა. საქმე იმაშია, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერჯერობით, საქართველოში სამკურნალო ტალახის მხოლოდ ორი წყარო მოიპოვება. ეს არის ახტალას სოპკების და კუმისის ნალექი ტალახი.

ახტალას ტალახის დებიტი გამოკვლეული იყო სხვადასხვა სპეციალისტების მიერ სხვადასხვა დროს. ეს დებიტი მკვლევართა ერთი ჯგუფის აზრით უდრიდა 70 კუბ. მეტრს, სხვა მკვლევართა აზრით 50 კუბ. მეტრს, ხოლო მესამე ჯგუფის აზრით დებიტი შეადგენდა 30 კუბ. მეტრს დღე-ღამეში. უკანასკნელ წლებში საკმაოდ სისტემატური დაკვირვების მიხედვით, ტალახის დებიტი დღე-ღამეში უკეთეს შემთხვევაში 10 კუბ მეტრს არ აღემატება. ჯერჯერობით არ არის გამორკვეული, თუ რას მიეწერება დებიტის ასეთი მერყეობა—ცალკეულ მკვლევართა შეცდომას, თუ დებიტის შემცირებას სინამდვილეში. ამ საკითხის გამოსარკვევად მიმდინარე (1948 წ.) წელს კურორტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ატარებს სპეციალურ ჰიდროგეოლოგიური ხასიათის საექსპედიციო მუშაობას კურორტ ახტალის რაიონში.

ყოველ შემთხვევაში, ერთი ნათელია—დღესდღეობით ახტალის ტალახის დებიტი საშუალოდ 10 კუბ. მეტრს არ აღემატება დღე-ღამეში. ეს მცირე დებიტი ოდნავად თუ დააკმაყოფილებს კურორტის შინა მოთხოვნილებას, მით უმეტეს, რომ კურორტი შემ-

დევში იმოქმედებს მთელი წლის განმავლობაში. ამრიგად, შვედეთში კურორტი ვერ გასცემს ტალახს კურორტგარეშე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ათეული წლის წინათ კურორტი ამარაგებდა სამკურნალო ტალახით თბილისის ტალახით სამკურნალოებს (თბილისის გოგირდ-წყალბად-ტალახით სამკურნალო, კურორტოლოგიის ინსტიტუტის და რკინიგზის საავადმყოფოს ტალახით სამკურნალო განყოფილებები და სხვ.), ასეთივეს ბათომში, ბორჯომში, ლენინაკანში და სხვ. უკანასკნელ დროს ახტალა მხოლოდ რამოდენიმე ტალახით სამკურნალოს აძლევს სამკურნალო ტალახს. ამავე დროს ტალახით მკურნალობაზე, როგორც ფრიად ეფექტურ სამკურნალო საშუალებაზე, მოთხოვნილება თანდათან იზრდება.

ამრიგად, ტალახით სამკურნალოების დიდი ქსელი, როგორც ქალაქ თბილისში, სადაც ახლო მომავალში კიდევ გაიხსნება ტალახით სამკურნალოები, ისე საქართველოს სხვა ქალაქებში და რაიონებში, შეიძლება აგრეთვე მეზობელ რესპუბლიკებშიაც არ იქნება უზრუნველყოფილი ახტალის სამკურნალო ტალახით; ამ შემთხვევაში მათი მომარაგება სამკურნალო ტალახით უნდა გადავიდეს მთლიანად კუმისის ტბაზე.

რა უნდა გაკეთდეს, რომ კუმისის ტბამ თავისი სამკურნალო საშუალებით—სამკურნალო ტალახით, შესძლოს მოთხოვნილების უზრუნველყოფა.

პირველ რიგში საჭიროა ამ ძვირფასი სამკურნალო „შავი ოქროს“ წყალქვეშ შენარჩუნების მიზნით რადიკალურ ღონისძიებების ჩატარება. ტბის წყლის ფართობის შემცირების მიზნით ტბის სამთო-სანიტარულ დაცვის ზონის ფარგლებში მწვანე ნარგავების და მცენარეების განადგურება წარსულში, შემდეგ ტბაში შემავალ მცირეოდენ წყაროთა გადაყვანა კოლმეურნეთა მიერ მათი ბოსტნების და ყანების მოსარწყავად. საჭიროა აღნიშნულ ზონის ზუსტად დაცვა, როგორც ეს გათვალისწინებულია საბჭოთა კანონში, ნარგავებისა და მცენარეთა სასტიკი დაცვა საქონლისაგან და ამასთან ერთად მთელი მიდამოს გამწვანება სამთო-სანიტარულ დაცვის ზონის ფარგლებში. ამავე დროს საჭიროა სასტიკი კონტროლის დაწესება, რომ ტბაში შენაკადი წყაროების წყალი არ იქნეს გამოყენებული სხვა მიზნებისათვის, რათა რაც შეიძლება მეტი რაოდენობით ემატებოდეს წყალი ტბას. საქურორტო სამმართველოს გათვალისწინებული აქვს ტბის რეჟიმის და რაიონის ჰიდროგეოლოგიური შესწავლა და აგრეთვე ტბის დასაცავად

შთელ რიგ ღონისძიებათა ჩატარება, რაც, რასაკვირველია, სათანადო შედეგს მოგვცემს. ტალახის მექანიზირებული ამოღების განახლება უფრო სრულყოფილი მექანიზაციის საშუალებით უზრუნველყოფს ტალახით სამკურნალო დაწესებულებების დროულ და შეუფერხებელ მომარაგებას.

სამკურნალო ტალახის რაციონალური და ეკონომიური ხარჯვა მოითხოვს ტალახით სამკურნალო დაწესებულებებში ტალახის სარეგენერაციო აუზების მოწყობას.

არ იქნება ზედმეტი დაისვას საკითხი თვით ტბაზე ტალახით სამკურნალოს ორგანიზაციის შესახებ.

აღნიშნულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება მოგვცემს ტალახის ფართე გამოყენების საშუალებას.

კუხის ტალახით მკურნალობის ჩვენებანი

1. სახსრების ქრონიკული ანთება (ართრიტები), რევმატიზული, ინფექციური, ტრავმული, ენდოკრინული და სხვ. წარმოშობისა;
2. პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებანი, უმთავრესად ნევრიტების და ნევრალგიების სახით (იშიასი, ლუმბაგო და სხვ.);
3. ქრონიკული გინეკოლოგიური დაავადებანი (საშვილოსნოს, საკვერცხეების და საშვილოსნოს ახლო მდებარე ქსოვილების ანთება, ოპერაციის შემდეგი შენახორცები და სხვ.; მენსტრუაციის მოშლა ოვარიალური და ენდოკრინული წარმოშობისა და სხვ.);
4. კანის ქრონიკული დაავადებანი (ფსორიაზი, ეკზემა, ქავანა, დერმატოზები, ფურუნკულოზი და სხვ.);
5. ღვიძლის და ნაღველის ბუშტის ქრონიკული ანთება, პერიგასტრიტები, პერიდუოდენიტები და სხვ.;
6. წვივის ქრონიკული წყლული, ქრონიკული ფლებიტები, თრომბოფლებიტები და სხვ.

წინააღმდეგჩვენებანი

1. ფილტვებისა და სხვა ორგანოთა ტუბერკულოზი;
2. გულისა და სისხლის ძარღვთა სისტემის დაავადებანი სუბკომპენსაციისა და დეკომპენსაციის სტადიაში;
3. ცენტრალურ ნერვულ სისტემის ორგანული დაავადებანი;
4. ორსულობის ყველა პერიოდი;
5. ავთვისებიანი სიმსივნეები;
6. მწვავე ანთებითი პროცესები და სიცხიანი დაავადებანი.

მთაწმინდა (მამა - დავითის მთა)

მთაწმინდა თბილისის საგარეუბნო კურორტებიდან და სააგარაკო ადგილებიდან უახლოესი მთის კლიმატური სადგურია. მას ხშირად არასწორად უწოდებენ ფუნიკულერს—საბაგირო გზის სახელწოდებას, რომელიც აკავშირებს თბილისს მთაწმინდასთან. ფუნიკულორის ქვედა სადგური მდებარეობს ზღვის დონიდან 460 მეტრის სიმაღლეზე, ზედა სადგურის სიმაღლე კი აღწევს 760 მეტრს. თვით ამ საბაგირო გზის (ფუნიკულორის) სიგრძე უდრის 510 მეტრს. მთაწმინდა უშუალოდ ეკვრება თბილისს—მის დასავლეთ ნაწილს და არსებითად, შეადგენს ქალაქის განუყრელ ნაწილს. წარსულში მთაწმინდა ატარებდა აგრეთვე „განდეგლის“ მთის სახელწოდებას.


გარდა საბაგირო გზისა და მშვენიერ გუდრონირებულ საავტომობილო შარაგზისა, თბილისიდან მთაწმინდაზე აღის თვალწარმტაცი სილამაზის საცალფეხო გზა.

ამ გზით, სანამ მთაწმინდის პლატოზე ავიდოდეთ, ქალაქისაკენ მიმართულ მთის ფერდობზე მოთავსებულია საქართველოს ძველი მატერიალური კულტურის ძვირფასი ძეგლი — მამა-დავითის ეკლესია, გასულ საუკუნის მეორე ნახევრის და მიმდინარე საუკუნის საქართველოს დიდ მოღვაწეთა და მწერალთა პანთეონით. აქ ყურადღებას იპყრობს უკვდავი მწერლების აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ბარათაშვილის, ვაჟა ფშაველას, დიდი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძისა და დიდებული რუსი მწერლის ალექსანდრე გრიბოედოვის და სხვათა საფლავები. აქ არის დასაფლავებული ცხედარი დიდი სტალინის დედის—ე. ჯულაშვილისა.

პანთეონიდან რამოდენიმე ათეულ მეტრის მანძილზე ყურადღებას იპყრობს აბრა—„მწერალთა მუზეუმი“. ჩვენი კულტურის ამ ძვირფას საგანძურში შეკრებილია და გამოფენილი ზემოხსენებულ და ბევრ სხვა მწერალთა დაუფასებელი ხელთნაწერები და სხვა ნივთები.

თვით მთაწმინდის მწვერვალზე მდებარეობს საკმარისად

მოზრდილი პლატო, რომელიც დაშორებულია მის ქვევით მოქცეულ დიდი ქალაქის ხმაურობას და შესანიშნავია თავისი სუფთა, გრილი ჰაერით, განსაკუთრებით ზაფხულის ცხელ პერიოდში, როდესაც მისკენ ყოველდღე მიიღწვიან თბილისელები მრავალი ათასობით.




სურ. 16. მთაწმინდა — მამა-დავითის ეკლესია.

ამ პლატოდან თვალწინ იშლება დიდებული, თეთრად შემოსილი მყინვარი და კავკასიონის მთავარი ქედის მუდამ თოვლით დაფარული სხვა მწვერვალები. თუშ-ფშავ-ხევსურეთის და კახეთის კავკასიონი, სამგორის დაბლობი, ბოტანიკური ბაღი და ბოლოს თვით თბილისი, მთელი მისი სილამაზით. სალამოს ჟამს მაყურებლის ქვევით — ტაფობში იშლება საუცხოვოდ ელექტრიფიცირებული ქალაქი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მთაწმინდის პლატო, რომელიც ხელმისაწვდომი იყო თბილისის მოსახლეობისათვის, როგორც სალამო ჟამის დასასვენებელი ადგილი,

წარმოადგენდა მცირე ფართობიან მოედანს, რომელიც თან
ეკვროდა ფუნიკულერის ზემო სადგურს. აქედან ცოტა მოშორე-
ბით კი მთელი ეს პლატო წარმოადგენდა ბნელს და სრულებით
მოუწყობელ ადგილს, სადაც საღამოობით დამსვენებელთა გავ-
ლაც კი სახიფათო იყო.

ამჟამად, პირადად ამხ. ლ. ბერიას ინიციატივით, მთაწმინდის
პლატო სრულიად გადასხვაფერდა; აქ უკვე ამოყვანილია საუცხოო
გუდრონირებული საავტომობილო გზა, ნატახტარის წყალი, გამწ-



სურ. 17. მთაწმინდა—სტალინის სახელობის კულტურისა და
დასვენების პარკი.

ვანებულია პლატოს მანამდე გატიტვლებული, ვებერთელა მოედანი
და მთის ყველა ფერდობი, კომკავშირის ხეივანისა და სოლოლა-
კის მთის ფერდობების ჩართვით.

თვით პლატოზე ფუნიკულერის ზემო სადგურზე აშენებულია
გრანდიოზული სამსართულიანი პავილიონი, მდიდრული თვალსა-
ჩინო ფოიებით, უზარმაზარი ღია ვერანდებით, სხვადასხვა კულ-
ტურულ - საგანმანათლებლო განყოფილებებით, საუცხოოდ გა-
ფორმებულ სასადილოთი და სხვ.



სურ. 18. მთაწმინდა — ხედი თბილისზე ფუნიკულის ქ. ზედა
სადგურიდან.

მთაწმინდისა და თბილისის უკვანის თვითური საშუალო ტემპერატურა




| თ ვ ე ე ბ ი | | | | | | | | | | | | |
|-------------|-----|-----|------|------|------|------|------|------|------|-----|-----|-------------------------------------|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | |
| 0,1 | 1,2 | 5, | 9,5 | 15,1 | 19,1 | 22,1 | 22,2 | 17,6 | 12,5 | 6,4 | 1,8 | მთაწმინდა თბილისი განსხვავება |
| 1,2 | 2,7 | 6,9 | 11,7 | 17,2 | 21,4 | 24,4 | 24,1 | 19,5 | 13,7 | 7,3 | 2,9 | |
| 1,1 | 1,5 | 1,9 | 2,2 | 2,1 | 2,3 | 2,3 | 1,9 | 1,9 | 1,2 | 0,9 | 1,1 | |

დღის სხვადასხვა დროის ტემპერატურათა განსხვავება მთაწმინდასა და თბილისს შორის

| თ ვ ე ე ბ ი | | | | | | | | | | | | |
|-------------|------|------|------|------|------|------|------|------|------|------|-----|--|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | |
| -2,0 | -3,3 | 2,0 | 7,0 | 13,1 | 16,4 | 19,1 | 20,0 | 16,0 | 9,7 | 5,4 | 0,5 | 7 ს. მთაწმინდა 7 ს. თბილისი 13 ს. მთაწმინდა 13 ს. თბილისი 21 ს. მთაწმინდა 21 ს. თბილისი |
| -1,6 | -1,8 | 3,0 | 8,6 | 15,0 | 18,5 | 21,1 | 21,1 | 17,0 | 10,2 | 5,6 | 0,7 | |
| 0,4 | 0,5 | 7,0 | 12,8 | 19,0 | 22,3 | 25,6 | 26,7 | 21,4 | 13,8 | 16,5 | 2,6 | |
| 2,6 | 3,5 | 10,2 | 16,0 | 22,0 | 26,6 | 27,4 | 29,7 | 24,7 | 14,5 | 18,5 | 5,3 | |
| -1,3 | -1,4 | 4,5 | 11,0 | 16,0 | 18,2 | 18,5 | 22,5 | 17,8 | 12,1 | 7,2 | 1,3 | |
| -0,5 | -0,5 | 6,2 | 11,7 | 17,0 | 20,2 | 28,5 | 24,2 | 19,3 | 14,1 | 7,5 | 2,3 | |

პლატოს მთელი ტერიტორია იდეალურად არის დაგეგმილი და გაფორმებული. გაყვანილია ხეივნები, გზა-ბილიკები ყვავილნარებით, აგებულია კაფეები, კიოსკები; მოწყობილია შადრევანები. პლატოს ცენტრში დადგმულია გრანდიოზული მონუმენტი ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისა.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ დიდ ღონისძიებებს, რომლებიც ჩატარებულია მთაწმინდის—სტალინის სახელობის კულტურისა და



სურ. 19. მთაწმინდა—ხეივანი პარკში (პლატოზე)


დასვენების პარკის კეთილმოსაწყობად, საფუძვლად დაედო პლატოს კლიმატური პირობები, რომლებიც განსაკუთრებით კეთილნაყოფიერად მოქმედებენ ორგანიზმზე დამსვენებლის აქ სულ ხანმოკლე ყოფნის შედეგადაც კი.

მთაწმინდის კლიმატის შეფასების მიზნით მოგვეყავს მისი შემადგენელი ელემენტების დამახასიათებელი მონაცემები ჰიდრომეტეოროლოგ გ. ჭირაქაძისა და დოც. შ. ფარჯანაძის მეტეოროლოგიური მასალებიდან.

როგორც მოყვანილ მონაცემებიდან ჩანს, მთაწმინდის ტემ-

პერატურა ცხელი თვეების პერიოდში საშუალოდ $2,1^{\circ}$ ნაკლებია, ვიდრე თბილისის ტემპერატურა.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ზამთრის თვეებში, როდესაც ადგილი აქვს შედარებით დიდ ყინვებს, თბილისში უფროცივა, ვიდრე მთაწმინდაზე. ეს მოვლენა აიხსნება იმ მდგომარეობით, რომ თბილისი მდებარეობს ქვაბულში და ღია ჰორიზონტის უქონლობის გამო აქ გროვდება ცივი ჰაერი, რომელიც უფრო მეტ დროს ჩერდება, ვიდრე მთაწმინდის ღია პლატოზე.




სურ. 27. თბილისი—მთაწმინდა—ფუნიკულერი (ზედა სადგური)

ქარების სისწრაფე მთაწმინდაზე ოდნავ მეტია, ვიდრე თბილისში (სხვაობა აღწევს დაახლოვებით $0,5$ მ/წ.); ამავე დროს ქარების ცოტაოდენ გაძლიერებას აქვს ადგილი მთაწმინდაზე საღამოს საათებში (განსხვავება თბილისთან შედარებით აღწევს 1 მეტრამდე წუთში). ეს მოვლენა არ შეიძლება ჩაითვალოს უარყოფი-

თად განსაკუთრებით ზაფხულის ცხელი თვეების მანძილზე, ვინაი-
დან იგი ქმნის ორგანიზმისათვის სასიამოვნო სიგრილეს. აქ გა-
ბატონებული ჩრდილო-დასავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის
ქარები ხელს უწყობენ ზაფხულის თვეებში ჰაერის სიგრილეს.

მთაწმინდა ხასიათდება ჰაერის შედარებით მეტი ტენიანო-
ბით ვიდრე თბილისი, რასაც უნდა მიეწეროს ამ რაიონის ჰავის
კონტინენტალობის შემარბილებელი გავლენა.



სურ. 21. მთაწმინდა--ფუნქულერის ზედა სადგურის პავილიონი.

თუ მთაწმინდის ტემპერატურის განსხვავებასთან ერთად მხედ-
ველობაში მივიღებთ აქ მუდამ არსებულ ნიავს და მისი მთის
ჰაერის სისუფთავეს (მეტეოროლოგ გ. ჭირაქაძის მონაცემებით
ჩულურეთში ჰაერის ერთი კუბიკური სანტიმეტრი შეიცავს 11000
მტვერის ნაწილს, მთაწმინდაზე კი — 2000), სრულიად ნათელი ხდება
თბილისის მოსახლეობის მისწრაფება სტალინის სახელობის
კულტურისა და დასვენების პარკისაკენ, განსაკუთრებით ცხელი
თვეების დღეებში.

სწორედ ამ მდგომარეობით აიხსნება პარტიის და საბჭოთა შთავრობის განსაკუთრებული მზრუნველობა მთაწმინდისა და თბილისის სხვა მიდამოების გამწვანებისა და კეთილმოწყობის დარგში, რის შედეგადაც მთაწმინდას პლატოზე იქმნება მწვანე ნარგავთა მნიშვნელოვანი მასივები და ახლო მომავალში მის ფართო ტერიტორიაზე შესაძლებელი გახდება გაიშალოს მთელი რიგი პროფილაქტიკური დაწესებულებები, როგორც მაგალითად ერთ ან მრავალდღიანი დასასვენებელი სახლები, პანსიონატები, სასტუმროები, აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო, სანიტარულ-ჰიგიენური და სხვა დამხმარე ხასიათის ობიექტები, რომლებიც აუცილებლად საჭირო არიან დამსვენებელთა ყოველმხრივი სათანადო მომსახურებისათვის.

ბ ე თ ა ნ ი ა

ბეთანია მდებარეობს თბილისიდან დასავლეთის მიმართულე-
ბით 30 კილომეტრის მანძილზე ტყეებით მდიდარ მიდამოში, რო-
მელიც იმყოფება ზღვის დონედან 900—950 მეტრის სიმაღლეზე.
თბილისიდან ბეთანიაში მიდის გუდრონირებული გზატკეცილი,
რომელიც გაივლის კურორტ კოჯორზე; სამადლოსთან იგი სცილ-
დება მანგლისში მიმავალ მაგისტრალურ გზას და უხვევს დასავ-
ლეთის მიმართულებით აგარაკ ბეთანიასაკენ. მეორე გზა—თბი-
ლისიდან კურორტ წყნეთის გავლით მნიშვნელოვნად ამცირებს
მანძილს ბეთანიაში.

თვით სააგარაკო ადგილი მდებარეობს მდინარე ვერის დაბ-
ლობის საკმარისად გაშლილ ნაწილში. ეს ადგილი ჩრდილოეთი-
დან დახურულია თრიალეთის ქედით, რომლის სიმაღლე აქ აღწევს
1400—1600 მეტრს; სამხრეთიდან მდებარეობს შედარებით დაბა-
ლი მთის ქედი და დასავლეთიდან კი მას გადმოჰყურებს საწყისის
ქედი, რომლის სიმაღლე აქ 2000 მეტრს აღწევს.

ბეთანიას რაიონში თრიალეთის ქედის სამხრეთის ფერდობე-
ბი დასერილია მრავალი ხეობით, რომლებიც მიმართული არიან
ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ადგილის
გაშლილობა აღმოსავლეთიდან და თრიალეთის სამხრეთ ფერდო-
ბებზე არსებული მთის დაბლობების სისტემა, რომლებიც მიმარ-
თული არიან ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთი-
საკენ, განსაზღვრავენ რაიონის ვენტილაციის დადებით პირობებს
და ხელშემწყობ გავლენას ახდენენ ბეთანიის კლიმატურ კომპლექსზე.
რაიონის დახურულობა ჩრდილოეთიდან თრიალეთის ქედით, არ-
ბილებს მის თერმულ რეჟიმზე ცივი ჰაერის მასების მოქმედებას.
ასეთივე შემარბილებელ (გამაგრილებელ) მოქმედებას ახდენს ბეთა-
ნიას ჰაერის თერმულ რეჟიმზე აქ არსებული ტყეების მდიდარი
მცენარეულობა.

ინტერესს მოკლებული არ იქნება აღინიშნოს ამ საკურორტო
რაიონში საშუალო საუკუნეების ქართული ხელოვნების მეტად

თვალსაჩინო ძეგლის არსებობა ბეთანიის ეკლესიის სახით, რომელიც საინტერესოა თავისი არქიტექტურული ფორმით და შესანიშნავი ფრესკული ფერწერით. ეს ეკლესია მიეკუთვნება მეთორმეტე საუკუნეს.

ბეთანიაში ათეული წლის უკან აშენებული იქნა მშვენიერი სამსართულიანი კაპიტალური შენობა, რომელშიაც 1941 წლამდე ისვენებდნენ და ჯანს იკრეფდენ წარმოებების მოწინავე მშრომელები-დამკვერელები, შემდეგ კი დიდი სამამულო ომის პერიოდში აქ



სურ. 22. ბეთანია — საყდარი.

გაშლილი იყო საქ. პროფკავშირების ევაკო-ჰოსპიტალი, ხოლო 1944 წლიდან იგი გადაეცა განათლების სამინისტროს. ამ გრანდიოზულ შენობის გარდა აქ არის აგრეთვე რამდენიმე დამხმარე ნაგებობა. დამსვენებელთა მომსახურების მიზნით აქ მოწყობილი იყო მნიშვნელოვანი დამხმარე მეურნეობა — სარძეო ფერმა, საფუტკრე, სალორე, საბალ-ბოსტნო მეურნეობა და სხვა.

ბეთანია უზრუნველყოფილია წყალსადენით და ელგანათებით. ეს მიდამო მთლიანად წარმოადგენს განსაკუთრებული სილა-

მაზის ადგილს, მდიდარს ტყეების მასივებით, მეტად ხელსაყრელს, კლიმატური მაჩვენებლებით მთელი წლის განმავლობაში.

ამასთან ერთად, თუ მხედველობაში მივიღებთ მის სიახლოვეს თბილისთან და აქ საკურორტო-სააგარაკო მშენებლობის გაშლისათვის ტერიტორიულ შესაძლებლობას, ბეთანიას უთუოდ ეძლევა განვითარების საკმარისად მნიშვნელოვანი პერსპექტივა, რითაც იგი იმსახურებს სათანადო ყურადღებას რესპუბლიკის დედაქალაქის სხვა პირველხარისხიან საკურორტო-სააგარაკო ადგილთა შორის.

სამკურნალო - პროფილაქტიკური თვალსაზრისით ბეთანია თამამად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მეორად სისხლნაკლებობების, კვების დაქვეითების, ქრონიკული ბრონქიტის, პლევრიტის, მალარიის, ლიმფური ჯირკვლების ანთების და ნევროზების მსუბუქი ფორმების დროს.

მ ც ხ ე თ ა

მცხეთა—საქართველოს უძველესი სატახტო ქალაქია. იგი მდებარეობს თბილისიდან 20 კილომეტრის მანძილზე ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით იქ, სადაც მდინარე არაგვი „უერთდება“ მდინარე მტკვარს. ოდესღაც ძლევამოსილი დიდი პოლიტიკური და კულტურული ცენტრი მცხეთა, წარმოადგენდა იბერიის სამეფოს სატახტო ქალაქს. ხუთმეტმა საუკუნემ განვლო მის შემდეგ, რაც მცხეთამ დაუთმო თავისი ადგილი თბილისს.

მცხეთის მიდამოებში შენარჩუნებულია საქართველოს მატერიალური კულტურისა და ხელოვნების უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლები.

აქ შენარჩუნებულია უძველესი ქალაქ-სიმაგრის „არმაზის ციხის“ ნაშთები. აკადემიკოს ს. ჯანაშიას მიერ 1937—1945 წლებში წარმოებულ გათხრებით დამტკიცებულია ამ მიდამოში სამი სხვადასხვა დატირების კულტურული შრის არსებობა, რომელთაგან უძველესს აკუთვნებენ IV საუკუნეს ჩვენს ერამდე. ამავე დროს აღნიშნავენ, რომ ეს ციხე-ქალაქი „არმაზი“ ყოფილა სატახტო ქალაქი იბერიისა და უძველესი ქართლისა—საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილობის წარმოშობის პირველი დღეებიდანვე.

აქავე, სამთავროს ნეკროპოლში წარმოებულ გათხრებით (1938—1941 წ.) დადგენილია საფლავების არსებობა, რომლებიც დატირებული არიან მეხუთმეტე საუკუნით ჩვენს ერამდე.

თვით შუა მცხეთაში ამჟამად არსებობს ძველი ეკლესია (კათედრალური) — „სვეტიცხოველი“, აგებული XI საუკუნეში, რომელიც გარშემორტყმულია ციხე-სიმაგრის კედლით და კოშკებით. მცხეთის დასავლეთ განაპირა უბანში არის მეორე ეკლესია—სამთავროს ქალთა მონასტერი. მცხეთის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე მოსჩანს ნახევრად დანგრეული ციხე-სიმაგრე—ბებრის ციხე. მდ. არაგვის მეორე ნაპირზე


ზედაზენის მთის ფერდობზე, ოდესღაც აქ არსებულ ქალაქის გილზე მდებარეობს პატარა სოფელი წიწამური. მცხეთის პირდაპირ, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე, მთაზე აშართულია ჯვარის საყდარი, რომელიც აგებულია VI სუკუნეში. სვეტიცხოველის ეკლესიის მახლობლად, მდინარე არაგვის ნაპირზე დარჩენილია ნანგრევები ძველი ბაზილიკისა.

დღევანდელი მცხეთა წარმოადგენს საშუალო მოცულობის სოფელს, მოთავსებულს როგორც უკვე მოვიხსენიეთ, ქართლის ორ დაბლობთა შესაყარზე—არაგვისა და მტკვრის. სიმხრეთიდან იგი დახურულია თრიალეთის ქედის უშუალოდ მოახლოვებულ ტოტებით. ჩრდილოეთიდან მას უახლოვდებიან კავკასიონის მთის გვერდობები. მცხეთის ტერიტორია შევიწროვებულია ზემოხსნებულ მთების ქედებით. ჰაერის მასების გაცვლა-გამოცვლა ხდება მდ. მტკვარის ხეობის საშუალებით. ამასთან დაკავშირებით, აქ გაბატონებულია ჩრდილო-დასავლეთის და აღმოსავლეთის ქარები; ამ რაიონში მათი შეჭრა რამოდენიმედ შესუსტებულია აქ მოახლოვებულ საგურამოს ქედის არსებობით. ჩრდილო-დასავლეთიდან ჰორიზონტის გახსნილობა ხელს უწყობს ამავე მიმართულების ქარების მოქმედებას. სივიწროვე დაბლობისა, რომელიც უკავია მცხეთას, ხელს უწყობს აქ სინოტივის კონდენსაციას, რაც თავისთავად გავლენას ახდენს ატმოსფერულ ნალექების რაოდენობაზე, შედარებით იმ ადგილებთან, რომლებიც მდებარეობენ მცხეთიდან აღმოსავლეთ ან დასავლეთის მიმართულებით. მცხეთის თერმული პირობები ხასიათდება შედარებით გრილი ზაფხულით და ცივი ზამთრით, ვიდრე თბილისის. მთების ფერდობები, რომლებითაც გარშემორტყმულია მცხეთა, საკმარისად დაფარულია ფოთლოვანი ტყით.

თავისი კლიმატური თვისებებით და თბილისთან სიახლოვით, რომელსაც მცხეთა უკავშირდება მეტად მოხერხებული გუდრონირებული გზატკეცილით და აგრეთვე რკინიგზით (სულ 25—30 წუთის გზაა როგორც ერთი, ისე მეორე), მცხეთა წარმოადგენს საკმაოდ ხელსაყრელ კლიმატურ სადგურს და სააგარაკო ადგილს თბილისის მოსახლეობის კოლექტიურ და ინდივიდუალურ დასვენებისათვის. მცხეთა ღირსია შემდგომი განვითარებისა, პროფილაქტიკური პროფილით.

მდინარე არაგვის მარცხენა ნაპირზე, ჯვარის მონასტრიდან ერთი კილომეტრის მანძილზე ჩრდილოეთ მიმართულებით სოფ. წი-

წამური-ჯვარის მონასტრის გზაზე არსებულ „წამყრალა ხევში“ მდებარეობს მცხეთის გოგირდწყალბადიან წყლის მრავალი მცხეთის გამოსავალი, რომლებიც გაფანტული არიან ხსენებულ ხევში. ამ წყაროების დებიტი, ჯერ პრიმიტიულ მდგომარეობაში, აღემატება 5000 ლიტრს დღე-ღამეში.




სურ. 23. მცხეთა—წყლის სასპორტო სადგური მდ. მტკვარზე.

წყაროების გამოსავალები დაკავშირებულია ძირითად ქანებთან, რომლებიც აქ წარმოდგენილია ეოცენის ასაკის ნაპრალოვანი ქვიშა-ქვებით და თხელ-შრეებრივი ფიქლებით. მინერალური წყაროები აქ სრულებით არ არის კეთილმოწყობილი—მათ ადამიანის ხელი ჯერ-ჯერობით არ შეხებია.

საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის მიერ 1947 წლის დეკემბერში ჩატარებული მცხეთის მინერალური წყლის ქიმიური ანალიზი იძლევა შემდეგ სურათს:

მკვრივი ნაშთი გამომშრალი 110°—4,213 გრ. 1 ლიტრში

| ი ნ ნ გ ბ ი | გრამები | მგრ. მქვ. | მგრ. მქვ. %/°/° |
|--|---------|-----------|-----------------|
| ნატრიუმი და კალიუმი | 0,9379 | 40,78 | 58,84 |
| კალციუმი | 0,1500 | 7,50 | 10,82 |
| მაგნიუმი | 0,2557 | 21,03 | 30,34 |
| რკინა | კვალი | | |
| | | 69,31 | 100,00 |
| ქლორი | 0,5858 | 16,50 | 23,80 |
| სულფატი | 1,1670 | 24,31 | 35,08 |
| ჰიდროკარბონატი | 1,7385 | 28,50 | 41,12 |
| | | 69,31 | 100,00 |
| კაჟის ორჟანგი | 0,0780 | | |
| ალუმინის ჟანგი | 0,0040 | | |
| საერთო ტიტრირებული გოგირდი გათვლ. H ₂ S—ზე | 0,3050 | | |
| საერთო მინერალიზაცია | 5,2219 | | |



როგორც მოყვანილი ანალიზიდან ჩანს, მცხეთის მინერალური წყაროების წყალი ეკუთვნის გოგირდ-წყალბადიან-ჰიდროკარბონატულ-სულფატურ-ქლორიდულ-ნატრიუმიან-მაგნიუმიან წყლებს, რომელთა მინერალიზაცია დღევანდელ პირობებში უდრის 5,2 გრამს ერთ ლიტრში. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ გოგირდ-წყალბადის რაოდენობა პრიმიტიულ პირობებში აღნიშნულ წყაროების წყალში აქარბებს 305 მილიგრამს ერთ ლიტრში, რითაც ეს წყალი უფრო მალლა დგას საქართველოში დღემდე ცნობილ ყველა გოგირდ-წყალბადიან წყაროს წყლებზე (მენჯი, გორი-ჯვარი, ცაიში, პრიმორსკაია, ბია, თბილისი) და აგრეთვე ცნობილ მაკესტის გოგირდწყალბადიან მინერალურ წყლებზე.

მცხეთის მინერალური წყლები, უდაოდ, ღირსია განსაკუთრებული ყურადღებისა მათი ყოველმხრივი გადაუღებელი შესწავლის მხრივ, პირველ რიგში, სათანადო ჰიდროგეოლოგიური სამუშაოების ჩატარებით მინერალური წყლების საერთო რესურსის გამოვლინებისა, მათი დებიტის, მინერალიზაციის და ტემპერატურის გაზრდის მიზნით, რის შემდეგაც ამ ბაზაზე შესაძლებელი გახდება დიდი მნიშვნელობის ბალნეო-კლიმატური კურორტის მშენებლობა, რასაც ხელს შეუწყობს ამ რაიონის მეტად ხელსაყრელი ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობები.

*) ანალიტიკოსი—ქიმიკოსი ა. ვარშამოვი.

მარტყოფი

თბილისის საგარეუბნო სააგარაკო საკურორტო რეზერვებიდან ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სააგარაკო ადგილს მარტყოფს, რომელიც იმყოფება ქალაქიდან 24 კილომეტრის მანძილზე ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით და ზღვის დონედან 550—600 მეტრის სიმაღლეზე. მარტყოფი მდებარეობს მცხეთის რაიონში, ქართლის ქედის სამხრეთ გვერდობებზე და დახურულია ჩრდილოეთიდან აღნიშნულ ქედის შტოებით, რაც არბილებს მის კლიმატზე ჰაერის ცივი მასების მოქმედებას.

ზემოხსენებული ქართლის ქედის ტოტები, რომლებიც უშუალოდ ეკვრიან მარტყოფს, მთლიანად დაფარულია ფოთლოვანი ტყით, რის გავლენითაც მცირდება ჰაერის ტემპერატურის რყევადობა და ტემპერატურის თვით მაჩვენებლებიც, განსაკუთრებით ზაფხულის თვეების მანძილზე. ქართლის ქედი უზრუნველყოფს მარტყოფის მიდამოების კლიმატს ზომიერი ტენიანობით, რაც ხელშემწყობ გავლენას ახდენს როგორც ადამიანის ორგანიზმზე, ისე მცენარეულობაზე.

ძველ მატერიალურ კულტურის ძეგლებიდან აქ უნდა აღინიშნოს მარტყოფის ძველი ეკლესიის ნანგრევები, რომლის ადგილზე საქართველოს ეგზარხოსის ისიდორეს ინიციატივით ახალი ეკლესია აშენებულა.

მარტყოფის ძველი ეკლესია დაკავშირებულია ცამეტ სირიელ მამათაგან ერთ-ერთის—ანტონის სახელთან, რომელიც დასაფლავებულია შიგ ეკლესიაში, გადმოცემის თანახმად, ამ მონასტრის აშენების შემდეგ „წმიდა ანტონი“ დაშორებია თავის მოწაფეებს და გადასულა განმარტოებულ მოღვაწეობაზე ახლო მდებარე გამოქვაბულში, რის შემდეგაც იქვე მახლობლად ციცაბო კლდეზე აუშენებია კოშკი პატარა ეკლესიით. ეს კოშკი ამჟამად წარმოადგენს გარკვეულ ღირებულებას არქიტექტურული თვალსაზრისით.

მარტყოფს, თავისი ლამაზი ბუნებით, უხვი ტყით დაფარული მიდამოებით, ორგანიზმისათვის მეტად ხელსაყრელ კლიმატური კომპლექსით და ამასთან ერთად დიდ ქალაქთან სიახლოვით, უდაოდ, შეუძლია გაუწიოს დიდი დახმარება თბილისის მოსახლეობის დასვენების საქმეს, განსაკუთრებით ზაფხულის ცხელი თვეების განმავლობაში და ამგვარად, იგი უნდა ჩაითვალოს თბილისის ერთ-ერთ საგარეუბნო სააგარაკო ადგილად.

საგურამო

საგურამო მდებარეობს თბილისიდან ჩრდილოეთით 25—30 კილომეტრის მანძილზე მცხეთის რაიონში, ზღვის დონედან 500—600 მეტრის სიმაღლეზე. იგი მოთავსებულია მდინარე არაგვის დაბლობის განიერ ნაწილში, საგურამოს მთის წყალგამყოფ ქედის ფერდობებზე, რომელიც მთლიანად დაფარულია ტყეებით.

საგურამო აღმოსავლეთიდან დახურულია ქართლის ქედით, რომლის სიმაღლე აქ აღწევს 1600 მეტრს, რაც იცავს მას კლიმატური თვალსაზრისით არახელსაყრელ აღმოსავლეთის ჰაერის ნაკადებისაგან. ამავდროს აღნიშნული ქედი ხელს უწყობს საგურამოს კლიმატის ტენიანობის საკმარისად გაძლიერებას, რაც დადებით გავლენას ახდენს ამ ადგილის საერთო კლიმატურ კომპლექსზე.

ამჟამად საგურამოში არსებობს მწერალთა კავშირის დასასვენებელი სახლი.

საგურამოდან სამხრეთი მიმართულებით, ხუთი კილომეტრის მანძილზე, მდებარეობს წიწამური, სადაც ვერაგულად მოჰკლეს დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე და სადაც ამჟამად მგოსნის ხსოვნის უკვდავსაყოფად აღმართულია ობელისკი.

ეს ადგილები თავისი სუფთა ჰაერით, ორგანიზმისათვის შეტად ხელსაყრელი კლიმატური პირობებით, ბუნების სილამაზით და თბილისთან სიახლოვით, წარმოადგენენ მოხერხებულ და ძვირფას საზაფხულო სააგარაკო ადგილებს ქალაქის მოსახლეობის დასასვენებლად.

ლისის ტბა

იმ მრავალი ტბიდან, რომლებიც მდებარეობენ თბილისის საგარეუბნო მიდამოებში, საკურორტო-სამკურნალო თვალსაზრისით პირველი ადგილი უჭირავს კუმისის ტბას, რომელიც თავისი ტალახის მნიშვნელოვანი მარაგით წარმოადგენს საქართველოში სამკურნალო ტალახის მთავარ ბაზას. მეორე მხრივ კი წყლის სპორტის თვალსაზრისით, ამავე ტბებიდან, უდაოდ, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ლისის ტბა, რომელიც მდებარეობს თბილისიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით 5—6 კილომეტრის მანძილზე და ზღვის დონედან 630 მეტრის სიმაღლეზე. აქედან დასავლეთის მიმართულებით სულ $1\frac{1}{2}$ —2 კილომეტრის მანძილზე მდებარეობენ სოფლები ქვემო ლისი და ზემო ლისი.

თვით ტბა შემოსაზღვრულია მცირეოდენი მაღლობებით, ცოტაოდენი დაქანებით და ჰორიზონტის გახსნილობით აღმოსავლეთის მიმართულებით.

ტბას აქვს სიგრძე ერთ კილომეტრამდე და განი კი 600—650 მეტრამდე. სიღრმე ზოგან აღწევს სამ მეტრამდე. ტბის ნაპირები ზოგიერთი გამონაკლისით, ზომიერად დაქანებულია და ეს უქმნის მას საბანაოდ ხელსაყრელ პირობებს. ტბის წყლის გათბობა აქ უზრუნველყოფილია მზის ინტენსიური სხივადობით. ტბა კვებება ნიადაგქვეშა და ატმოსფერული ნალექების წყლებით, რომლებიც ხშირად სწევენ ტბის დონეს თითქმის წერტ მეტრამდე. მთების ფერდობები, რომლებიც გარს ეკვრიან ტბას, მცენარეების მხრივ შედარებით ღარიბად გამოიყურებიან.

თბილისის კურორტთა სამმართველომ მიიღო მხედველობაში ეს უკანასკნელი გარემოება და ამავე დროს ამ ტბის მნიშვნელობა წყლის სპორტის განვითარების საქმეში, აგრეთვე თბილისის მოსახლეობისათვის წყლის ბასეინთან დასვენების მიზანშეწონილობა და 1937 წელში ჩაატარა მნიშვნელოვანი სამუშაოები ტბის ტერიტორიის გამწვანების მიზნით; დარგულ იქნა 14000-მდე საკმაოდ მოზრდილი სხვადასხვა ჯიშის

ნარგავი და გამწვანებულ იქნა უშუალოდ ტბის მოსახლვრე
დამო 12 ჰექტარი ფართობით. მოწყობილ იქნა ტბიდან წყლის
ელექტროსაქაჩი მაღალნიშნულზე გაკეთებული წყლის ვებერთელა
შემკრები აუზით, საიდანაც ხდებოდა გამწვანებულ ტერიტორიის
სისტემატური მორწყვა. ამ ღონისძიებამ სათანადო ნაყოფი გამოი-
ღო, რის შედეგადაც იმ ფართობზე, სადაც მანამდე მხოლოდ ერთი
ძირი ხე მოიპოვებოდა, ამჟამად უკვე არსებობს საკმაოდ მოზრდი-
ლი ხეივანი-ჭალა.



სურ. 25. თბილისი—ლისის ტბის ნავთსადგური

უნდა აღინიშნოს ზაფხულის ცხელ პერიოდში ტბის წყლის
ზედაპირის და ადგილობრივი ქარების სისტემატური შემარბილე-
ბელი გამაგრილებელი! მოქმედება ლისის კონტინენტალურ კლი-
მატზე.

ლისის ტბა, როგორც ახლო მდებარე, თბილისის მოსახლეო-
ბის დასასვენებლად ყველაზე ხელსაყრელი წყლის სადგური, უდაოდ,
დიდი ყურადღების ღირსია მისი კეთილმოწყობის მხრივ. ლისის ტბის
კლიმატური მონაცემები მუდმივ მოქმედო გამაგრილებელი ნიაფით

და საკმაოდ ლამაზი მისასვლელი გზით ქმნიან ხელშემწყობ პირობებს და ამალლებენ მის მნიშვნელობას, როგორც წყლის სასპორტო და მომავლისათვის სააგარაკო ადგილისას.

ამჟამად ლისის ტბა თბილისის ქალაქის საბჭოს მიერ გამოყენებულია, როგორც წყლის სასპორტო სადგური და აგრეთვე დასასვენებელი ადგილი. აქ არის პატარა კატერები და ნავები, ტბის ნაპირი ნაწილობრივ კეთილმოწყობილია, არსებობს აგრეთვე სადგურის ზოგიერთი დამხმარე ნაგებობა. ამ ტბას სისტემატურად ესტუმრებიან გარეული ფრინველები, რის გამო იგი წარმოადგენს აგრეთვე მონადირეთა საყვარელ ადგილს.

თბილისის სანიტარულ-ჰიგიენური ინსტიტუტის მიერ (1935—39 წ.) ჩატარებულ ფიზიკურ-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ანალიზებიდან (ექ. შ. ხაჩიძე) ჩანს, რომ ლისის ტბის წყალს აქვს საკმაოდ დიდი საერთო მინერალიზაცია, რომლის შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გოგირდ-მჟავა კალციუმის და მაგნიუმის მარილებს. ამავე მონაცემების მიხედვით, ლისის ტბა ცნობილია სრულიად ვარგისად წყლის სასპორტო მიზნებისათვის გამოსაყენებლად.

ლისის ტბა, მისი სათანადო კეთილმოწყობით (გამწვანება, გზის კეთილმოწყობა) და პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელის—ერთდღიან და სხვა სახის დასასვენებელ სახლთა პანსიონატთა და სასტუმროს მშენებლობის შედეგად, უთუოდ შეიძლება გახდეს მოხერხებულ და სასარგებლო დასასვენებელ და წყლის სასპორტო ადგილად თბილისის მოსახლეობისათვის.

გომბორი

მთის კლიმატური სადგური გომბორი მდებარეობს საგარეჯოს რაიონში (გარე-კახეთში) ზღვის დონედან 1150 მეტრის სიმაღლეზე, თბილისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით; მისი გეოგრაფიული კოორდინატებია— $41^{\circ}-62'$ სიგანედისა და $45^{\circ} 15'$ სიგრძედისა. გომბორი დაშორებულია რაიონის ცენტრს საგარეჯოს 45 კილომეტრის მანძილით და თბილისს კი 64 კილომეტრით.

თბილისთან გომბორი დაკავშირებულია კარგი გზატკეცილით და აგრეთვე კახეთის რკინიგზით სადგურ სართიქალამდე. შემდეგ კი ავტომანქანით ან ლინეიკით. გომბორის ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში გადის პატარა მდინარე რუსიანის ხევი და ჩრდილოეთ ნაწილში კი მდინარე კილმახი.

ამ კლიმატურ სადგურის საკმარისად მოზრდილი მიდამო არაა მჭიდროთ დასახლებული და გარდა ამისა, აქ არის სააღმშენებლო ტერიტორიის საგრძნობლად გაფართოების საშუალება.

ამჟამად გომბორში მუდმივი მოსახლების რაოდენობა აღწევს 3000 სულს. საზაფხულოდ ჩამოსულ მოაგარაკეებს აქვთ საშუალება ყოველთვის თავისუფლად და იაფად იქირაონ ოთახები კოლმეურნეებისაგან. მოაგარაკეთა რაოდენობა დიდი სამამულო ომის წინა საზაფხულო სეზონის განმავლობაში აღწევდა 1500—2000 სულს.

საზაფხულო სააგარაკო სეზონი ჩვეულებრივ იწყება მაისის დამლევიდან და გრძელდება სექტემბრის შუა რიცხვამდე.

გომბორი მოთავსებულია ცივ-გომბორის ქედის დასავლეთ ფერდობზე, რომელიც წარმოადგენს კავკასიონის მთავარი ქედის ერთ-ერთ სამხრეთ შტოთაგანს. ფერდობი, რომელზედაც მდებარეობს სოფელი გომბორი, ძლიერ დასერილია ხეხებით. მთები, რომლებითაც გარსშემორტყმულია გომბორი, დაფარულია თავიანთ ქვედა და საშუალო მესამელებში ფოთლოვანი ტყით; ფერდობების მაღალი ნაწილები კი დაკავებულია უხვი ბალახოვანი მცენარეულობით დაფარული მინდვრებით.

თვით სოფლის ტერიტორია ღიაა დასავლეთისაკენ და დაქანებულია ამავე მიმართულებით. ფერდობი, რომელზედაც მოთავსებულია გომბორი, იმყოფება ცივ-გომბორის ქედის და ღიდი კავკასიონის სამხრეთ ფერდობიდან ჩამოსულ ცივ ატმოსფერულ ნაკადთა გავლენის ქვეშ.

სახელწოდებაში სიტყვა „ცივი“-ს დამატება სრულებით გამართლებულია ამ რაიონის თერმული მაჩვენებლებით.

ჰიდრო-მეტეოროლოგ გ. ჭირაქაძის მონაცემებით, გომბორის თერმული მაჩვენებლები გამოიყურებიან შემდეგი სახით.

| I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | წლის |
|----|----|-----|----|----|----|-----|------|----|---|----|-----|------|
| -3 | -2 | 2 | 7 | 12 | 16 | 19 | 19 | 14 | 9 | 4 | -1 | 8 |

ატმოსფერულ ნალექების წლიური ჯამი გომბორში 700 მმ. უდრის.

სეზონების მიხედვით ეს ნალექები შემდეგნაირად ნაწილდება:

| | |
|---------------------|---------|
| ზამთარი | 110 მმ. |
| გაზაფხული | 325 „ |
| ზაფხული | 115 „ |
| შემოდგომა | 150 „ |

ყველაზე წვიმიანი პერიოდია გაზაფხული, ზაფხული კი შედარებით მშრალია. ნალექიანი დღეების რაოდენობა აღწევს 115. თოვლი ჩერდება მტკიცედ სამი თვის განმავლობაში.

ზაფხულის პერიოდში ფარდობითი ტენიანობა მერყეობს 60—70% ფარგლებში.

რაიონის ვენტილირება საკმარისია აქ არსებულ აღმოსავლეთის და დასავლეთის ქარების საშუალებით. ქარის საშუალო სისწრაფე უდრის დაახლოებით ორ მეტრს წამში. ადგილის ოროგრაფიული პირობები ხელს უწყობენ აქ მთა-ბარის ადგილობრივი ქარების წარმოშობას, განსაკუთრებით ზაფხულის სეზონის განმავლობაში.

მეტად ღამაში ბუნება, საუცხოვო მთის ჰავა, სუფთა გრილი ჰაერი და მზის უხვი სხივადობა ქმნიან აქ საუკეთესო პირობებს ზაფხულში დასვენებისათვის. ამ მხრივ გაბედულად შეიძლება ითქვას თბილისის კურორტები.

ვას, რომ გომბორს შეუძლია დაუფასებელი დახმარება გაუწიოს მისგან ახლო მდებარე დიდი სამრეწველო ქალაქის მოსახლეობას, მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი დაკავშირებულია მასთან მეტად მოხერხებული საავტომობილო გზატკეცილით და რკინიგზით.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, გომბორი, სათანადო კეთილმოწყობით, ფართედ უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც თბილისის საგარეუბნო პროფილაქტიკური სადგური მისი მოსახლეობის დასასვენებლად ზაფხულის პერიოდში.

გომბორში თავისუფლად და ეფექტურად შეიძლება დაისვენონ და იმკურნალონ განსაკუთრებით, წლის თბილ პერიოდში, მალარიით, მეორადი სისხლნაკლოვანობით, ქრონიკული ბრონქიტით, პლევრიტით, ლიმფური ჯირკვლების ანთების და ნევროზების იოლი ფორმებით დაავადებულებმაც.

ამ მხრივ, როგორც საუცხოო მთის კლიმატური პროფილაქტიკური სადგური, გომბორი უთუოდ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.



კრწანისი

კრწანისი მდებარეობს ქალაქ თბილისის მიდამოებში, მის დასავლეთის მხარეზე, თანამოსახელე მდინარის ხეობაში, ზღვის დონედან 450—500 მეტრის სიმაღლეზე. აღნიშნული მდინარე იღებს დასაწყისს თრიალეთის ქედის ფერდობებიდან, მიემართება აღმოსავლეთისაკენ და თავისი გაფართოებული ნაწილით უერთდება მდინარე მტკვარს.

ამ მდინარის ხევის ფერდობები ზედა ნაწილში დაფარულია ტყეებით და ბუჩქნარებით. ხევის ქვედა ნაწილი თავისი ზომიერად დაქანებული ფერდობებით შორეულ წარსულიდანვე ცნობილია ბაღებით და ბოსტნებით.

ამ ხევის ნიადაგი და კლიმატი მეტად ხელშემწყობ პირობებს უქმნის ვაზის კულტივირებას, რაც დასტურდება აგრეთვე ისტორიული მონაცემებითაც.

ამჟამად აქ ჰპოვეს ხელშემწყობი პირობები განვითარებისათვის და ნაყოფიერებისათვის მთელმა რიგმა სუბტროპიკულმა კულტურებმა. თვით ქალაქ თბილისთან შედარებით, ამ ადგილის კლიმატი უნდა იყოს უფრო ზომიერი, აღნიშნულ ხეობის ჩრდილო-დასავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარების უშუალო გავლენისაგან დაცულობის, მცენარეთა და მწვანე ნარგავთა საკმარისად განვითარებისა და ადგილობრივი მთა-ბარის ქარებით სისტემატური ვენტილაციის გამო.

წარსულში კრწანისი იყო მუდმივი მოწმე საქართველოში მტრების მრავალ გამანადგურებელ შემოსევებისა და უკანასკნელად დიდი ისტორიული ბრძოლისა (1795 წ.), რომლის დროს ქართველი ხალხი თავისი გმირი მეფის ერეკლეს ხელმძღვანელობით მედგრად და შეუპოვრად იცავდა უამრავ მტრებთან ბრძოლებში დაქანცულ და წამებულ სამშობლოს ღირსებას ალა-მაჰმად-ხანის მრავალრიცხოვან ჯართან ბრძოლაში.

ამჟამად კრწანისი წარმოადგენს მშვენივრად კეთილმოწყობილ ისეთ სააგარაკო ადგილს, რომელიც სრულიად აკმაყოფილებს კულტურული დასვენების თანამედროვე მოთხოვნებს.

[ოქროყანა

ოქროყანა მდებარეობს მთაწმინდის აღმოსავლეთის ფერდობზე 650—700 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონედან, თბილისიდან 4—5 კილომეტრის მანძილზე დასავლეთის მიმართულებით, კურორტ კოჯორისკენ მიმავალ გზაზე. ადგილის რელიეფი შედარებით სწორია, რაც ხელს უწყობს მის ფართოდ გამოყენებას სააგარაკო მშენებლობისათვის და ამავე დროს განსაზღვრავს ამ ადგილის მიკროკლიმატური პირობების ერთფეროვნებას.

აღნიშნულ ადგილის დადებით ფაქტორად უნდა ჩაითვალოს მისი დაცულობა ჩრდილო-დასავლეთის ძლიერი ქარებისაგან.

უკანასკნელ წლების მანძილზე ჩატარებული კეთილმოწყობითი სამუშაოები გვიჩვენებენ აქ ფართოდ გამწვანებითი სამუშაოების გაშლისათვის კლიმატის და ნიადაგის მხრივ ხელშემწყობ პირობების არსებობას, რასაც თავისთავად ადასტურებენ მთაწმინდის და თელეთის ქედების ფერდობებზე ამ მხრივ მიღწეული შედეგები. მწვანე ნარგავთა სათანადო მასივის შექმნა საგრძნობლად შეანელებს ზაფხულის პაპანაქებას და ამავე დროს დაიცავს ამ ადგილს ქარების არასასიამოვნო მოქმედებისაგან, რაც კიდევ უფრო გაზრდის ოქროყანის, როგორც საგარეუბნო მოხერხებულ სააგარაკო ადგილის, მნიშვნელობას.

ქ ე ბ ვ ი

სააგარაკო ადგილი ძეგვი უკავშირდება თბილისს რკინიგზის ხაზით და მდებარეობს მისგან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით 30 კილომეტრის მანძილზე, ზღვის დონედან დაახლოებით 600 მეტრის სიმაღლეზე. აღნიშნულ რაიონში თრიალეთის ქედის ფერდობები თითქმის მთლიანად დაფარულია ტყეებით და იძლევა საშუალებას ფართო სააგარაკო მშენებლობის გაშლისათვის.

ამ ადგილის კლიმატური პირობები განისაზღვრება მისი მდებარეობით მდინარე მტკვრის შევიწროებულ ნაწილში და მასთან მერიდიანულ მიმართულებით დაახლოებული—ქართლის ქედით. ეს მდებარეობა იწვევს აქ კონდენსაციის პროცესების საგრძნობ გაძლიერებას, რაც არბილებს ამ რაიონის მშრალ კლიმატს. ასეთი გავლენის შედეგია ძეგვის ტერიტორიის სიმდიდრე მცენარეულობით, შედარებით სხვა ადგილებთან, რომლებიც მდებარეობენ მისგან აღმოსავლეთ ან დასავლეთ მიმართულებით.

ხელსაყრელი კლიმატური პირობები, თბილისთან სიახლოვე და მასთან მეტად მოხერხებული სატრანსპორტო კავშირი ქმნიან ძეგვს ადვილად ხელმისაწვდომ მშენიერ სააგარაკო ადგილად, განსაკუთრებით ზაფხულის სეზონის განმავლობაში დასასვენებლად.

გლდანი

გლდანი მდებარეობს თბილისის საგარეუბნო რაიონში, ქალაქიდან 15 კილომეტრის მანძილზე, ჩრდილოეთის მიმართულებით. მას უჭირავს ქართლის ქედის ტყეებით მდიდარი სამხრეთის ფერდობები.

გლდანის ტერიტორიას სჭრის თანამოსახელე მდინარე, რომელიც მიიმართება ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. აღნიშნულ მდინარის ხეობა აგროვებს ამ რაიონის წყლებს და ამავე დროს უზრუნველყოფს გლდანის მიდამოს კარგ ვენტილაციას ადგილობრივი ქარების საშუალებით. რაიონი მდიდარია ტყეებით, რაც ხელს უწყობს ჰაერის სათანადო ტენიანობას, სიგრილეს და სისუფთავეს განსაკუთრებით წლის ცხელ პერიოდში. ყველა ამასთან ერთად თბილისთან სიახლოვე გლდანს ხუის მეტად მოხერხებულ და ხელსაყრელ საგარეუბნო სააგარაკო დასასვენებელ ადგილად ქალაქის მოსახლეობისათვის.

გარდა ზემოხსენებულ საკურორტო და სააგარაკო ადგილებისა, თბილისის საგარეუბნო მიდამოებში არსებობს კიდევ მთელი რიგი ისეთი ადგილები, რომლებიც ამ მხრივ ყურადღების ღირსნი არიან. ასეთებს ეკუთვნიან პრიუტი, კვესეთი, პატარა თონეთი, საყარაულოს ფერდობები, წავკისი, შინდისი, ტაბახმელა და მრავალი სხვა, რომლებიც დიდ სამსახურს უწევენ თბილისის მშრომელ მოსახლეობას, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში და რომლებიც შემდეგში, მათი სათანადო კეთილმოწყობის და საკურორტო-სააგარაკო მშენებლობის შედეგად, გაცილებით უფრო გააფართოებენ თავიანთ დახმარებას თბილისის მოსახლეობის ფართე მასების უზრუნველყოფაში კულტურული დასვენებითა და მკურნალობით.

სარჩევი

83.

| | |
|--|-----|
| წინასიტყვაობა | 3 |
| შესავალი | 5 |
| თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი | 8 |
| კურორტი კოჯორი | 34 |
| კურორტი მანგლისი | 52 |
| კურორტი წყნეთი | 66 |
| კურორტი კიკეთი | 74 |
| კუმისი | 81 |
| მთაწმინდა (მამა-დავითის მთა) | 90 |
| ბეთანია | 99 |
| მცხეთა | 102 |
| მარტყოფი | 104 |
| საფურამო | 108 |
| ლისის ტბა | 109 |
| გომბორი | 112 |
| პრწანისი | 115 |
| ოქროყანა | 116 |
| ძეგვი | 117 |
| გლდანი | 118 |

პ.მგ. რედაქტორი პ.ლოფ. დ. ჯავახიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდათ 27/V—48 წ.

შეკვეთა № 196

ტირაჟი 2000

უფ 01938

ანაწყოების ზომა 6X9 $\frac{1}{2}$

ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა—7,5


სააღრიცხვო ფორმათა რაოდენობა 7,07

საქმედგამის სტამბა. თბილისი, აკ. წერეთლის ქ. № 3/5

0151/678

5 806. 50 303.

К 264 429
3



М. Ю. НОДИЯ

КУРОРТЫ И ДАЧНЫЕ МЕСТА ТБИЛИСИ

(На грузинском яз.)

ГРУЗМЕДГИЗ
ТБИЛИСИ

1948